სსიპ ახალციხის ინსტიტუტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
AKHALTSIKHE INSTITUTE

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ნ ა უ რ ი

VAKHTANG INAURI

ვასილ ბარნოვის (ბარნაველის) პროზა

VASIL BARNOV'S PROSE

2009
ახალციხე
Akhaltsikhe

უაკ (УДС) 821.353.1.09-3+821.353.1(092 ბარნოვი)
ი_53

ნაშრომში მონოგრაფიულად შესწავლილი და განხილულია ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ვასილ ბარნოვის (ბარნაველის) შემოქმედება. მოცემულია მისი ძირითადი პრობლემატიკის და ზნეობის, სიყვარულის ბარნოვისეული კონცეფციის ანალიზი. მწერლის ისტორიული რომანების ლიტერატურულ წყაროებთან შედარება-შეპირისპირების გზით ავტორი ახასიათებს მწერლის განსხვავებულ მხატვრულ-იდეურ პოზიციებს ზნეობასთან და ისტორიულ ფაქტებთან მიმართებაში.

ნაშრომში გამორკვეულია, აგრეთვე ვ. ბარნოვის შემოქმედებაში ასახული რელიგიურ-ფილოსოფიური და ეთიკურ-ესთეტიკურ შეხედულებათა თანმთხვევა და განსხვავება ანტიკური ხანის და ახალ ევროპელ ფილოსოფოსთა ნააზრევთან. (პლატონი, ნეოპლატონიკოსები, ლ. ფოიერბახი, ა. კასირელი და სხვა).

წიგნი განკუთვნილია ჰუმანიტარული სპეციალობის სტუდენტებისათვის, ვ. ბარნოვის შემოქმედების შესწავლით და მწერლობით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: **პროფესორი** *ქეთევან გრძელიშვილი*
რეცენზენტები: პროფესორი *სერგო მელიქიძე*
პროფესორი *ნიკო ახალკაცი*

კომპიუტრული უზრუნველყოფა: *დარეჯან ვედიაკოვი*

ISBN 978-9941-0-1412-3

წარმართული პანთეონი ვ. ბარნოვის «არმაზის მსხვრევაში»

იშვიათია მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ისე ნათლად და კოლორიტულად ასახავდეს წარმართულ საქართველოს, როგორც ვ .ბარნოვის «არმაზის მსხვრევა». ქართველი ერის იმდროინდელი სულიერი ცხოვრება და რელიგიური უთიერთობები რომანში წარმოდგენილი ღვთაებათა პანთეონის მეშვეობით ცნობიერდება.

რელიგიურ ფონზე გამოკვეთილ ორ საპირისპირო პოლიტიკურ ორიენტაციას _ ორი წარმარული ღვთაება ციშუბი და არმაზი განასახიერებს. ციშუბი, როგორც ძველი ქართული ეროვნული თავისუფლების სიმბოლო და არმაზი _ სპარსეთიდან შემოსული, მაგრამ ქართულ იერ-სახე მიღებული, ქართველთა მფარველი ღმერთი. მწერალი, ცხადია, ფლობდა იმდროინდელ მეცნიერულ მონაცემებს წარმართული რელიგიის შესახებ. იცნობდა ამ საკითხზე მ. წერეთლის, ი. ჯავახიშვილის, ნ. მარის და სხვათა გამოკვლევებს. ჰქონდა საკუთარი ძიებით მოპოვეული ფოლკლორული მასალა, კარგად იცოდა «ნინოს ცხოვრება» და «მოქცევაჲ ქართლისა». ამ წყაროების გარეშე რთული იქნებოდა რთული პრობლემებით დატვირთული რომანის შექმნა.

ციშუბი მ. წერეთლის წიგნში «ხეთის ქვეყანა» მოხსენებული ხეთურიდან მომდინარე ღმერთი თეშუბის ინტერპრეტაციაა. «მცირე აზიიის ღმერთი ცისა და სინათლისა, ატმოსფერისა, წვიმისა და ელვა-ჭექისა. «თეშუბ» (1-84). ციშუბს მწერალი სამსახოვან ღვთაებად წარმოგვიდგენს. ციშუბ-თარხუჯ-ითრუშანი, თარხუჯი, ანუ თოხნაბუჯი ქართველი ერის წარმართული რელიგიური აზროვნებიდან აქვს აღებული. «უჯ» კომპლექსით ქართულ ენაში უძველესია. იგი დაფიქსირებულია უძველეს ქართულ ციხე-ქალაქების უჯარმის, ხორნაბუჯის და არტანუჯის სახელწოდებებში.

აღმოსავლეთის ისტორიაში ფიქსირდება ღვთაება «თარხუნ» (2-305) ხეთების სამხრეთ ოლქში. აქაც ღვთაებათა ტრიადა გვაქვს (სანთა, დათა, თარხუნი). თარჴუჯ ძვ. საქართველოში კაცის სახელია, რომელიც გვხვდება ატენის სიონის წარწერაში «კახაჲსძე თარჴუჯი», გარე წარწერაში «თარხუნი». ეს ფაქტები მიგვანიშნებენ, რომ ძველ ხეთურ ანთროპომორფულ ღვთაებათა სახელები ადამიანთა სახელებადაც დამკვიდრებულა ძველ საქართველოში, გვიან საუკუნეებშიც იხსენიება _ «თარხან». გვხვდება აგრეთვე მარსის ანუ არიეს შესატყვისი ღვთაება «ტარხონ», შესაძლებელია აქედან იყოს მიღებული სახელი «ტარიელ», რაც მეომარ გმირს უნდა შეესატყვისებოდეს. ადამიანის სახელებად იქცა აგრეთვე ხეთურ ღვთაებათა სახელები: დათა>დათა, სანთა>სანათა, შიუქშა>შიოშა და სხვ.

ითრუშანი ანუ ითრუჯანი მოხსენიებულია ლეონტი მროველის «ქართლის მოქცევაში», როგორც ქართველთა ღმერთი, რომელიც არმაზს დაუმარცხებია ოდესღაც, მაგრამ მწერალი ხედავს ქალდეველთა და ქართველთა კავშირს, ციშუბს, თარხუჯს და ითრუშანს აერთიანებს ერთი სამსახოვანი ღმერთის სახელით.

ვ.ბარნოვის ციშუბ-ითრუშანი ქართველთა ძველ ტრადიციებსა და რწმენას განასახიერებს. ციშუბის ერთგული მლოცველნი ძირითადად მთაში შემორჩენილან. მთა თავისი მკაცრი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, უტეხი და ერთგული ბუნების გამო, ძნელად იცვლის თავის რწმენასა და ტრადიციებს. ციშუბის ქურუმი მანგიური შეუპოვრად იღწვის მაღალ მთებში განდევნილი, დამარცხებული ღმერთებისათვის. მანგიური ავტორისეული მხატვრული გამონაგონია. მწერალი ამ პერსონაჟით წარმოაჩენს ციშუბისადმი ქართველთა რწმენასა და ერთგულებას, იგი ქართული სულის

სიღრმიდან ამოდის და მისი ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას გულისხმობს. ის ეტრფის იმ დროს, როდესაც ქართველი ერი თავის ღმერთებს სცემდა თაყვანს, როდესაც საქართველოს ცას და მიწას განაგებდა ციშუბ-ითრუშანი. "ციშუბი ცვარს ადენდა ზეცით, ითრუშანი აღმოაცენებდა უხვ ნაყოფს კეთილს" (3-497) იგი ციშუბის მარცხს ბედისწერას მიაწერს, რომელსაც მისი რწმენით ღმერთებიც ჰმორჩილებენ. მას სწამს კვლავ განთავისუფლდება ბედისწერისაგან ციშუბი, აღსდგება და დაამარცხებს არმაზს. მან ეს აზრი შთამბეჭდავად გამოხატა სამეფო საბჭოზე, სადაც წყდებოდა საკითხი სპარსეთსა და ბიზანტიას შორის მოსალოდნელ ომში ქართველთა მონაწილეობის შესახებ "აღჭურვილა ჩვენი ციშუბ- თარხუჯი არმაზის ბრძოლად ციშუბის ცალი ითრუშანი გამძვინებული, ქარი სასტიკი ცეცხლის მქშენი, ვეშაპივით, ცა შეპყრობილი. წუმწუმა ციდან! შეიმუსრა სპარსთა ძალა საქართველოში». (3-456).

მანგიურის მიერ აღწერილი ციშუბ-თარხუჯ-ითრუშანი, რომელსაც შეუძლია წვიმა აწვიმოს, ამავე დროს მებრძოლი ღმერთია: "რვალისა იყო, ბეგთარი ეცვა, მაღალ მუზარადიდან ჩამოფენილი წვრილთვალი ჰფარავდა ყელ-ყურს თუ კისერს, ფეხთსაცმელი ფანდაკიანი. ნაჯახი ხელში ორპირიანი, მეორეში ელვათა ხელეური ბოროტთ სატყორცნად" (3-457). ციშუბის სახე ნაწილობრივ გამონაგონია, მაგრამ იგი ხეთურ პანთეონში იღებს დასაბამს. ამასთან არმაზის გარეგნობასაც ძალიან ჰგავს. განსხვავებულია შეიარაღება. მისთვის ზევსის მსგავსი ელვა-ჭექის ძალა მიუცია ავტორს. ძველ ქართულ წარმართულ ღვთაებებს მრავალი საერთო ნიშან-თვისება ჰქონდათ: სიძლიერე, მოსავლისა და ნაყოფიერებისათვის ზრუნვა და მეომრული ბუნება.

ციშუბის სიძლიერეზე, მანგიურის გარდა, სპარსეთის ელჩის თანამგზავრი მოხუციც ლაპარაკობს, რომელიც დევის ნამუხლს უჩვენებს სტუმარ სპარსს. «დასატნებია გაუღარავს კიდე» (3-447). არამარტო მანგიურს ახსოვს ციშუბი, მისი სახელი არ დავიწყებია ერს. «მაინც მიდის მისკენ ქართველთ ვარდობის თვეში, იხსენებენ მის ძველ დიდებას, მსხვერპლს სწირავენ, ევდრებიან, შესვამენ მის წყალს და შესთხოვენ ნაყოფს» (3-457).

მანგიური საინტერესო ტოპონიმებს ასახელებს, რომლებიც ციშუბის საკუთარ მფლობელობაში შედიოდა. «მდუღარეთა, კალა, ვარდისუბანი, კალაუბანი, გაღმა ისნი, მხოლოდ მეხშუბაა გამოტოვებლი, რომელიც სიტყვის შინაარსითაც და ფორმითაც ძალიან გავს ციშუბს. ე.ი. ამ ღვთაების რელიგიური ცენტრი თბილისში ყოფილა, ხოლო არმაზი მცხეთაში აღუმართავს ფარნავაზს.

ციშუბის მთაზე კალას კოშკში მანგიურს ორი თავისი ხელით გაზრდილი გველი ჰყავდა მცველად, რომლებიც მის ბრძანებას ემორჩილებოდნენ. მათ უხაროდათ მანგიურის დაბრუნება. «თვალებში შემზერდნენ მას». გველის და დევის სახეები ძველი წარმართული მსოფლმხედველობის და აზროვნების გამომხატველი სახე-სიმბოლოებია. ქრისტიანობამ გველი დაწყევლილად, «წყეულად», ადამიანის მტრად შერაცხა, დევი კი ფიზიოლოგიურ არსებად არ მიაჩნია და არც იხსენიება ქრისტიანულ წერილობით წყაროებში (ვ.ბარნოვი იხსენებს აგრეთვე უძველეს ღმერთს თაბუზიოს, რომელიც «ზამთრის პირს ტანჯვით მოკვდებოდა, მკვდრეთით სდგებოდა გაზაფხულზედ ახლის დიდებით» (3-460). აქედან უნდა მომდინარეობდეს სახელი თამაზი).

მანგიურისა და ციშუბის მთილ მორწმუნეთა ჩართვით მწერალი არმაზის მარცხის რეალურ საფუძველსქმნის. ცხადია, ქურუმის მხარეს საკმაოდ ძლიერი ძალაა, რომ მცხეთის სამეფო კარზე მანგიურს ანგარიშს უწევენ და იგი დარბაზის წევრია. ქრისტეს მიმდევარნი და ციშუბის

მლოცველნი არმაზის მოსავთ ებრძოდნენ, მაგრამ ღმერთთა ბრძოლაში ერთმანეთს ერკინება ციშუბი და არმაზი. ორი მრისხანე და აგრესიული, მაგრამ მართლმსაჯული ღმერთი.

ვ.ბარნოვი, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცოდა ქრისტეს მოძღვრება, სწორ და ჭეშმარიტ გადაწყვეტილებას იღებს. რომანში ქრისტე არ ებრძვის არმაზს, ის არ ესვრის ცეცხლოვან გრიგალს, არ ურტყამს გურზსა და კინენს. არც მხატვრულად და არც რეალურად მწერალი არ იქნებოდა მართალი, რომ ჰუმანური და კაცთმოყვარე მაცხოვარი ასე ულმობელი, გამანადგურებელი და აგრესიული სახით ეჩვენებინა. არმაზი დაწვა და დაამსხვრია ციშუბმა, შურისძიებით აღსავსე წარმართულმა ღმერთმა. «გაჩნდა ვეშაპი, აღიმართა, იგრაგნებოდა, ჰნსთქამდა გზადაგზა ღრუბელთ სიმრავლეს, იზრდებოდა, ბნელდებოდა, ფრთებს ფართოდ შლიდა. ცას გადაერტყა, დაიგრგვინა, ცეცხლი გაყარა» (3,554). მოტანილი ნაწყვეტიდან არც ერთი ნიშანი არ მეტყველებს ქრისტიანული ღმერთის ნების გამოვლენაზე. მწერალი უფრო აკონკრეტებს ციშუბის მოქმედებას: «ბრძოდა არმაზი, ზედ ემტვრეოდა ცეცხლი, სეტყვა მძლედ მდგომ ბუმბერაზს. სტყორცნა ციშუბმა, ცეცხლის ბირთვი ზედ დაალეწა. ხელში ხმალი გაუტყდა მებრძოლს, კვარცხლბეკიდან შერყეულმა წინ წაიწია. მოხვდა გურზი, დასცეს ლახტები, მისცეს კინენნი» (3-554). ეს ფაქტიც ქართლის ცხოვრებიდან არის ნასაზრდოები. იქ იხსენიება, რომ ქალდეველთა ღმერთი ითრუშანი ებრძვის არმაზს ცეცხლით და მახვილით. ამ ცნობას იყენებს ავტორი და ერთ სამსახოვან ღმერთად აერთიანებს ისტორიულ ითურშანს, ხეთურიდან აღებულ თეშუბისაგან წარმოებულ ციშუბთან. და რეალურ-ისტორიულის შერწყმით ქმნის ერთი მთლიანი ღვთაების სახეს. ნინოს ცხოვრებაში ნინოს ლოცვის შედეგად იმუსრება არმაზი. სხვა მებრძოლი ღმერთი არ ჩანდა ლოგიკურად მამაღმერთი გამოდის არმაზის დამამხობელი. ვ.ბარნოვი იძლევა ამ პრობლემის სხვაგვარ გადაწყვეტას: უფალს არ მიაღებინა მონაწილეობა ხელჩართულ სისხლიან შეტაკებაში. პერსონაჟთა დიალოგში წარმოაჩინეს მისი კეთილ და მშვიდობისმოყვარე ბუნებას. ერთი მხარეა, როგორ მოქმედებენ ქრისტეს მომხრენი, როგორ სახავს მათ მწერალი, ხოლო მეორე და უმთავრესია, როგორ არის წარმოჩენილი თვით მაცხოვარი: მწერალი, წინა პლნზე აყენებს ქრისტეს სიკეთესა და სიყვარულს, რაც გამორიცხავს წარმართ ღმერთთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ქრისტეს მონაწილეობას.

არმაზი თითქოს ისტორიულად მოცემული სახეა, რომელიც იხსენება ქართლის ცხოვრებაში («მოქცევა ქართლისა») და «ნინოს ცხოვრებაში». ვ.ბარნოვი არმაზის წარმომავლობის საკითხში იმდროინდელ მეცნიერულ მონაცემებს ეყრდნობა, რომელიც არც თუ სწორად ასახავენ სინამდვილეს. საქმე ისაა, რომ 20-იან წლებში, როდესაც რომანი იწერებოდა, თვითონ ი.ჯავახი-შვილსაც არ ჰქონდა ხელთ სათანადო მასალა, რომ სწორად გაერკვია არმაზის წარმომავლობა. იგი არმაზს მიიჩნევდა აჰურამაზდას ქართულ სახელწოდებად. მაგრამ ამავე დროს აღნიშნავდა, რომ არმაზი მაზდეანური ღვთაება არ უნდა ყოფილიყო, რადგან მაზდეანობა კერპს უარყოფდა. ამავე დროს მეცნიერი მთლად ვერ ენდობოდა მ. წერეთელის მიერ გამოკვლეულ ხეთურ მასალას. იგი თვლიდა, რომ ჯერ ხეთური ენა შესწავლილი და დამუშავებული არ იყო და «ამ დასაწყისის ხანაში მათი მნიშვნელობის შესახებ მსჯელობისა და დასკვნების აუცილებლობა ჯერ მეტისმეტად ნაადრევია» (4-143).

დღეს, როდესაც ხეთური ენა მეტნაკლებად შესწავლილია და გარკვეულია, რომ «არმა» ხეთურად მთვარეს ნიშნავს, ბევრ საკითხს ეფინება ნათელი საქართველოსა და წინა აზიაში წარმართული სარწმუნოების შესახებ: «მცირე აზიის სარწმუნოებრივ წარმოდგენათა კომპლექსში არსებულ

ერთობას საფუძვლად უდევს ხეთურიდან მომდინარე ერთი უძველესი სარწმუნოება». არმაზი რომ სპარსული არ არის, ამას ქართული ტოპონიმებიც მოწმობენ: არმაზი _ სოფელია ქარელის რაიონში, არმაზეთი _ პატარა ლიახვის ხეობაში. «არმა» ძირი უნდა იყოს ტოპონიმ უჯ-არმა-ში.

ხეთები, რომელთა ისტორია შორეულ წარსულში იკარგება, უდიდეს თაყვანს ცემდნენ მთვარეს. მთვარის კულტი იქიდან გავრცელდა წინა აზიასა და კავკასიაშიც.

მთვარე წარმართულ საქართველოში ერთ-ერთ მთავარ ღვთაებად ითვლებოდა. ეს საკითხი ი. ჯავახიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა. იგი ხალხურ პოეზიაშიც აისახა: «მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი» «ქართველი ხალხის აზროვნებაში წმ. გიორგის ძვ. წარმართობისდროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია» (4-100). წმინდა გიორგი მეომარი ღმერთი მთვარის ადგილს იკავებს, ასეთივე მებრძოლი ღმერთია არმაზი. არის თუ არა მათ შორის საერთო? ამის გარკვევა სხვა საკითხია.

ვ.ბარნოვი თავის რომანში აფიქსირებს წარმართულ ღმერთთა საერთო ნიშნებს: ციშუბი და არმაზი ფიზიკურად ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. მაგრამ არმაზი _ ისტორიულად მოცემული სახე, უფრო მკვეთრად აისახება რომანში. უფრო ნათლად არის მისი გარეგნობა დახატული, აქ გათვალისწინებულია ლეონტი მროველის მიერ შემონახული ცნობები არმაზსა და არმაზობაზე. მემატიანის გადმოცემით, არმაზის კერპი მეფე ფარნავაზმა შექმნა «სახელსა ზედა თვისსა» «ფარნავაზ სპარსულად არმაზს ერქვა». ხეთურად კი არმაზ მთვარეა. ი. ჯავახიშვილის მიხედვით, შეიძლება არმაზ ქალდეურ მეფეთა შორის მიღებული სახელი ფიგურირებს. არმაზის ქანდაკების წინ ფარნავაზის საფლავია და მუხლმოყრილი მლოცველი დაიხრება, შუბლით ეხება მეფის საფლავის ქვას.

საინტერესოა, არმაზის ქანდაკება. ეს დიდებული ხელოვნება, მშვენიერი მორთულობა ნიმუშია, როგორც უაღრესად განვითარებული მოქანდაკეობისა, ისე მჭედლობისა, ოქრომჭედლობისა, მექანიკური ტექნიკისა და სხვ. «აქვნდა ხრმალი და ვითარცა ელვა იქცეოდა ხელთა შინა მასთა» (3-173). რთულია ნინოს ცხოვრების ქრისტიან ავტორისათვის და მემატიანისათვისაც. სამართლიანობა შეინარჩუნოს მათთვის საძულველი წარმართული კერპის აღწერისას _ თვალით ნანახი აჭარბებს აღწერილს და, როგორც ჩანს, სინამდვილეში არმაზი უფრო მშვეიერი იყო.

ვ.ბარნოვი აკონკრეტებს არმაზის სახეს, სრულყოფს, ავსებს მებრძოლი თვისებებით. «რვალისაგან ჩამოსხმული დიდი ხელოვნებით» «აბგარ-აბჯარი» ნაჭედი ოქრო. იქცევის ხმალი ამოწვდილი. მართლმსაჯული ღმერთი იყო არმაზ. შემცოდე განმარისხებელი ნუ მიეახლებოდა მას, «ნურც შესაწირად» ალმასის ხმალი გაჰკვეთდა ცოდვილს. ვადა ხმლისა და ქარქაში სპეკალ მოყრილი. დიდრონ-დიდრონი თვალნი ესხნეს ბივრილიონის. გულთამხილავი, თვალთ აყოლებდა ბოროტის მგულებთ» (3-517). ასეთი საოცარი ქმნილება იყო არმაზი, ხელოვნების სასწაული, ძველ ქართველთა დიდი ცივილიზაციის ნიშანი.

ბუნდოვანია არმაზისადმი მსხვერპლშეწირვის საკითხი. ავტორი იყენებს ლეონტი მროველის ცნობას რევი მართალის მეფობის შესახებ (III ს.ჩ.წ.), რომ თითქოს ადრე ჩვილს სწირავდნენ. რადგან მსხვერპლად სხვას არავის მიიღებდა. მაგრამ ახლა ეს წესი აღარ მოქმედებდა. ქართველებს დავიწყებული ჰქონდათ. ჩვენი ღრმა რწმენით, მცდარ პოზიციას იჭერს ვ. ბარნოვი და თვითონ გამ-ოუვალ წინააღმდეგობაში ვარდება. თუ მართლმსაჯული ღმერთი იყო არმაზი და ცოდვილს

რისხავდა, უცოდველ ჩვილს, თუნდაც დიდებულისას რატომ შეიწირავდა? რატომ დაღვრიდა სუფთა, სპეტაკი ბავშვის უმანკო სისხლს! ვფიქრობ, მემატიანეს ეს ცნობა იდეოლოგიური დანიშნულებით აქვს შეტანილი, რომ შეაძულოს მკითხველს წარმართული ღმერთი. მემატიანესთან დავა ამაოა, მაგრამ ამ ცნობის შეფასება აუცილებელია.

ლეონტი მროველი წერს, რომ მეფე რევი I «მართალმა» III ს-ნის 70-იან წლებში აკრძალა «ყმათა კვლა» და მსხვერპლად შეწირვა და «ვიდრე იგი იყო მეფედ აღარავინ კვლიდა ყრმათა კერპთათვის» (4-58). ე.ი. რევის შემდგომ, კვლავ განახლებულა «ყმათა კვლა», მაგრამ არც შემდგომ და არც მანამდე არსად არ ფიქსირდება ასეთი შემთხვევა. ასეთი საშინელი ფაქტი რომ ყოფილიყო, ეცოდინებოდა ნინოს ცხოვრების ავტორს და არავითარ შემთხვევაში არ გამოტოვებდა მას.

ასეთი ტენდენციური განწყობილების მწერალი არმაზისა და მთელი წარმართობის დასაგმობად ორმაგი სიმწვავით აღწერდა ამ უღვთო წესს, რადგან იგი დუმს ამ საკითხზე, ე.ი. არ არსებობდა ასეთი ჩვეულება.

უცნაურია, რომ მემატიანეს არ ვუჯერებთ ისეთ მნიშვნელოვან, ჩვენი ერისათვის საამაყო ცნობას, ფარნავაზის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ და ვუჯერებთ, ჩვენი წარსულის დამაკნინებელ ამ ცნობას ჩვილის დაკვლის თაობაზე.

არმაზი, ხეთურ რელიგიაში მთვარის ღვთაებად არ მიიჩნევა, მგრამ ქართულ წარმოსახვაში იგი, როგორც მეომარი მამაკაცის განსახიერება მხოლოდ მთვარეს უკავშირდება.

მის ხეთურ წარმოშობაში საეჭვო თითქმის აღარაფერია. ამას მ. წერეთელიც ადასტურებს. «არმაზი აჰურამზადა კი არ იყო, არამედ «მცირე აზიის ღმერთი ცისა და სინათლისა, ატმოსფეროსა, წვიმისა და ელვა-ჭექისა» (1-8).

როგორც არ უნდა გავდეს არმაზი თეშუბს ან ციშუბს, «არმაზის მსხვრევაში» «ქართლის ცხოვრებასა» და «ნინოს ცხოვრებაში» იგი წარმართული საქართველოს უზენაესი ღვთაებაა. არმაზი, გაცი და გაიმი ისეთსავე ტრიადას ქმნის, როგორც ეს ხეთურ რელიგიაში გვხვდება: ხეფათი, თეშეფი, თარხუნი, სანთა, დათა, შიუქშა. რომანში არმაზს ასეთივე ტრიადა უპირისპირდება ციშუბ-თარხუჯ-ითრუშანი.

არმაზის მსგავსება თეშუბთან, მის ხეთურ წარმოშობაზე მიგვანიშნებს. ძირითადად მსგავსი შეიარაღება ჰქონდა ხეთების ღვთაებებსაც: «მამაკაც ღვთაებებს მარჯვნა ხელში უჭირავთ ცული, გურზი ან ხმალი» (6-14). ცნობილი ქართველი ხეთოლოგი გ. გიორგაძე წერს: «ბოღაჩქოის ე. წ. მეფის ჭიშკართან გამოსახული რელიეფ მდგომარე მამაკაცისა, რომელსაც მკვლევართა უმეტესობა განიხილავს, როგორც ღვთაებას მეომრის გამოსახულებით (ადრე მას თეშუბსაც ეძახდნენ) მარჯვენა ხელში უპყრია საბრძოლო ცული, რომლის ყუა დაღარულია და თითქოს «ელვის» შთაბეჭდილებას ქმნის, ამ ცულს მიიჩნევენ, როგორც ცენტრალურ კავკასიურს». თავზე ხურავს მასიური, ზემოთ აწეული ჩაფხუტი, ლოყებისა და კისრის საფარველებით. ტანს აცვია, როგორც ვარაუდობენ ჯაჭვის პერანგი და კარგად ცნობილი მცირეაზიული გულგახსნილი ორნამენტიანი მოკლე ტუნიკა შემოჭერილი სარტყელით. ჩვენს წინაშეა აშკარად მეომარი ღვთაება» (6-144).

ბარნოვისეული ციშუბი და არმაზი _ ორივე ღვთაება აშკარად ენათესავებიან ამ ხეთური ღმერთის გამოსახულებას, რომანში ასახული წარმართული პანთეონის ხეთური წარმომავლობა და ქართულში ასეთი მასშტაბით გავრცელება, განპირობებულია ხეთებთან ქართველთა სიახლოვით. მ. წერეთელი წერს: «ნიშნები მაინც არის ქართულის შორეული ნათესაობისა ხეთის

არა ინდოგერმანულ ენებთან: ამასთანავე ჩანს ხეთური სარწმუნოების ელემენტში ძველი საწარმართო ქართულ სარწმუნოებაში» (1-146). ეს მოკრძალებული დასკვნა მ. წერეთელმა 1924 წელს გამოცემულ წიგნში დააფიქსირა. დღევანდელი მიღწევებით სიახლოვე ქართველებისა ხეთებთან უფრო მეტი ფაქტებით დასტურდება. ეს ცალკე თემაა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო ხეთური ანთროპომორფული ღვთაებები გვხვდება ქართულ წარმართულ სარწმუნოებაში, არამედ ზოომორფულიც. მათ შორის უმთავრესია ლომი. ჩვენს ქვეყანაში, ცნობილია, რომ ლომი, არც ყოფილა და არც არის, რომ ისეთი პოპულარობა და თაყვანისცემა მოეპოვებინა, როგორიც აქვს. ლომის კულტიც ხეთურიდან უნდა გვარცელებულიყო საქართველოში და არა მარტო საქართველოში.

სავარაუდოა, რომ ლომის რელიგიურ კულტს უკავშირდება ლომისი _ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი უძველესი და უპირველესი სალოცავი. ლომთანაა დაკავშირებული ქ. ახალციხის ძველი სახელწოდება _ ლომსია. ამ სიტყვას უკავშიედება ქართული გვარები: ლომიძე, ლომსაძე, ლომაშვილი, ლომსიანიძე, ლომთათიძე, ლომიტაშვილი, ლომოური, ლომაია და სხვა. ეს შემთხვევითი ფაქტები არ არის. იქ, სადაც ლომი ფიზიკურად არ არსებობს, მისი სახელის ასეთი გაღმერთება და გავრცელება მხოლოდ რელიგიური ნიშნით შეიძლება მოხდეს.

«არმაზის მსხვრევაში» ასახულ წარმართულ პანთეონში, ძირითადად ხეთურიდან მომდინარე ქართული რელიგიური ღმერთებია.

სიყვარულის ფენომენი და მისი ასახვა ლიტერატურაში

სიყვარულის მხატვრული ასახვის ისტორია შორეულ წარსულში იკარგება. კერძოდ მისი დასაბამი მითოლოგიაში უნდა ვეძებოთ.

შემთხვევით არაა, რომ ძვ. ბერძნული ღმერთები ჩვეულებრივი ადანიამური ხერხებით უკავშირდებიან ერთმანეთს, ზოგჯერ კი არაბუნებრივი და დისტანციური, ღვთაებრივი ძალით სძლევენ წინააღმდეგობას, რაც წარმომავლობისა და დიფერენციაციის ასახსნელი რეფლექსის გაჩენაზე მეტყველებს (ზევსმა თავიდან დაბადა ათენა).

მთელი ეს კომპლექსები ახსიათებს ბერძნული ნატურალისტური პერიოდის შემეცნებას.

ამ პერიოდისათვის სიყვარული საკმაოდ ბიოლოგიური უნდა იყოს, მაგრამ თანაბარი პროპორციულ-ჰარმონიული მოთხოვნილება სიმშვენიერის მატერიალურ იდეალს აყალიბებს.

ჰომეროსის «ილიადაში» სიყვარულის არსებობა არა ჩანს. შეიძლება აქილევსისა და ქრიზეიდას დამოკიდებულებაში სიყვარულის ასოციაცია დავინახოთ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ შორს არის ამაღლებული გრძნობის ჩასახვამდე. ქალები მხოლოდ სარდალთა ტყვეებია.

«ოდისეაში» პენელოპეს ერთგულება საკმაოდ უაახლოვდება სიყვარულის გრძნობას, მაგრამ მის ერთგულებაში მამაკაცის წინაშე ქალის მოვალეობა უფრო სჭარბობს ვიდრე ჭეშმარიტი სიყვარული.

ანტიკურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ბედისწერაზეა დამოკიდებული და როგორც მითოლოგიაში ცხოვრებისეულ მოვლენებს ღმერთები წარმართავენ. ისე სიყვარულის ბედსაც ეროსი განაგებს. ამაზე ნათლად მიუთითებს მედეას სიყვარილი იაზონისადმი აპოლონიოს როდოსელის «არგონავტებში».

ბერძნი დრამატურგებისათვის, რომლებიც შვილნი არიან უფრო განვითარებული სახელწიფოებრიობისა, სიყვარული მექანიკურ, მაგრამ საბედისწერო მოვალეობას წარმოადგენს.

ანტიგონეს, ელექტრას, ოიდიპოსისა და სხვათა ტრაგედია შეჯახებაა ძველ პიროვნული ინსტიქტისა და გარემო სახელმწიფოებრივ ყოფასა, თუ ახლად ჩამოყალიბებულ საკუთარ ინტე-ლექტს შორის.

სოფოკლესა და ევრიპიდეს მიზანდასახულობა ესთეტიკურად ფილოსოფიურ პლატონურ-ნეოპლატონურ ფორმალურ მორალიზმს ემთხვევა და რეალური აქტი აკლია.

ძვ. ბერძნულ კულტურაში მიწიერ «ეროსსა» და აბსტრაქტულ სულიერ ეროს შორის მცირე ადგილი რჩებოდა კონკრეტული ცოცხალი სიყვარულისათვის (27-102).

ელინური სამიჯნური ლირიკაც უძლურია გაიგოს სიყვარული ქალსა და მამაკაცს შორის, როგორც დაპირისპირება, ან ჰარმონია ორ პიროვნებას შორის.

სიყვარული ღმერთების მიერ შეზღუდულია, მისი ბედი მათზეა დამოკიდებული და ამდენად თავისუფალი სიყვარული ქალ-ვაჟს შორის შეუძლებელია.

ბერძნული სრულყოფილი სხეულის კულტი ვერ განასხვავებს სიმშვენიერის იდეალს ქრისტიანული მორალის სკუპულოზურ მამაკაცურ-ქალურობის გამოკვეთილი სხვაობის დონეზე. ანტიკურ ხელოვნებაში ერთნაირადაა გამოყვანილი აპოლონისა და მილოსელის პროპორციული სიმშვენიერე.

ქრისტიანულ-რომანტიკული დიალექტიკური პერიოდის სადო-მაზოხიზმს იქ მხოლოდ ნარცისიზმი (და შემდეგ თანდათან ჰეტერო-ჰომოსექსუალიზმიც) დაუპირისპირდება.

ანტიკური ფორმალური მორალი სიყვარულში დაახლოებით ქრისტინული ასკეტიზმის თანაბარია, რომელმაც თავის კულმინაციას შუა საუკუნეებში მიაღწია.

განვითარების ამ საფეხურზე იდეალურად წარმოდგვიდგება დანტესა და პეტრარკას სიყვარულის კომპლექსი.

«ღვთაებრივ კომედიაში «ბიატრიჩეს სიყვარული სკეპტიციზმსა და ეგოიზმში გადადის, რასაც დანტესადმი მიმართვაში ამჟღავნებს სამოთხეში შეხვედრისას.

«და თუ ვნებანი წარმავალნი შენ გაგეცალნენ,
როცა მოგიკვდი, სხვა რა იყო, რაც გაყოვნებდა,
რამ წარგიტაცა ასე რიგად ცნობიერება?
წარმავალობის როცა მოგვწდა ისარი მალი,
უნდა დაგეთმო ამ საწუთროს სხვა ნატამალი
და მოყოლოდი ამ ქვეყნისადმი რა გადვიცვალე». (7-663).

აქ ჩანს მიწაზე დარჩენილი სიყვარულისადმი უნდობლობა და შეყვარებულის სიკვდილის ქადაგება სატრფოსთან ერთად. ეს ამქვეყნიური ცხოვრებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებითაა გამოწვეული და ეგოიზმში იმდენად გადადის, რამდენადაც ბიატრიჩეს თავისი სიკვდილის შემდეგ არ სურს მიჯნურის სიცოცხლე და მისგან იმ ქვეყნად წაყოლას მოითხოვს.

ისევ მითოლოგიური საწყისი წარმართავს ტრისტან და იზოლდას სიყვარულს, მათი გამიჯნურება სიყვარულის ელექსირის დალევის შემდეგ იწყება და ჯერ კიდევ უგულველყოფილია ბუნებრივი გრძნობა.

შინაგანი მოთხოვნილების პირადი მოწოდების საფუძველზეა აგებული შექსპირის გმირების რომეო და ჯულიეტას სიყვარული, სადაც სიყვარულმა დააღწია თავი მითოლოგიურ და ხელოვნურ ტენდენციებს.

ადამიანური სიყვარულის ამაღლებული გრძნობა გვაქვს «ჰამლეტში». აქ შეყვარებულისადმი ერთგულება პოტენციურად მშობლიურ სიყვარულს უთანასწორდება.

ახალ დროში, კლასიკური აღორძინების, აგრეთვე გერმანული და ჩრდილოური მსოფლმხედველობა გამოხატულია ფაუსტ-გრეთჰენის სიყვარულის წარმოსახვისას.

«ფაუსტში» ტრადიციულმა ფაქტორმა რამდენადმე უკუ აგდო ინსტიქტის თვითგაბატონება.

შარლოტა ბრონტეს «ჯეინ ეირში» სიყვარულმა რელიგიური მორჩილება უკუ აგდო და ადამიანის თავისუფლებას გაუღო კარი.

ადამაინის პირად ცხოვრებაზე სიყვარულის გავლენა აისახა სტენდალის შემოქმედებაში. შეყვარებულთა დამაკავშირებელ ძლიერ ძალად წარმოგვიდგება სიყვარული რომანში «პარმის სავანე». ისევ ქრისტიანობამ იჩინა თავი ფრ. შატობრიანის «ატილაში» ატალა-შაქტასისა და «უკანასკნელ აბენსერაჟში» ჰამლეტ-ბლანკას სიყვარულში.

XII საუკუნის ფრანგულ ლიტერატურაში წარმოდგენილია ძირითადად ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სიყვარული, რომელიც პარიზული ოჯახის სამკუთხედს ქმნის (ქმარი, ცოლი, საყვარელი). სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მატერიალურ სიმყარეს ენიჭება და არა ჭეშმარიტი სიყვარულის გრძნობას.

ამის საუკეთესო მაგალითაია ბალზაკის «ადამიანური კომედია», სადაც ზოგჯერ გაიელვებს ხოლმე ადამიანური გრძნობა, რომელიც ბიუროკრტიულ საზოგადოებაში დაჩრდილულია. იქ

სიყვარულს გამდიდრების მიზნით იყენებენ და ადგილი აქვს კონფლიქტს ადამიანურ გრძნობასა და სიმდიდრეს შორის.

სიყვარული და ცხოვრებისეული სინამდვილე ერთმანეთს უპირისპირდება აგრეთვე XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურაში.

ლ. ტოლსტოის «ანნა კარენინაში» ნაჩვენებია თუ როგორ ნელდება მოწონებაზე გამყარებული ემოციური გატაცება. ასეთი ბედი ეწია ანნა კარენინას, რომელმაც ყველაფერი შეწირა სიყვარულს, მაგრამ ბრონსკის გატაცება დროებითი აღმოჩნდა.

ანას თვითმკვლელობა ისეთი სიყვარულის ტრაგედიაა, რომელიც უდროოდ და უადგილოდ აღმოცენებულა, დაუჩრდილავს ოჯახური ცხოვრება და დაღუპვამდე მიუყვანია იგი.

ადამიანის ფსიქოლოგიზმსა და აფექტზეა აგებული დიმიტრი კარამაზოვისა და გრუშენკას სიყვარული დოსტოევსკის «ძმები კარამაზოვები». აქ შეყვარებულთა განცდები და ემოციები შერწყმულია სუბიექტის ბუნებასთნ და წმინდა ფსიქოლოგიური ხასიათები ხშირად სიყვარულის ფონზეა გახსნილი.

სულ სხვაგვარად იდგა სიყვარულის საკითხი აღმოსავლურ ლიტერატურაში, სადაც აღწერილია გარეგნულ სილამაზეზე დამოკიდებული სიყვარული, რომელიც ხშირად ვნებიან გატაცებაში გადადის. ამაზე მიუთითებს ვისისა და რამინის სიყვარული «ვისრამიანში», რომელიც ერთგულებასთან ერთად ზოგჯერ ღალატსაც შეიცავს. «ვისრამიანი» წმინადა აღმოსავლური ნაწ-არმოებია და იმ ეპოქას ასახავს, როდესაც ოჯახის წევრებს შორის ქორწინება მიღებული იყო.

გადაჭარბებული გრძნობა და გაგიჟებამდე მისული სიყვარული გვაქვს «ლეილ-მაჯნუნიანში».

სუფიზმის გავლენა და სიყვარულის თავდავიწყება იმდენად ძლიერია, რომ მაჯნუნის გატაცება სცილდება კონკრეტულ ტრფობის საგანს და წარმოსახვით მიჯნურობაში იკარგება. მის-თვის საკუთარი ლეილის პიროვნება გაიგივებულია, რაც სუფისტური აზროვნების გამოხატულებას წარმოადგენს.

ქართულ ორიგინალურ მწერლობაში სიყვარულის თემა საერო მწერლებში გვხვდება. სასულიერო ლიტერატურაში და კერძოდ აგიოგრაფიული ნაწარმოებში, იაკობ ცურტაველის «შუშანიკის წამებიდან», ქართული ლიტერატურის ისტორიის II პერიოდის დასასრულამდე, მხოლოდ საღვთო სიყვარული გვაქვს და სამიჯნურო სიყვარული დაგმობილია. იგი პირველად შოთა რუსთაველის «ვეფხიტყაოვსანში» გვხვდება.

როგორც კლასიკურ ნაწარმოებებს ახასიათებთ, პოემაში ამბავი არისტოკრატიულ საზოგადოებაში ტრიალებს. და ამდენად სიყვარულისა და სოციალური გარემოს დაპირისპირება მოხსნილია.

რუსთაველთან სიყვარულის ქარგა ქართულ მორალსა და ხასიათებზეა აგებული და უფრო ნაკლებად იგრძნობა აღმოსავლური გავლენა.

«ვეფხვისტყაოსანში» სიყვარულის გრძნობა შერწყმულია მეგობრობასა და პატროიოტიზმთან, ეს კომპლექსი რეალური თვალითაა დანახული და მასში ცხოვრებისეული პრინციპები სჭარბობს. იგი თავისუფალია როგორც რელიგიურ-ასკეტური, ისე წუთიერი ვნებიანი გატაცებისაგან.

მიჯნურობის მრწამსია ადამიანში ესთეტიკური გრძნობის ამაღლება, რასაც ავთანდილი «ანდერძში» გამოსთქვამს: «წაგიკითხავს სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ?...» «სიყვარული აგვამაღლებს, ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ.» (30-221).

სამშობლოს და სატრფოს სიყვარული განუყოფელია. ამ საკითხში რუსთველის აზროვნება დანტეს აზროვნებაზე მაღლა დგას. ქაჯეთის ციხეში დატყვევებულმა ნეტსან-დარეჯანმა ტარიელს მასთან ერთად სიკვდილი კი არ მოსთხოვა, როგორც ბეატრიჩემ დანტეს, არამედ სამშობლოს დაცვა დაავალა და მისგან სიცოცხლის შენარჩუნება მოითხოვა ქვეყნისა და სიყვარულის საჭიროებისათვის. «წადი, ინდოეთს მიმართე არგე რამ ჩემსა მშობელსა!». «შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისა»... «შენ მკვდარსა გნახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა».

«ვეფხიტყაოსანის» სიყვარული წმინდა ადამიანურია. ქართულ ლიტერატურაში რუსთაველით იწყება ამაღლებული სიყვარულის ტრადიცია.

XIX საუკუინის მეორე ნახევარში კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს სიყვარულსა და სოციალურ უთანასწორობას შორის არსებულ კონფლიქტზე.

ალ. ყაზბეგმა ყველაზე მკვეთრად დააყენა საკითხი სიყვარულისა და სოციალურ-ეროვნული ჩაგვრის შესახებ. (ეს კომპლექსი მანამდე იშვითიადად გვხვდება ქართულ მწერლობაში). მის შემოქმედებაში სიყვარული სხვადასხვა მხრიდანაა გაშუქებული.

თუ «ელგუჯაში» სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრასთან სიყვარულიც იჩაგრება და იწვევს შეყვარებულთა ტრაგედიას, რასაც ზედ ერთვის ცალმხრივი სიყვარულით გამოწვეული სიმწარე, «ხევისბერ გოჩაში» თავისუფლებასა და ადამიანის სინდისთან შერწყმული სიყვარულის ბედია აღწერილი და მისი მწარე ხვედრი სიყვარულის გარეშე ქორწინებით არის გამოწვეული.

თანამედროვე ლიტერატურაში, მიუხედავად იმისა, რომ სიყვარული მთლიანად თავისუფალია რელიგიურ-სოციალური დოგმებისაგან და უფრო წითელი ფერებით აისახება, არ სცილდება ყოფითი ცხოვრების ფარგლებს. მართალია, სწრაფვა სასიკეთო და გულწრფელია, მაგრამ მას ის ღრმა სულიერი საწყისები არ გააჩნია, რომელთა მიგნება და გამომზიურება ვ. ბარნოვს ეკუთვნის.

ქართული საბჭოთა მწერლობა, როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვეობის ამსახველ თემატიკას აქტუალობის პრინციპებიდან განიხილავს და ამდენად სიყვარულის ზნეობრივი კონცეფციაც ორივე ჟანრის მწერლობაში უცვლელად წარმოგვიდგება.

ლ. გოთუას «გმირთა ვარამში» ზაზასა და თამარის სიყვარული, ისევე იხრის ქედს გარემოებათა წინაშე როგორც თანამედროვეობის ამსახვლ მოთხრობაში «ნისლი ნახატარის ტყეში» აღწერილი სიყვარული. შეყვარებულებს აკლიათ ის ღრმა შინაგანი ურთიერთსწრაფვა, რაც დამახასიათებელია ბარნოვის გმირებისათვის.

«გმირთა ვარამის» მიხედვით შესაძლებელია ერთისადმი სიყვარულის პარალელურად იშვას სხვისადმი გატაცება თუ სიყვარული, რაც თავისთავად ბარნოვის კონცეფციის საწინააღმდეგო დებულებას წარმოადგენს.

«ერთხელ გამტყუნებული სიყვარულის ნდობის აღდგენა უფრო ძნელია ვიდრე თავიდან შეყვარება. _ «წერს კახნიაური ხალიანს. რაც საერთოდ გამორიცხავს სიყვარულის უცვლელ და მარადიულ არსებობას.

კ. გამსახურდიას «დიდოსტატის მარჯვენაში» ასახული არსაკიძისა და შორენას სიყვარული, მართალია თავდადებით და ერთგულებით ამაღლებულია, მაგრამ ხელოვნება _ არსაკიძის ძირითადი გატაცებაა. არსაკიძე სულს უძღვნის სვეტიცხოველს და არა შორენას. ბარნოვთან კი სიყვარული მოიცავს და წარმართავს გმირის როგორც მთელ სულიერ სამყაროს, ისე მის მოღვაწეობას. აქ სიყვარული და ხელოვნება განუყოფელია.

სიყვარულის ბარნოვისეული კონცეფცია ფილოსოფიურ კონტექსტში

ვ.ბარნოვის სიყვარულის კონცეფციას შეიძლება თავისი საფუძვლები და პარალელელბი მოეძებნოს ქრისტიანულ სარწმუნოებაში. ძვ.ქართულ ლიტერატურასა და ფილოსოფიაში.

ბარნოვისეულ სიყვარულში საკმაოდაა ქრისტიანული ელემენტები. სულიერის უპირატესობა ხორციელთან, საიქიო სიყვარულის არსებობა და ტანჯვის მეშვეობით ზნეობა ქრისტინაულია. მაგრამ ეს არის ნორჩი ქრისტიანობა და არა საეკლესიო კანონისტიკა, რომელიც უკანა პლანზე აყენებს ხორციელ სიყვარულს და მხოლოდ სულიერ სიყვარულს აღიარებს, ამ მხრივ სააქაო ნაკლებად გაიაზრება. ხოლო ბარნოვისეული სიყვარულის ძირითადი აზრია ადამიანი ამქვეყნად აზიაროს ბედნიერებას, რისთვისაც სულიერთან ერთად ხორციელ სიყვარულსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

სარწმუნოება ზღუდავს ადამიანს, რელიგიურ დოგმებში კეტავს მის სულს, და ამ გზით აღწევს სრულყოფას. სიყვარული კი ათავისუფლებს პიროვნებას, მის გარემოცვაში დოგმების გარეშე აღწევს ადამიანი სრულყოფას.

ბარნოვის გმირთა ფსიქოლოგიაში ქრისტიანული კაცთმოყვარეობა და სულიერი სისპეტაკე შერწყმულია წარმართულ სიმშვენიერესთან. მაგრამ სულიერი მხარე ქრისტიანულია და წარმართობაც წარმოდგენილია არაპატრიარქალური სახით, არამედ იგი გვევლინება, როგორც ქრისტიანობასთან შერწყმული დახვეწილი სისტემა.

ორი სხვადასხვა მსოფმხედველობის სინთეზი შემთხვევითი არ არის, მწერალმა იგი ქართველი კაცის ფსიქოლოგიაში აღმოაჩინა. ამ ორი საწინააღმდეგო რელიგიური ტენდენციების ერთიანობა ქართველი ერისთვისაა დამახასიათებელი. ბარნოვმა მიაგნო ამ შერიგებულ წინააღმდეგობას და შექმნა თავისებური თეორია. სიყვარულში გააერთიანა ქრისტიანობისა და წარმართობის საუკეთესო პრინციპები და ცხოვრებისეული სინამდვილესთან დაახლოვებით შექმნა სიყვარულის თავისებური სისტემა, რომელიც გრძნობას რელიგიურ ღმერთს უკავშირებს და ეს გაღმერთება ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებას ერწყმის.

წარმართული ელემენტების სიჭარბე ბარნოვის შემოქმედებაში გამოიწვია ერთი მხრივ, ქართული ეთნოგრაფიის გავლენამ და მეორე მხრივ, ანტიკური ფილოსოფიის ღრმა ცოდნამ.

ბარნოვისეული სიყვარულის ერთ-ერთ წყაროდ შეიძლება პლატონის ფილოსოფია მივიჩნიოთ. ბარნოვის შეხედულებანი უმრავლეს შემთხვევაში ემთხვევა პლატონის «ნადიმში» სიყვარულზე გამოთქმულ აზრებს.

პლატონს ეროსი ყველა უკვდავზე უძველეს და იდეალურ ღვთაებად მიაჩნია, რაც ბარნოვისეული გაღმერთებული სიყვარულის წინამძღვრად უნდა ჩაითთვალოს. აზრი სულის უკვდავებისა და საიქიო ნეტარების შესახებ პლატონიდან იღებს დასაბამს.

ბარნოვის შემოქმედებისათვის დამახასიათბელი თანდაყოლილი სიყვარულის გრძნობა და წინასწარ დასახული ორეულის არსებობა «ნადიმში» გადმოცემულ «დაკარგული ცალის ძიების» პრობლემას უკავშირდება.

მაგრამ პლატონი მიუწვდომელ და განუხორციელებელ «იდეალურ» სიყვარულს ქადაგებს. ბარნოვს კი სურს «ორად გაკვეთილი» ინდივიდუმი სიყვარულით შეაერთოს და მიჯნურობის მეშვეობით აღადგინოს პიროვნების მთლიანობა და რადგანაც სიყვარული უმაღლესი წესრიგია «შუა

განკვეთილი» არსების შეერთებით და სრულყოფით ქვეყნად წესრიგი დამყარდება. შეერთების პრობლემა მწერალმა პლატონისაგან განსხვავებით სულიერთან ერთად ხორციელი, ფიზიკური ერთიანობის პრინციპით გადაჭრა, რითაც უკუაგდო ირეალური მჭვრეტელობითი სიყვარული და თავისებური ზნეობრივი სიყვარულის თეორია შექმნა.

ვ. ბარნოვის არგუმენტაცია სიყვარულში მსგავსებას პოულობს ევროპის ახალი დროის ფილოსოფიაში. კერძოდ ბევრი საერთო აქვს ლ. ფოიერბახის მოძღვრებასთან რწმენისა და სიყვა-რულის შესახებ. ფოიერბახის აზრით, სიყვარული აგებულია პიროვნების ნებისყოფასა და სურვილზე დაყრდნობით. ეს არის თავისუფალ ადამიანთა გონივრულ მოთხოვნილებებზე დამყარებული გრძნობა, რომელიც პიროვნების ინტერესებიდან გამომდინარეობს და სარწმუნოებას უპირისპირებდა.

რელიგია ზოგად დაკანონებულ პრინციპებსა და დოგმებს ეყრდნობა, რომელთა დარღვევა აკრძალულია, ხოლო სიყვარული ყოველგვარ შეზღუდვას გამორიცხავს, მისთვის არ არსებობს ერთხელ მოცემული კანონი.

იგივე აზრია გატარებული ბარნოვის შემოქმედებაში. «ტრფობა წამებულში» მკაფიოდ ჩანს ავტორის შეხედულება სიყვარულისათვის ჩადენილი ცოდვის გამართლებისა და სამართლინობის შესახებ. ასეთ ცოდვაში ჭეშმარიტება იმალება და სიკეთეა დაფარული.

ფოიერბახთან სიყვარულის გარემოცვაში პიროვნება კარგავს საკუთარ ინდივიდუალობას, ბარნოვის გმირი კი სიყვარულის მეშვეობით სრულყოფილი ხდება და თავის პიროვნებას ეუფლება, სიყვარული მისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარობს და თვითონ არის ღვთაებრივი საწყისი, რომელიც შეიცავს როგორც კონკრეტულს, ისე ზოგადს. ფოიერბახი სიყვარულის წამყვან ფაქტორად გონივრულ საწყისს მიიჩნევს, ხოლო ბარნოვთან პირველადი გრძნობაა, რომელშიც მოცემულია სიყვარულის კონკრეტული გამოხტულება და მისი შეგრძნების ყველაზე რეალური საშუალება. გონებრივი განსჯა სიყვარულის შეზღუდვის საწყისია, რომელიც აუცილებლად ითვალისწინებს სოციალურ და მატერიალურ გარემოს. აღნიშნული პრობლემა სიყვარულთან მიმართებაში მკვეთრად შეინიშნება თანამედროვე ცხოვრებაში და ბარნოვის შემოქმედებაში დასმული საკითხი სიყვარულის გრძნობის პირველადობის შესახებ რეალურ სინამდვილეში პოულობს განხორციელებას.

სიყვარულის ბარნოვისეულ კონცეფციას თავისი წანამძღვრები მოეძებნა ქართულ ფოლკლორში. ხალხური ზეპირსიტყვიერებისთვის ისე, როგორც ბარნოვის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია სიყვარულისათვის სოციალური და მატერიალური უგულვებელყოფა. («ეთერიანი», ზღაპარები: «ხელმწიფისა და მისი სამი შვილის ამბავი», «გერი გოგონა», «ტყის ქალი» და ხსვ.).

ვასილ ბარნოვის შემოქმებდებაში ასახული ხორციელი სიყვარული, ჭარბი ცხოვრებისეული ელემენტები ფოლკლორიდან იღებენ დასაბამს. ხალხურ პოეზიაში ასახულია განწმენდილი ხორციელი ლტოლვა, რაც ბარნოვთან თითქმის სისტემას ქმნის. გარდა სიყვარუთან დაკავშირებული პრობლემებისა, ხალხური შემოქმედების ძალა აირეკლება ბარნოვის თხზულებებში ეთნოგრაფიული ჩვევების წარამრთული რიტუალების და აზრის თავისუფლების ასახვისას.

ზნეობრივი პრობლემა იდეურად აერთიანებს ვ. ბარნოვის მთელ შემოქმედებას. ამ პრობლემას მწერალი სიყვარულის ფონზე აშუქებს. სიყავრულის მარად უკვდავი ძალა განსაზღვრავს ყველა

სხვა ეთიკურ და ფილოსოფიურ კატეგორიას. პერსონაჟთა მთელი ცხოვრება, ზნეობრივ გმირთა ბედი და უბედობა განპირობებულია სიყვარულთან დამოკიდებულებაში. თავისი შემოქმედებითი მწერალი ქმნის სიკეთისა და ჰუმანიზმზე აგებულ სიყვარულის სარწმუნოებას.

ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში ასახული ზნეობრივი სიყვარულის კონცეფციას ზოგიერთ ასპექტში შეიძლება მოეძებნოს პარალელები ქართთულ ლიტერატურაში, ფოლკლორში, ანტიკურ ფილოსოფიასა და ქრისტიანულ მოძღვრებაში. მაგრამ მწერალმა თავის ზნეობრივი კონცეფცია ქართველი კაცის ბუნებაში აღმოაჩინა. მისი ფსიქოლოგიისა და ხასიათების ღრმა ცოდნისა და ანალიზის საფუძველზე შექმნა ზნეობრივი სიყვარულის თავისებური თეორია, თავისი შინაარსითა და ფორმით ეს არის ქართული ეროვნული კონცეფცია, რომელსაც ზუსტად შესატყვისი პარალელები მსოფლიოს არც ერთ მწერალთან თუ ფილოსოფიასთან არ მოეძებნება.

რელიგიის იდეა რწმენა და მორჩილებაა. ღმერთის შესაცნობად ერთ-ერთი პირობაა ცხოვრებიდან განდგომა. სიყვარული კი ცხოვრების გარეშე არ არსებობს. მისი ძალა რომ იგრძნო და გააცნობიერო, ამისათვის ადამიანებთან უნდა ცხოვრობდე.

სიყვარულის იდეა ამქვეყნიური ბედნიერება და თავისუფლება, რაც სატრფოს მიმართ ერთგულებით მოიპოვება და პიროვნებას სამუდამო ნეტარებას ანიჭეებს. მისი ძირითადი პრინციპია ადამიანი სიცოცხლეში აზიაროს ცხოვრების სიამეს.

ამ მხრივ სიყვარული ძალიან შორდება ქრისტიანობას. რელიგია მხოლოდ იმქვეყნიურ სასუფეველზე ზრუნას.

ბარნოვის სასულიერო წარმოშობა და მისი უდიდესი განათლება თეოლოგიაში გვაფიქრებინებს, რომ მის შემოქმედებაში სულის განწმენდა, მარადიული სიკეთისა და საიქიო ცხოვრების რწმენა ქრისტიანობიდან მომდინარეობს, მაგრამ მწერალმა ადამიანის შინაგანი სიწმინდე და ჰუმანიზმი წამოსწია წინ, სიყვარულს დაუკავშირა და თავისებური რელიგია შექმნა, რომელიც ადამიანებს სიყვარულისადმი თაყვანისცემას ჩააგონებს.

ბარნოვის გმირთა ფსიქოლოგიაში ქრისტიანული კაცთმოყვარეობა და სულის სისპეტაკე შერწყმულია წარმართულ სულისკვეთებასა და გარეგნულ სიმშვენიერესთან. წინააღმდეგ ქრისტიანული რელიგიისა, შეყვარებულები სულიერთან ერთად ხორციელი სიახლოვისკენაც მიისწრაფიან. მათი შეუზღუდავი შინაგანი ბუნების ანალიზისას წარმართული ურთიერთობა იჩენს თავს.

«ვ.ბარნოვის მგრძნობიარობის და აზროვნების საფუძველი არსებითად წარმართულია. რით აიხსნება ეს? მას უცხოვრია წარმართულ ატმოსეროში, რომელიც ჯერ კიდევ ასე ძლიერია არა მარტო მთაში, არამედ საქართველოს დაწინაურებულ პროვინციებშიც, მას შეუსწავლია ჩვენი ხალხური წარმართობის ზნე-ჩვეულებები, რომელიც საბოლოოდ არასოდეს დაუჩრდილავს და მოუსპია ქარისტიანობას» (10-176).

მაგრამ ბარნოვთან წარმართობა წარმოდგენილია არა პატრიარქალური სახით, რომელიც სიველურეში გადადის, არამედ იგი გვავლინება, როგორც ქრისტიანობასთან შერწყმული ეთნოგრაფიული სისტემა.

ორი სხვადასხვა მსოფლმხედველობის სინთეზი შემთხვევითი არ არის. მწერალი ქართველი კაცის ფსიქოლოგიიდან ამოდის. ამ ორი საწინააღმეგო რელიგიის რიტუალობისა და ადათწესების დაცვა, ქართველი ერისთვის დამახასიათებელია. ბარნოვმა მაიგნო ამ შერიგებულ წინააღმდეგობას

და მის საფუძველზე ააშენა სიყვარულის თეორია, სადაც ქრისტიანობის გვერდით ჭარბად გვხვდება წარმართული შეხედულებები.

შეყვარებული გმირები გამოირჩევიან სხეულის ანტიკური მშვენიერებით. ქალის არსებაში, უპირველეს ყოვლისა, მწერალს სილამაზე მიაჩნია გადამწყვეტ ძალად, რადგანაც სიყვარულით გამშვენიერებული სული მშვენიერ და ჯანსაღ სხეულში უნდა არსებობდეს.

ბარნოვის შემოქმედებაში «ქალის მშვენიერება, რომელიც ასე ძუნწადაა გაბნეული დედამიწაზე, წარმართის თვალთითაა დანახული და წარმართულ ატმოსფეროშია გახვეული, თითქოს სიონი და ანჩისხატი, სადაც დღესასწაულებრივად გამოწყობილან ქალ-ვაჟნი დღეობაში და წირვაზე ერთმანეთს ხვდებიან, ქრისტიანული სამლოცველო კი არა, ვენერას ტაძარი იყოს». (10-274).

მწერალმა სიყვარულში გააერთიანა ქრისტიანობისა და წარმართობისათვის დამახასიათებელი პრინციპები და ცხოვრებისეულ სინამდვილესთან დაახლოებით შექმნა რელიგიური სიყვარულისაგან განსხვავებული სიყვარულის სისტემა, რომელშიც სინამდვილეში გრძნობას აღმერთებს და ეს გაღმერთება ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებას ერწყმის.

ზემოთ აღინიშნა, რომ ვ. ბარნოვის კონცეფცია სიყვარულისა და მშვენიერების არსის გარკვევაში ძვ. ბერძნულ ფილოსოფიასთანაა ნაზიარები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისთვის უცხო იყო ახალი ფილოსოფიის იდეები და დასავლეთის კლასიკოსთა ნააზრევი. სიყვარულის პრინციპების ჩამოყალიბების საკითხებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მწერალი საკმაოდ ახლოს დგას გერმანელ კლასიკოს მოაზროვნეებთან, კერძოდ. მისი შეხედულებები რწმენასა და სიყვარულზე ენათესავება ფოიერბახის ნააზრევს.

ლ. ფოიერბახმა ქრისტიანული რელიგიის ანალიზისას შეაფასა მისი ორი ძირითადი მხარე _ რწმენა და სიყვარული და მათი დაპირისპირების საფუძველზე შექმნა სიყვარულის თავისებური გაგება, რომელიც აგებულია პიროვნების ნებისყოფასა და სურვილზე დაყრდნობით. ეს არის თავისუფალ ადამიანთა გონივრულ მოთხოვნილებებზე დამყარებული სიყვარული, რომელიც პიროვნების ინტერესებიდან გამომდინარეობს და სარწმუნოებას უპირისპირდება. რელიგია ზოგად დაკანონებულ პრინციპებს და დოგმებს ეყრდნობა, რომელთა დარღვევა აკრძალულია, ხოლო სიყვარული ყოველგვარ შეზღუდულებას გამორიცხავს, მისთვის არ არსებობს ერთხელ მოცემული კანონი..

იგივე აზრია გატარებული ბარნოვის შემოქმედებაში. «ტრფობა წამებულში» მკაფიოდ ჩანს ავტორის შეხედულება სიყვარულისათვის ჩადენილ ცოდვის გამართლებისა და მისი ჭეშამარიტიების შესახებ.

აშოტისა და შუქიას სიყვარული დანაშაულია ოჯახისა და ეკლესიის წინაშე, მგრამ ამ შეცდომაში ჭეშმარიტება იმალება და ცოდვაში სიკეთეა დაფარული.

გრძნობის დათრგუნვა პირონული თავისუფლებისადმი ღალატი იქნებოდა, რადგან მათი სიყვარული იყო შინაგანი სურვილი, რომელიც მოიცავს ადამიანის ნებისყოფასა და მთლიან არსებას.

პიროვნებას სულიერად არ შეუძლია წინ აღუდგეს საკუთარ მისწრაფებას, სიყვარულისადმი ღალატი კი საკუთარი პიროვნებისადმი დაპირისპირებას უდრის და ჭეშმარიტების უარყოფას უთანასწორდება. ამიტომ უჭირს შეყვარებულს სიყვარულის უგულვებელყოფა, დაპირისპირება, რასაც

მოწმობს შუქიას პასუხი გრიგოლის მიმართ: «წმინდაო ღვთისაო! თავსა ზედა ჩემსა ვერ თავისუფალ ვარ: გარდარეული სიყვარული აქვს ჩემ მიმართ მეფეს.» (5382).

სიყვარული ადამიანთა დაახლოების, მათ შორის ყოველგვარი ზღვარის მოშლაა და პიროვნების შინაგანი ბუნების ამაღლებას ქადაგებს.

«რწმენა განაცალკევებს ღმერთებს... სიყვარული კი განაზოგადებს». «სიყვარული აიგივებს ადამიანს ღმერთთან (21-340-319).

ამ საკითხში ბარნოვისა და ფოიერბახის შეხედულებები სავსებით ეთანხმებიან ერთმანეთს. ბარნოვის მთელი შემოქმედება ესაა შეყვარებულის ღმერთთან გატოლების, მისი ღვთაებად შერაცხავის დასაბუთება.

სიყვარულის უსასრულობაში თავდავიწყების შედეგად პიროვნება საკუთარ ინდივიდუმს ეუფლება:

ბარნოვისეული სიყვარულიც ამ პრინციპებზეა აგებული. მისი გმირები სიყვარულის გაცნოებიერების დროს აღმოაჩენენ საკუთარ პიროვნებას და როდესაც გრძნობათა თავდავიწყებაში იკარგებიან, სატრფოს არსებაში პოულობენ საკუთარ პიროვნებას.

ეს თავისებურება საღვთო სიყვარულს არ ახასიათებს, ამასვე აღნიშნავს ფოიერბახი.

მისი აზრით, ქრისტიანული სიყვარული, ღმერთებისადმი ტრფობაც გარკვეულ გრძნობაზეა აგებული, მაგრამ აქ ადამიანი ნიღბავს თავის გრძნობებს, სხვა მოტივირებას აძლევს მას.

ქრისტიანი ასკეტი ღმერთან მიახლოებისას კარგავს საკუთარ ინდივიდუალობას, წმინდა პიროვნულის ადგილზე დგება ზოგადი ჭეშმარიტება, აბსოლიტური სიკეთე _ ღმერთი. პიროვნული სიცარიელის ასავსებად მასში ჩნდება ზოგადი გრძნობა.

«მონაზონი იწინდება ღმერთთან, მას ჰყავს ზეციური საქმრო, ბერს _ ზეციური სასძლო, მაგრამ ზეციური ქალწული მხოლოდ თვალსაჩინო დასაბუთებაა ზოგადი ჭეშმარიტებისა, რომელიც რელიგიურ არსებობას ეხება ადამიანი ღმერთში დაადასტურებს იმას, რასაც ის თავის თავში უარყოფს. (21-34).

ბარნოვთან სიყვარულისთვის პიროვნულის უარყოფა არ არის საჭირო, რადგან სიყვარული გმირის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს, იგი თვითონ არის ღვთაებრივი საწყისი, რომელიც შეიცავს როგორც კონკრეტულს, ისე ზოგადს.

რაც ფოიერბახთან ღმერთია, ის ბარნოვთან სიყვარულია. ის არის ღვთაებრივი ძალით მოსილი მიწიერი გრძნობა, რელიგიური ირეალობისა და მორჩილებისაგან განთავისუფლებული.

ფოიერბახი სიყვარულის წამყვან ფაქტორად გონივრულ საწყისს მიიჩნევს. მისი აზრით, შეყვარებულის გული გონებას უნდა ემორჩილებოდეს, რადგან მისი მთავრი პრინციპი შესაძლე-ბლობათა განსჯაში მდგომარეობს.

3. ბარნოვის შემოქმედებაში კი პირველადი გრძნობადი ფაქტორია. გრძნობაში მოცემულია სიყვარულის კონკრეტული გამოხატულება და მისი შეგრძნების ყველაზე რეალური საშუალებაა.

მაგრამ ეს თავისებური გრძნობაა. იგი საიდუმლოდ არსებობს ადამიანში და სიყვარულის შეუცნობელ ძალას გამოხატავს, რომელიც პიროვნებაში ტრფობისა და მისი გაცნობიერების პროცესს წარმართავს.

ბარნოვთან გრძნობა არ განასხვავებს ადამიანებს სოციალური, ეროვნული, სარწმუნოებრივი წარმოშობისა და ინტელექტუალური დონის მიხედვით. გონებრივი განსჯისას კი ყველა ზემოთ

ჩამოთვლილი უთანასწორობა იჩენს თავს და სიყვარული ობიექტური რეალობისა და მკაცრი ცხოვრების წინაშე დაჩრდილული სინამდვილის ფონზე უჩინარდება.

ეს გრძნობა არ არის სტიქიურ ემოციებზე დამყარებული ლტოლვა და არც სექსუალურ ვნებამდე დაიყვანება, მასში იდუმალი სურვილია განხორციელებული და შეყვარებულს სიყვარულის ზეშთაგონებას ამცნობს.

ამ გრძნობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ნოშრევანისა და თინათინის, ლევანისა და ლეილ-ყიზის, აშოტისა და შუქიას, ელიზბარისა და ლიზიკოს სიყვარულის არსებობა, რადგან სარწმუნოებრივი, სოციალური თუ სხვა ეთიკური ნორმების მიხედვით ეს დაუშვებელი იყო და ცოდვად ითვლებოდა. მაგრამ სწორედ აქ ჩანს ბარნოვისეული სიყვარულის ჭეშმარიტება.

სიყვარული გრძნობისა და გონების ჰარმონიას მოითხოვს და წამყვანი ძალა გრძნობადი საწყისი უნდა იყოს, რადგან გონებრივი განსჯისას ადამიანი თავის სურვილებს გარემო პირობებთან განიხილავს და სიყვარული როგორც პიროვნული მისწრაფება სუბიექტის ბუნებისა, კარგავს თავის ელფერს.

გონებისა და გრძნობის დაპირისპირების საკითხში ფოიერბახისა და ბარნოვის შეხედულებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

ფოიერბახის პრინციპით: «სადაც გონებაა, მხოლოდ იქ სუფევს საყოველთაო სიყვარული». (21-322).

ბარნოვი კი საწინააღმდეგო აზრისაა: «გონება ვერ მისწვდებოდა ამ საიდუმლოს, მხოლოდ გული იგრძნობდა მას. (17-247). _ ვკითხულობთ «მიმქრალ შარავანდედში» ლევან მეფის მსახურთა შესახებ, რომელნიც ვერ ჩასწვდომოდნენ მეფის იდუმალ სიყვარულს.

თინათინის მერყეობა გათხოვებისას გონების და გრძნობას შორის არსებულ წინააღმდეგობას გამოხატავს. გონება სიყვარულის უარყოფას ჩააგონებს და ამქვეყნიური დიდებისაკენ მოუწოდებს. გული კი ურჩევს გაჰყვეს სიყვარულს და ნოშრევანი არჩიოს ლევანს.

ვ. ბარნოვის შემოქმედებაში გრძნობის პირველადობა ქართულ მწერლობაში დამკვიდრებულმა ტრადიციამ განაპირობა, რომელიც შოთა რუსთაველის «ვეფხისტყაოსნიდან» მომდინარეობს.

ქართულ ფსიქოლოგიაში, განსხვავებით ევროპული და, კერძოდ გერმანული ფსიქოლოგიისაგან, უფრო გრძნობადი ფაქტორი სჭარბობს, ვიდრე მშრალი რაციონალიზმი და ამდენად, გრძნობისა და გონების პირველადობის საკითხზე ბარნოვისა და ფოიერბახის შეხედულებათა სხვაობა, ქართული და გერმანული აზროვნებისა და ხასიათების სხვაობაზე მეტყველებს. ნათლად ჩანს, რომ ბარნოვისა და ფოიერბახის შეხედულება სიყვარულისა და სარწმუნოების საკითხებზე ერთმანეთს ემთხვევა. მათი სიყვარულის ესთეტიკური და ეთიკური არგუმენტაცია ერთმანეთის მსგავსია და ერთნაირად ესმით მისი მნიშვნელობა ადამიანში ჰუმანიზმის, სიკეთისა და მორალის აღზრდა-განვითარებისათვის.

განსხვავება შეინიშნება მხოლოდ სიყვარულის მამოძრავებელი ძალის დადგენის საკითხებში.

ფოიერბახი გონებრივ საწყისს მიიჩნევს სიყვარულის წამყვან კომპონენტად, ხოლო ბარნოვი ძირითად ფაქტორად გრძნობად საწყისს აღიარებს.

მიუხედავად ამ მცირე განსხვავებისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ მწერალი კარგად იცნობდა ევროპულ ფილოსოფიას და კერძოდ, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დიდ წარმომადგენლებს, ჰეგელს, ფოიერბახს, შოპენჰაუერეს და სხვ. რომელთა ფილოსოფია შესაძლოა გავლენას

ახდენდა მის მსოფლმხედველობაზე, მაგრამ მწერალი იყო და არა სისტემატიკოსი ფილოსოფოსი, ის უფრო ალღოთი ეძებდა პასუხს საინტერესო კითხვებზე და ვერც ამ ფილოსოფოოსთა ნააზრევით შემოიზღუდებოდა.

მათგან განსხვავებით მწერალი სიყვარულის გაგებაში თავის კონცეფციას მისდევს, რაც ყველაზე მკაფიოდ სიყავრულის გაღმერთებასა და გრძნობადი ფაქტორის პირველობის აღიარებაში გამოიხატა.

ბარნოვისეული სიყვარული ანტიკურ კონტექსტში

სიყვარულის მიმართულებაში ხდება სიკეთისა და ბოროტის დაპირება. სიკეთე სიყვარულის ერთგულთა პიროვნებაში განსახიერება, ხოლო ბოროტება შეყვარებულთა გამთიშველი ადამიან-ებში, რომელიც წინ აღუდგებიან სიყვარულის გრძნობას. მურმანი შეპყრობილია ბოროტებით, რადგანაც მან ეშმაკს მიჰყიდა სული და გათიშა ორი «ერთფერი» შეყვარებული არსება _ აბესალომი და ეთერი. ხოლო ბარნოვთან «არმაზის მსხვრევის» მიხედვით ღმერთებიც კი ბოროტებად გვევლინებიან, რადგან წინ აღუდგნენ სიყვარულს და მოაკვდინეს ამზაილი.

ბარნოვის შემოქმედებაში ასახული ხორციელი და სულიერი სიყვარულის ერთიანობა, ოჯახის ბედნიერებაში სიყვარულის გადამწყვეტი მნიშვნელობა, უსიყვარულოდ პიროვნების სულიერი და ფიზიკური დეკადანსი, სიყვარულის მარადიულობა და უძლეველობა, სოციალური უთანასწორობის უგულვებელყოფა სიყვარულისათვის და სხვა პრობლემები ქართული ფოლკლორიდან მომდინარებენ. ხალხური ზეპირსიტყვიერბა აღნიშნულ საკითხებს, მისთვის დამახასიათებელი ლაკონურობის გამო, ზოგადი და დამთავრებული ფორმით წარმოგვიდგენს, ხოლო მწერალი ამდიდრებს მათ მხატვრული, ფილოსოფიური და ანტიკური სიღრმეებით, სიყვარული ბარნოვთან განვითარებადი სახითაა ასახული, რომელიც გაცნობიერების გარკვეულ პერიოდს მოიცავს და მის უსასრულობაში პიროვნება საკუთარ ინდივიდუმს ეუფლება.

«ეთერიანისა» და სხვა ფოლკლორული ნაწარმოების ანალიზისა და ბარნოვის შემოქმედებასთან სიყვარულის პრინციპებში შედარების შედეგად, შეიძლება ქართული ზეპირსიტყვიერება ბარნოვისეული სიყვარულის კონცეფციის ერთ-ერთ წყაროდ მივიჩნიოთ, მაგრამ მწეალმა სიყვარულის გრძნობის სიღრმეებს ქართველი კაცის ფსიქოლოგიისა და ხასიათებში მიაგნო და ქალ-ვაჟს შორის სატრფიალო ურთიერთობის საფუძველზე ააგო სიყვარულის თავისებური თეორია და შექმნა სიყვარულის პრინციპების სრულიად განსხვავებული სისტემა.

ყოველი ფილოსოფიური, საყოფაცხოვრებო თუ მხატვრული საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული სიყვარულის გრძნობასთან, რომლის არსება მწერლის შემოქმედებითი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის განუყოფელ ატრიბუტს წარმოადგენს.

სიყვარულის კონცეფციის ჩამოყალიბებისას ვ. ბარნოვის შემოქმედებაში თავს იჩენს წარმართული ელემენტების სიჭარბე, რაც გამოიწვია არა მარტო ქართული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის ღრმა ცოდნამ, არამედ ანტიკურმა ინტერესებმა. ბარნოვის მსოფლმხედველობრივი სისტემის ძირითადი პრინციპები პლატონის Fფილოსოფიას

უკავშირდებიან. პლტონის იდეებთან მწერლის ნააზრევის სიახლოვე განსაკუთრებით შეინიშნება სიყვარულის გაგებასთან მიმართებაში.

პლატონური სიყვარულის კონცეფციის გავლენა ბარნოვზე შემთხვევითი არ არის, «მას ანტიკური ფილოსოფოსების ნააზრევი უფრო ხიბლავდა ვიდრე უახლესი დასავლელი სიტყვის ოატატების ღვაწლი და საზოგადოებრივი ზრახვები». (22-312). «როგორც ჩანს, მწერალს ღრმად შეუსწავლია წარმართული აზროვნების წარმომადგენელი ფილოსოფოსები პლატონი, პითაგორელები, ნეოპლატონიკოსები (10-771). რაც ნათლად ჩანს, ლექსისა და სიყვარულის (სამყაროს ერთიანობის დიდ) პრობლემათა გადაწყვეტისას. პლატონის კონცეფციით სიყვარული სამყაროს ერთიანობის დიდი პრინციპია, უნივერსალური ჰარმონიის, სიკეთისა და მშვენიერების წყარო, სამყაროს მრავალფეროვნებას, საგანთა სიმრავლეს ერთიანობა უდევს საფუძვლად ხოლო სიმრავლეში თვლემს მარადიული ტენდენცია პირველადი ერთიანობისაკენ მიქცევისა და მიბრუნებისა. ამ მარადიულ ლტოლვას ყოველი არსის, ყოველი სიცოცხლის ამ ინტიმურსა და ნათელ კანონს სიყვარული ჰქვია სახელად. ბერძნული ეროსის სახით, პლატონის «ნადიმში» სიყვარული არა მხოლოდ გაღმერთებულია, არამ ყველა სხვა ღმერთებზე უფრო მაღლა დგას და ყველაზე უძველესია ღმერთთა შორის. «ეროსი დიდი ღმერთია და მრავალ მიზეზთა, უპირველეს ყოვლისა, კი მისი წარმოშობის გამო ყველაზე საოცარიც ღმერთთა და კაცთა შორის. ის. ყველა უკვდავზე უძველესია. (20-18).

პლატონი არ იძლევა სიყვარულის ღვთაებრიობის მტკიცებას, ეს საკითხი ძვ. ბერძნულ მითოლოგიაშია გადაწყვეტილი, ფილოსოფიაში ეროსი სრულყოფილად ჩამოყალიბებული და ამაღლებული სიყვარულის განსახიერებაა. სიყვარულის ღვთაებრიობა პლატონისათვს აქსიომაა, ხოლო ბარნოვის შემოქმედებაში მისი გაღმერთების იდეა მხატვრულად ასახული, მწერალი მოვლენათა მსვლელობის აღწერასა და მხატვრულ მსჯელობაში აქსოვს საკუთარ შეხედულებებს სიყვარულის ღვთაებრიობის შესახებ. იგი სიყვარულში ღვთაებრივ საწყისებს ეძებს. იგი არა მარტო აიგივებს სიყვარულსა და ღმერთს, არამედ მხოლოდ სიყვარულში ხედავს ღმერთის მოქმედებას. «სიყვარულში ასისახება ბუნება ღვთაებრივი»... «რადგან ნათელი ღმერთი თავის მოქმედებაში სიყვარულია უსაზღვრო, უძლეველი და სამარადისო». (17-54-60). ბარნოვისეული სიყვარულის ღმერთი ნაწილობრივ განსხვავდება რელიგიური ღმერთისაგან, რომელიც ადამიანისაგან მოითხოვს მორჩილებასა და ბრმა რწმენას, ზღუდავს მას დოგმატური კანონებით. სიყვარული კი ათავისუფლებს, სიცოცხლეშივე ამაღლებს პიროვნებას. თუ რელიგიური თვალსაზრისით ღმერთია ადამიანის ცასთან შემაერთებელი, ბარნოვის აზრით, «სიყვარულია ერთადერთი ძალა ადამიანი ცასთან დამაკავშირებელი (17-273).

მწერალი ხშირად უშუალოდ ლაპარაკობს სიყვარულის ღმერთთან გაიგივების შესახებ. «სიყვარული იგივე ღმერთია ხორცშესხმული, რომელს ვეწინააღმდეგე დასაბამითგანო სოფლისა» (17-323) ეუბნება სატანა თინათინს (მიმქრალი შარავანდედში».

სიყავრული არა მარტო გაიგივებულია ღმერთთან, არამედ ისევე, როგორც პლატონთან, მასზე მაღლაც დგას, რადგან იგია სიყვარულის საწყისი «სიყვარული ერთადერთი განხორციელებაა არსისა, რომელიც სიცოცხლის დასაბამია, რადგან სიცოცხლე მის მიერაა შემქნილი». (20-171).

სიყვარულის მიერ რელიგიური სხვაობის უგულვებელყოფა ნათლად ჩანს რომანში «არმაზის მსხვრევა», ნაწარმოების გმირი, წარმართობიდან ქრისტიანობისაკენ გადახრილი ხვარამზე,

მხოლოდ იმიტომ იზიარებდა ახალ სარწმუნოებას, რომ მაცხოვარში სიყვარულის ღმერთს ხედავდა _»სიყვარულის ღმერთიაო ის, სიყვარული თვითონ არისო» (3-637) _ ეუბნება ამზაილს.

მაგრამ, როდესაც ღმერთთა ბრძოლაში დაეცა ამზაილი, რომელიც ხვარამზესთვის სიყვარულს განასახიერებდა, იგი დარწმუნდა, რომ სიყვარულის ღმერთი, სატრფოში იყო გასხივოსნებული, ამიტომ რელიგიურ ღმერთებს, არმაზს და ქრისტეს სიყვარული არჩია, «ჯვარის მადლით» დასამშვიდებლად მისულ ნინოს «ქალმა შეხედა ძნელი შეხედვით, შეიწყვიტა ყელზე ჯვარი და გადასტყორცნა. მოეჭდო ჭაბუკს, დასწვდა ქალი ვაჟის ხანჯალს, დააკლა თავი» (3-556). ეს დრამატული ეპიზოდი ადასტურებს სიყვარულის უძლეველობასა და უპირატესობას რელიგიურ ღმერთთან შედარებით.

პლატონის აზრით, სიყვარული არის სურვილი სიკეთისა და ბედნიერების მარადიული ფლობისა, მისი მარადიული მიზანია სიკეთე, მშვენიერება და აქედან გამომდინარე სურვილი უკვდავებისა. «ეროსი არც მშვენიერია და არც კეთილი იგი არის საშუალო სიკეთესა და ბოროტებას, მშვენიერებასა და მახინჯს შორის «საშუალო ადგილი რომ უჭირავს ღმერთსა და კაცს შუა, ის მთელ სივრცეს ავსებს მათ შორის» (20-50) და ამდენად ძალუძს აამაღლოს ადამიანი, აზიაროს იგი სიკეთესა და მშვენიერებას, მაგრამ ერთნი მისკენ სხვადასხვა გზით ილტვიან, სიმდიდრის გიმნასტიკისა თუ სიბრძნის ტრფიალით აღძრულნი, ამიტომ მათთვის არ იტყვიან უყვართო, არც მიჯნურთ უწოდებენ მათ. მეორენი კი მთელი არსებით ეძლევიან ერთ გარკვეულ სახეს სიყვარულისას, ამიტომ იღებენ მთელი გვარის საერთო სახელს და მხოლოდ მათ მიმართ იხმარება სიტყვებიც სიყვარული, საყვარელი, სასიყვარულო (20-55) მშვენიერებისაკენ მიმავალი სიყვარულის არჩეული სახე ჭეშმარიტებას მოკლებული იქნება, თუ სიკეთესთან ერთად არ ექნება საერთო.

პლატონური სიყვარული აღნიშნული კონცეფცია თავისებურადაა ალიტერილებული ვ. ბარნოვის შემოქმედებაში. მწერლის აზრით, სიყვარული სიკეთისა და მშვენიერებისადმი ტრფიალია, რაც პლატონური პრინციპის აღიარებაა. მშვენიერების ცნებაც ანალოგიურადაა წარმოდეგენილი როგორც «ნადიმში», ისე ბარნოვის თხზულებაში. მაგრამ მშვენიერისა და ტრფობის საგანთა ძიების ობიექტების გაგებაში მათი შეხედულებები ნაწილობრივ შორდება ერთმანეთს. მშვენიერების ცნება პლატონთან ფართო გაგებას იძენს. აბსოლუტური მშვენიერება მოიცავს ყოველივე სხვა კონკრეტულ მშვენიერებას. სიყვარულის მშვენიერებით ამაღლებული ადამიანი იხილავს «_მშვენიერებას მარადიიულს, ხელთუქმნელსა და წარუდინებელს, თავისუფალს ავსებისა და განლევისაგან, მშვენიერებას სახიერს თავის ყველა გამოვლენაში ყველა დროში, ყველა ასპექტში, ყოველი ადგილისა და ყოველი სულდგმულისათვის. მშვენიერება არ წარსდგება მის წინაშე ამა თუ იმ ხატის, ხელის თუ სხეულის სხვა რომელიმე ნაწილის ანდა სიტყვისა თუ ცოდნის სახით, არც მიითვლება მის მიერ როგორც ცალ-ცალკე ფენომენი, მეორეში _ ვთქვათ, სულდგმულში მიწაზე, ცაში თუ სხვა რაიმეში _ გამოვლენილი: არა, ეგ იქნება მშვენიერება თავის თავთან მიწყივ ერთსახოვანი, თავისთავში არსებული და თავისთავადი, რომელთანაც წილნაყარი ყველა სხვა კონკრეტული მშვენიერება იბადება და კვდება, მაშინ როდესაც ის არც ივსება და არც ილევა, არც სხვა ცვლილებას განიცდის რასმე» (20-62-63). აღნიშნულ მონაკვეთში თითქმის სავსებითაა გადმოცემული პლატონის შეხედულება იდეალურ მშვენიერებაზე.

ბარნოვთან მშვენიერება უფრო კონკრეტული სახითაა წარმოდგენილი. მწერალი მშვენიერებას ძირითადად ქალში ხედავს, მას ისევე როგორც პლატონს მიაჩნია, რომ სრულყოფილი მშვენიერების განსახიერება ერთ არსებაში შეუძლებელია, მაგრამ უმთავრესად მაინც ქალშია ჩაქსოვილი მშვენიერების ცნება. «ბუნება სცდილობს განახორციელოს ქალში უმთავრესად სიმშვენიერე, ის ისწრაფვის ზედმიწევნით გამოსახოს მასში ეს უცილობელი დარგი ღვთაებრივი არსებისა» (18-345). ამისათვის არის, რომ ასე ვეთაყვანებით ქალთა მშვენიერებას. ღვთაებად ვსახავთ მშვენიერს, რადგან თვით ღმერთია მასში ერთმხრივ განხორციელებული, გამოთქმული, მაგრამ ბუნების ასეთი ლტოლვილება ადვილად ვერ აღწევს თავის მიზანს, ბუნება ყოველთვის ვერა ჰქმნის ქვეყნიურ მძიმე და ბნელ ნივთიერებისაგან ზეციურ ნათელის შესაბამ სახეს (18-345).

ხილული მატერიალური არსისაგან ჭეშმარიტი მშვენიერების სახე არ შეიქმნება, მშვენიერი სხეული ერთ-ერთი კონკრეტული მშვენიერებაა. მარადიული მშვენიერების ერთი დარგია. რომლის ხილვისათვის აუცილებელია მეორე, სულიერი მშვენიერების შექმნა. ამ მშვენიერბი ფორმების გავლით მიდის სიყვარულის გზა უმაღლესი მშვენიერებისაკენ _ ზეციური ნათელისაკენ.

პლატონის მიხედვით გზა აბსოლუტური მშვენიერებისაკენ უფრო ფართო და მრავალმხრივია, გზა ჭეშმარიტი სიყვარულისა... ესაა გზა მშვენიერ საგანთაგან უმაღლეს მშვენიერებაზე თანდათნობით გადასვლისა და თითქოს საფეხურებს მიჰყვებაო კიბისას, ერთი მშვენიერი სხეულიდან ორზე, ორიდან კი ყველა მშვენიერ სხეულზე უნდა გადადიოდეს, მშვენიერ სხეულთაგან მშვენიერ საქმეებზე, მშვენიერ საქმეთაგან კი მშვენიერ მოძღვრებებზე, რათა ამრიგად ეზიაროს იმ მოძღვრებას, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა, მოძღვრება აბსოლუტური მშვენიერების შესახებ და ბოლოს შეიცნოს თვით მშვენიერებაც. (20-63).

პლატონის მსჯელობა მშვენიერების ხილვისა და შეცნობის შესახებ გამორიცხავს ყოველგვარ ფიზიკურ სიახლოვეს მშვენიერ სხეულთან. მისი მთავარი აზრია სულიერი სწრაფვა და მშვენიერების ხილვა გონების თვალით.

ბარნოვის შემოქმედებაში კი, რადგანაც ქალია მშვენიერების განსახიერება, მშვენიერებისადი ლტოლვა და მისი შეცნობა ქალ-ვაჟის შორის სიყვარულის მეშვეობით ხდება. მაგრამ ეს სიყვარული უნდა იყოს სიკეთის სურვილი, სიკეთესთან წილნაყარი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ლტოლვა მშვენიერებისაკენ. მწერალი ასეთ გრძნობას სიყვარულს არ უწოდებს, იგი ბოროტი საწყისების შემცველია და მშვენიერებისადმი ლტოლვასთან არავითარი საერთო არა აქვს. ამიტომ ვერ ამაღლდა თინათინისა და ლევანის ურთიერთობა («მიმქრალი შარავანდედი»). სიყვარულის დონემდე. ისინი შეუღლდნენ არა სიყვარულით, არამედ ანგარებით, გარკვეული პოლიტიკური და სოციალური მიზნით. სიყვარულის გარეშე კი ბარნოვის აზრით, არ არსებობს არავითარი სიკეთე. ბარნოვისეული სიყვარული ყოველთვის სიკეთეს შეიცავს და მისი უარყოფა თავისთავად გულისხმობს სიკეთისა და მშვენიერების უარყოფას. ამიტომ გათიშვით დასრულდა მეფედედოფალის ცხოვრება.

ანალოგიური ცოლ-ქმრული დამოკიდებულებაა აღწერილი ნაწარმოებებში: «ტრფობა წამებული», «დაეწაფა წყურვილით», «სახიფათო სიყვარული», «მეჩვენა», «ნუშო», «ჩვენი ლამპა» და სხვ. სადაც მეუღლეები სიყვარულით არ არიან შეუღლებულნი, მათი ურთიერთობა მოკლებულია

ყოველგვარ სიკეთეს, ისინი ერთმანეთში ვერ ხედავენ მშვენიერებასა და თანდათანობით თავს იჩენს უსიამივნება, რომელიც წარმოშობს ბოროტებას.

სიყვარული, ბარნოვის გაგებით, სიკეთეს განასახიერებს და ადამიანებს აკეთილშობილებს, მხოლოდ მას ძალუძს აზიაროს ადამიანი მარადიულ მშვენიერებას და ნეტარებას, ზეციურ ნათელს და სიკეთეს. მშვენიერებას რომელიც «..თვით უფალია, უფალთა». (17-384).

მშვენიერებასა და სიკეთსთან თანაზიარი სიყვარული, როგორც პლატონის, ისე ბარნოვის კონცეფციით, მარადიული და უძლეველია, პლატონის გაგებით... «ეროსი ყველაზე ძველი, ყველაზე ძალმორჭმული, ყველაზე პატივსაცემი ღვთაებაა უკვდავთა შორის, რადგან ყველაზე მეტად მას ძალუძს სათნოებასა და ნეტარებას აზიაროს კაცი, როგორც ამ ქვეყნად, ისე საიქიოშიც (20_20).

ბარნოვის შემოქმედებაში ასახული «სიყვარული დაუსრულებელია, ვით ჟამთა დენა, უკვდავია ვით ღმერთი» (5-353). იგი შეყვარებულთა სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს არსებობას და საიქიოშიც ხდება მისი ემანაცია.

სიყვარულის მარადიულობის საკითხი ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთილია იმ ნაწარმოებში, რომელთა ფინალში სიკვდილი თიშავს შეყვარებულებს. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მათ სწამთ, რომ იმ ქვეყანად მაინც იქნებიან ბედნიერნი.

მოთხრობა «ტკბილი დუდუკის» დასასრულში სიკვდილის წინ, სარეცელს მიჯაჭვულ ქეთეთოს მიხა ანუგეშებს:

«_ეხლა ჩემი ხარ, ეხლა შენთან ვარ საუკუნოდ» ვეღარავინ მომტაცებს შენს თავს, ვეღარავინ დამაშორებს შენს გულს ვეღარც აქ, ვერც იქ, იმქვეყნად! (19-243).

_მაშ ისევ გიყვარვარ, მაშ არ დამტოვებ, მაშ არ გამიშვებ მარტო?

_არა, გენაცვალე, არაოდეს».

ეს არის იმქვეყნიური სიყვარულის ფიცი და ერთგულების აღთქმა. მათი დაშორება შეუძლებელია, ამიტომ დაჩაგრულ სატრფოს მიხაკოც თან მიჰყვება საიქიოში.

მწერალი ამქვეყნიურ ბედნიერებას ანიჭებს უპირატესობას, რადგან მიწაზე შეყვარებულებს შეუძლიათ იქმნენ «ერთ სულ და ერთ ხორც», მაგრამ თუ სიცოცხლეში ბედმა გათიშა, მხოლოდ მაშინ დგება საკითხი საიქიო ცხოვრების შესახებ და გმირები სულიერ შეერთებაზე ზრუნავენ, რაც სხეულის ჩამოცილების შემდეგ ხორციელდება. ამიტომ მოიკლა თავი ქეთეთოს სიკდილით დაობლებულმა მიხაკომ, მან ხორციელისაგან გაითავისუფლა სული, რომ სატრფოს სულთან შეერთება დაეჩქარებინა.

«კუკიის სასაფლაოზე დავკრძალეთ ქეთეთო.. ორი დღის შემდეგ იქვე გავუთხარეთ სამარე მიხაკოს, ბანგი დაელივნა. ანდერძში მეხვეწებოდა, ქეთეთოსთან დამმარხეთო (19-293).

ბარნოვის გმირებისათვის სიცოცხლის დასასრული სიყვარულის დასასრულს არ ნიშნავს.

სიკვდილის შემდეგ შეყვარებულთა სულებს სიყვარული უკვდავყოფს, რომელიც მოევლინება მათ არა გრძნობის სახით, არამედ მარადისობაში, გადასული პირველი საწყისის ფორმით. სწორედ ასეთი ამაღლებული სიყვარული აღრმავებს შეყვაერბულთა ცნობიერებაში იმქვეყნიური სიყვარულის რწმენას.

იმქვეყნად სული და სიყვარულის არსებობის რწმენა ხაზგასმული აგრეთვე მოთხრობაში «ჩრდილი სიკვდილისა». მომაკვდავ ლიზიკოს გულწრფელად სჯერა, რომ სიკვდილის შემდეგ კვლავ შეხვდება თავის საყვარელ მეუღლეს.

«_ვაი, თუ, საიქიოს ვერღარ გიპოვო, ან ვეღარ გიცნო»! (23-168). ეუბნება ელიზბარს.

ეს ავადმყოფის შემთხვევითი შიში არ არის. ნაწარმოების თითქმის ყველა მოქმედ პირს სწამს საიქიო ცხოვრება და მათთან დაკავშირებით საყვარელი ადამიანის არსებობა.

«...ჩვენი ბუნება ვერ შეთვისებია ადამიანის Yთვითცნობიერების თუნდაც დროებით ჩაქრობას, მე ისე მგონია, რომ სიკვდილი მხოლოდ გაყრაა და განცალკევება მძიმე ნივთიერებისა და იმ საიდუმლო ძალისა, რომელიც განხორციელდება იმ ნივთიერებაში და იმ საიდუმლო ძალისა, რომელიც განხორციელდება იმ ნივთიერებაში და ქმნის პიროვნებას (23-185).

ელიზბარის შეგონებაში ლიზიკოს სიკვდილი მხოლოდ საიდუმლო ძალისა და სხეულის გათიშვაა. ის დარწმუნებულია სულის უკვდავებაში: «მე მგონია, რომ ჩვენგან მიცვალებულნი არსებობენ უხილავად, როგორც თვითცნობიერი პიროვნებები. ესე დამარწმუნა ლიზიკოს გარდაცვალებულებამაც (23-185).

ასეთ დასკვნამდე ელიზბარი სიყვარულმა მიიყვანა. უპირველეს ყოვლისა, მისთვის ლიზიკოა მარად ცოცხალი და დაუვიწყარი, რადგანაც მის პიროვნებაში იყო განხორციელებული უკვდავი სიყვარული.

ნაწარმოებში მოთხრობილი ლიზიკოს მამის სასიყვარულო ეპიზოდებიც მოწმობენ, რომ სიკვდილი ვერ აფერმკრთალებს მეუღლის სახეს დაობლებულ ცალის გულში. ზურაბსაც ევლინებოდა ხოლმე განსვენებული მეუღლე, ესმოდა მისი ხმა და მოჩვენებაშიც სიცოცხლეს ხედავდა.

სიკვდილის შემდეგ საყვარელი ადამიანის გამოცხადებას ბარნოვის შემოქმედებაში სისტემის სახე აქვს. ნებისმიერ ნაწარმოებში, სადაც სიყვარულით დაკავშირებულ ქალ-ვაჟს სიკვდილი თიშავს, გარდაცვლილი განაგრძობს არსებობას და დაობლებულ ორეულს არ სცდილდება.

ეს ტენდენცია ცხადად ჩანს მოთხრობებში «ტკბილი დუდუკი», «აჩრდილი სიკვდილისა», «სულთა კავშირი» და სხვა.

«სულთა კავშირში» არა მარტო ოთარს ეჩვენება მიცვალებული საყვარელი არსება, არამედ ავადმყოფი ბავშვიც ხედავს დედის აჩრდილს: «განწირულმა გააღო თვალი.

_დედა მოსულა! _მიმტკნარებული ხმით ამოიძახა».

გულნაზის ლანდი ბალღისაკენ გამოემართა და პატარამ დაინახა სული ხორცშესხმული» (26-603).

გულნაზის გამოჩენას მიზეზი მარტო დედობრივი გრძნობა არ არის, შვილი ნაყოფია უკვდავი სიყვარულისა და გულნაზისათვის ოთარი და ბავშვი განუყოფელია.

ოთარის სიტყვები მოწმობენ, რომ სიყვარულის ცეცხლი ჩაუქრობელია, ის სულთა შემართებული და უკვდავების მომნიჭებელია.

«_სიყვარული უმძლესია თითონ სიკვდილზე?! სწორედ ასეა! მევლინება სანატრელი არსება მისი, ცხად სახეს იღებს მჭვირვალი-ხორციელს, უსიტყვოდ მეტყვის, შთამაგონებს, მამცნობს თავის ფიქრებს.

მოთხრობაში «აჩრდილი სიკვდილისა» სიყვარულის მარადიულ არსებობა განაპირობებს:

სიკვდილი უძლურია გათიშოს შეყვარებული წყვილი, რადგანაც სიყვარულმა ისინი სამუდამოდ შეაერთა და დაობლებულ ცალს მოუწოდებს მიჯნურთა შორის დარღვეული მანძილის აღსადგენად.

პლატონის კონცეფციისაგან განსხვავებით დროთა ბრუნვაში, როდესაც განსხვავებულ წყვილთა სიცოცხლე კვლავ გამეორდება და მათი სული ისეთივე ფორმას მიიღებს, როგორიც სიკვდილამდე ჰქონდა, სიყვარულის არსებობაც პირვანდელი სახით გამომჟღავნდება.

მწერლის პოზიცია ნათელია: სული მარადიულად არსებობს, სიკვდილის შემდეგ მხოლოდ სხეული ჩამოსცილდება, მაგრამ ინდივიდუმის გამეორებისას სული ისევ შეისხამს სიკვდილამდელ ფორმას და მათი ცხოვრება ხელმეორედ იწყება. საყვარელ ადამიანთა ურთიერთდაახლოება ცხადყოფს, რომ სულსა და ცნობიერებას სიყვარული უკვდავყოფს.

სიცოცხლის გამეორების თეორიული აზრი გამოთქმულია მოთხრობაში «აჩრდილი სიკვდილისა».

«აუარებელ წელთა სიმრავლეში უნდა განიმეოროს შემოქმედმა ნივთიერებამ ქმნილებათა წინადელი სახეები და ეს ყოველთვის, როდესაც ოდესმე ყოფილი არსების შემადგენელი ნაწილები ისევ წინანდებურად შეიყრებიან ერთად და შენივთდებიან იმავე სახით, როგორც იყვნენ შეკავშირებულნი უწინ. მაშინ განმეორდება თვითეული ჩვენთაგანი, მაშინ აღიგზნება თვითეულ ჩვენთაგანში უწინდელი ძალა სიცოცხლისა, უწინდელი ცნობიერება და თვითცნობა» (23-134).

სიყვარულის გრძნობა ცნობიერებაშია მოცემული და «რამდენადაც განმეორებულ პიროვნებას «აღეგზნება და პირიქით უწინდელი ცნობიერება», ამდენად უწინდელი სიყვარულიც გაცნობიერდება.

საფლავის ქვა შეყვარებულებს ვერ თიშავს, როგორც გარდაცვლილ, ისე მიწაზე ობლად დარჩენილ სატრფოს სულში ჩაუქრობლად ანთია სიყვარული. ამქვეყნად მარტო დარჩენილ საყვარელს, იმქვეყნიდან ხშირად მოევლინება ხოლმე განსვენებული შეყვარებული. მათ სწამთ საიქიო ბედნიერებისა და კვლავ ერთმანეთისაკენ ისწრაფვიან.

გამეორებულ პიროვნებებში, რომელიც ოდესღაც არსებობნენ და უყვარდათ ერთმანეთი. სიყვარული ცოცხლობს სიკვდილის შემდეგ, იგი წარმართავს დროთა ბრუნვაში კვლავ გამეორებულ სიკვდილამდე არსებულ სიყვარულით განათებული. სიცოცხლეს, მაგრამ მწერალს სიყვარულის უკვდავება აინტერესებს, რადგან სულის მარადიულობა მას უკავშირდება. მართალია, სული და სიყვარული კავშირში არიან და ერთმანეთს არ უპირისპირდებიან, მაგრამ ვ. ბარნოვი წინა პლანზე სიყვარულს აყენებს, რითაც ქრისტიანობასა და იდეალიზმისაკენ მიდრეკილებას აბათილებს. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს იდეათა სამყაროს არსებობის შესახებ პლატონის მოძღვრების გარკვეული კუთხით ალიტერაციასთან, რომლის მიხედვით იდეები უკვდავნი არიან, კვდებიან მხოლოდ იდეათა მოჩვენებანი, ანარეკლები, ბარნოვისეული სიყვარული მარადიულად არსებულ იდეებს უკავშირდება, როგორც უკვდავი გრძნობა.. წარმავალია მხოლდ არსი, ინდივიდი, როელშიც სიყვარულის იდეა განსახიერდება ხოლო თვით სიყვარული უკვდავი რჩება. პლატონისაგან განსხვავებით ბარნოვის «იდეა-სიყვარულის» ამქვეყნიური ხილული მახასიათებელი უფრო რეალისტური და ადამიანური გრძნობის სახე აქვს, ამასთანავე მისი

საფუძველი მარადიულობა და უკვდავებაა, რომელიც შეყვარებულ გმირთა სულებსაც უკვდავი ჩაუქრობელი ნათლით მოსავს.

გენდერი და სიყვარული ვასილ ბარნოვის პროზაში

პლატონური სიყვარლი არ განასხვავებს ადამიანებს სოციალური თუ მატერიალური, მდგომარეობის მიხედვით. იგი ერთნაირად მოქმედებს როგორც მდიდარზე, ისე ღარიბზე, «მხოლოდ სიყვარულს მიჰყავს კაცი ჭეშმარიტი გზით. ამ ცხოვრებაში და არა გვარიშვილობას, დიდებას მორჭმულობას თუ რაიმე სხვას. (20-17).

ეროსი უარყოფს ქალსა და მამაკაცს შორის მგრძნობელობით სხვაობას, შყვარებულთა ურთიერთობის ერთი ღირსშესანიშნავი თვისებაა სიყვარულში, სრული ემანსიპაცია, ქალის მამაკაცთან თანასწორობა და სრულუფლებიანობა. მხოლოდ ამ გზით მოიპოვება ბედნიერება. მაგრამ პლატონის გაგებით ეს ბედნიერება მეუღლეობაში განხორციელებული ბედნიერებას კი არ გულისხმობს, არამედ აქ იგულისხმება მაღალი მორალური სრულყოფით მოპოვებული ბედნიერება და რამდენადაც ქალსაც ძალუძს აღინთოს სუყვარულის განცდით, ამდენად იგი მამაკაცის თანასწორია.

ბარნოვისეული სიყვარულიც უძლეველი გრძნობაა. მის წინაშე უძლურია, როგორც მატერიალური ისე სოციალური და სარწმუნოებრივი მდგომარეობა..

ბარნოვის ნაწარმოებში. ჩვეულებრივი მოვლენაა სხვადასხვა წოდების ქალ-ვაჟს შორის სიყვარული: «სევდის საგუბარში» მდიდარმა მოხელემ ოთარმა შეირთო ღარიბი ოჯახიდან გამოსული გულნაზი. მოთხრობაში «აჩრდილი სიკვდილისა» ელიზბარი მდიდარი მემემულეა, ლიზიკო დაბალი ფენის წარმომადგენელი. ნაწარმოებში «ნუშო» ჯაგუ მესაკუთრეა, დიდვაჭარი, ნუშო ღარიბი, ობოლი გოგონა. მაგრამ ისინი არასოდეს იხსენებენ თავიანთ სოციალურ წარმოშობას. ჭეშმარიტი სიყვარულისათვის სოციალურ წოდებას და მატერიალურ უზრუნველყოფას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, პირიქით, სიყვარულისათვის კლასობრივი უთანასწორობის უგულვებელყოფა ისეთივე აუცილებელია, როგორც რელიგიური სხვაობის უარყოფა.

სიყვარულისა და სოციალური სხვაობის შესახებ საკითხი მკაფიოდაა ასახული ნაწარმოებებში: «ისნის ცისკარი», «სახიფათო სიყვარული», «ტრფობა წამებული» და სხვა.

«ტრფობა წამებულში» აშოტ მეფისა და შუქიას დაახლოვება ხდება არა რიგითი მებრძოლის ქვრივზე მეფის უფლებების გამოყენებით, არამედ ორმხრივ სიყვარულსა და შინაგან ლტოლვაზე დაყრდნობით. მათ შეერთებას მწერალი მტკიცედ, დამაჯერებლად გადმოგვცემს.

მწერალი ხშირად სრული უაშუალობით ალაპარაკებს გმირებს სიყვარულისათვის ყოველგვარ ქვეყნიურ დიდებათა უარყოფის შესახებ.

«სახიფათო სიყვარულის» გმირი ტასიკო უკიდურეს დრამატულ მდგომარეობაშიც კი უარყოფს მეფის წინადადებას შეუღლების შესახებ.

«მიყვარს ფარნაოზი! ...და როგორ გაიცვლება პურზე თუ ფულზე, დიდებაზე თუ პატივზე, მეფის პორფირზე თუ გლახაკის კონკებზე? ტრფობას რა აქვს მათთან საერთო? ტრფობა ნიჭია ზეციური და უკვდავი, ესენი მტვერნი არიან ქვეყანისა, უსულო წუთიერი (25-181).

სიყვარული ძლევამოსილია უარყოს გვირგვინოსანთა შარავანდედი და მიანიჭოს ბედნიერება ყმასა და მხევალს. მას ძალუძს შეაერთოს მეფე და მხევალი, წაშალოს სარწმუნოებრივი სხვაობა შეყვარებულთა შორის, რასაც მოწმობს ქრისტიან ლევან მეფისა და მაჰმადიანი ლეილ-ყიზის სიყვარული.

პლატონის «ნადიმში» გადმოცემულია მითიური ამბავი ადამიანის ორად გაკვეთის შესახებ. რომელთა შეერთების პრობლემა სიყვარულთან მიმართებაში უნდა გადაწყდეს.

აღნიშნული მითის მიხედვით ოდესღაც ადამიანი ერთ მთლიან ინდივიდუმს წარმოადგენდა. «სფეროსებრი იყო ფორმა თითოეული კაცისა. მრგვალი ფერდები და მრგვალი ზურგი ჰქონდა. იმ არსებას, ოთხი ხელი, ამდენადვე ფეხი და ორიც საოცრად მსგავსი სახე».. (20-33) მათ დააპირეს ცისთვის მიეღწიათ და თავს დასხმოდნენ ღმერთებს. _ კაცთა ძლიერების შემუსვრით ჩვენ შევძლებთ დაღუპვისაგან ვიხსნათ ისინი და მათ თავგადასულობასაც მოვუღოთ ბოლო. ამიტომ ორად გავკვეთთ თითოეულ მათგანს. თქვა თუ არა ეს ზევსმა, სათითაოდ შუაზე გაჰკვეთა ისინი «და როცა შუაზე გაკვეთილი აღმოჩნდა კაცის სხეული, თვითეულმა ნახევარმა, მეორეს წყურვ-ილით გახელებულმა, ძებნა დაუწყო თავის ტყუპისცალს».

«აჰა, საიდან მოკიდებული ღვივის კაცთა გულებში სიყვარული ერთურთისადმი, სიყვარული, რომელიც პიროვნულ სახეს უბრუნებს მათ, ცდილობს გათიშულ ნახევარში ერთ არსებად შერწყმას და გამრთელბას კაცთა ბუნებისა» (20-55).

გათიშულ ნახევართა ერთურთისადმი სწრაფვას უფრო აძლიერებს ზევსის მიერ მათი სქესის მიხედვით დაყოფა, ერთ ნახევარში განსახიერდა მამრი, ხოლო მეორეში მდედრი, რაც საფუძველი გახდა არა მექანიკური შეერთების სურვილისა, არამედ კანონზომიერი მოდგმის გასაგრძელებლად აუცილელი შეუღლებისა.

მაგრამ თავისი ნახევარის ყოველგვარი ძლიერება კი მიაჩნია პლატონს სიყვარულად. «სიყვარული სრულიადაც არ ნიშნავს თავისი ნახევრის ან თუნდაც მთელი თავისი თავის ძებნას, თუ კი ამ ნახევარს და ამ მთელს საერთო არა აქვს რა სიკეთესთან» (20–34).

ბარნოვისეული სიყვარული ყოველთვის სიკეთეს განსახიერებს, რადგან შეყვარებულები ერთმანეთისადმი სიკეთის ფლობის სურვილით ილტვიან. ხოლო სხავა მიზნის გამო ნებისმიერი მისწრაფება ბარნოვის მიხედვითაც არ ნიშნავს სიყვარულს.

დაკარგული ცალის ძლიერებისა და შეერთების საკითხი ბარნოვის შემოქმედებაში თანდაყოლილი სიყვარულის სახითაა წარმოდგენილი.

შეყვარებულთათვის სიყვარულისადმი ლტოლვა თვითმიზანია. ქალ-ვაჟთა წყვილებში განსახიერებულია ერთი და იგივე ძალა, რომელიც შეერთებისაკენ უბიძგს მათ.

გმირთა შეგნებაში ბავშობიდანვე არსებული სიყვარული მათი გაცნობისა და დაახლოვების დროს კი არ წარმოიშობა, ან ოდესღაც მკვდარი და მივიწყებული სიყვარულის აღდგენა კი არ ხდება, არამედ მისი არსებობა ვლინდება და ცნობიერდება.

შეყვარებულ გმირში მობინადრე სიყვარულის იდუმალი სული პირველ დანახვისთანავე ამცნობს მას გულის სწორთან შეხვედრას და იწყება გმირის მიერ საკუთარ პიროვნებაში რსებული სიყვარულის შეცნობა. და აქედან გამომდინარე თავის ორეულთან გამიჯნურება და შეერთება.

«მიმქრალ შარავანდედში» თინათინი და ნოშრევანი ბავშობიდანვე სიყვარულით იყვნენ შთაგონებულში. «ქალ-ვაჟის ერთმანეთისადმი თანაგრძნობა ადრე დაიწყო, პატარაობიდანვე, პირველ ხანებში გამოურკვეველი ხასიათი ჰქონდა, მათ მეგობრობას და ჩაუსახავი მიზანი...» (2-202).

ასაკის ზრდასთან ერთად მათ შეიცნეს, რომ ეს მიზანი სიყვარული ყოფილა, რომლის გაცნობიერება სიყრმეში, თანდათანოვით მიმდინაეობდა.

აზრი, სიყვარულის თანდაყოლილობის შესახებ «პირდაპირ და მკაფიოდაა გამოთქმული მოთხრობაში «ამქრის მშვენება». ბალღობიდანვე თან შეზრდოდა მას (ვანოს) ეს გრძნობა, და ეხლა რომ ფიქრობდა, ვეღარ გაეგო, როდის შეიქმნა მისთვის ესე ცხადი ის მისწრაფება, ან როდის შეიმოსა ძალა უძლეველი» (26-268).

ბარნოვისეული სიყვარულის თავისებურება სრულად და მკაფიოდაა წარმოდგენილი მოთხრობაში «ტკბილი დუდუკი». ამ ნაწარმოებში ნათლადაა გამოკვეთილი არა მარტო სიყვარულის თანდაყოლილობა, არამედ მისი არსებობა გმირის დაბადებამდე. იგი არსებობს არა ცალკე, სულისაგან გათიშული, არამედ მასთან ერთად. სული სიყვარულის გარემოში იძენს უკვდავებას.

ასეთი ადამიანის მკვეთრად გამოკვეთილი ტიპია «ტკბილი დედეკის» გმირი მიხაკო.

მიხას ჰქონდა დასახული იმ ქალის სახეც, რომელსაც ის სათავისოდ გამოვლოდა, რომელიც ჯერ არ შეხვედროდა მას, ის კი ... დარწმუნებული იყო, შეხვდებოდა თუ არა, იცნობდა.

მიხაკო შეხვდა გონებაში წარმოსახულ სატრფოს ქეთეთოს და უმალვე იცნო იგი.

«_სულ შენთანა ვარ, _ ეუბნება მიხა ქეთეთოს, _ ჩემო სიცოცხლე, ბალღობიდანვე ჩემი გონებიდან განუშორებელი იყო შენი თვალები, შენი სახე, შენი ტკბილი ხმა, გნახე და გიცანი (19-291).

რადგანაც გმირის მიერ ოცნებაში დასახული ორეულის პოვნა თვითმიზანია ქალ-ვაჟი ერთმანეთს შინაგანი სურვილით უახლოვდებიან და არა გარეგანი მიზეზით. მათი სიყვარული აუცილებლობაა და არა შემთხვევითობა.

მწერალს სურს «ორად გაკვეთილი ინდივიდუმის არსება სიყვარულით დააკავშიროს და მიჯნურობით აღადგინოს პიროვნების მთლიანობა. შუა გაკვეთილი არსების შეერთებით წესრიგი დამყარდება ქვეყანაზე და რადგანაც სიყვარული უმაღლესი წესრიგია, ამიტომ მას გათიშული ინდივიდუმის შეერთების უნარიც შესწევს.

ბარნოვთან «ტყუპისცალის» ძებნას მითიური სარჩული გამოცლილი აქვს და წყვილთა ორეულებად გათიშვა ბოროტ ძალას მიეწერება. ხოლო მათი შეერთებისადმი სწრაფვასა და პირველი დანახვისთანავე სიყვარულის გაცნობიერებაში ბევრი ფსიქოლოგიური ფაქტორი თამაშობს მთავარ როლს და «გულის სწორთან» შეხვედრის საკითხს უკავშირდება, რომლის ამოსავალი წყარო და საწყისი ისევ მარადიული სიყვარულის არსებობაა.

როგორც პლატონთან, ისე ბარნოვის შემოქმედებაში სიყვარულის ორგვარი გაგება გვაქვს.

პლატონის ზეციურ და მიწიერ აფროდიტეს ეროსს, ბარნოვთან სულიერი და ხორციელი სიყვარული შეესატყვისება.

«მშვენიერია სიყვარული, რომელსაც სათნოებისადმი სწრაფ-ვა ასაზრდოებს... ეს სიყვარული ციური აფროდიტესეული სიყვარულია... ციური სიყვარული საჭიროა როგორც მთელი ქალაქის, ისე ყველა ცალკეული მოქალაქისათვის, რადგანაც აიძულებს მიჯნურს და მის სატრფოს გულმოდგინედ იზრუნონ საკუთარი სათნოების სრულყოფისათვის, ყველა სხვაგვარი სიყვარული კი მეორე, მიწიერი ქალღმერთისაგან მომდინარეობს» (20-27).

ბარნოვის შემოქმედებაშიც უპირატესობა სულიერ სიყვარულს ენიჭება და მიწიერ სიყვარული სულიერი საწყისით განისაზღვრება. მწერლის შეხედულება სულიერი საწყისით განისაზღვრება.

ბარნოვს იგი მაღალ მორალურ გრძნობად მიაჩნია და სწამს, რომ «უებრო სიყვარული მიწის შვილს განასპეტაკებს, განასუქებს, მოციმციმე ვარსკვლავად დასვამს ლაჟვარდ ცაზე». (17-247).

პლატონისაგან განსხვავებით მწერალი ხორციელ სიყვარულსაც ობიექტურად უყურებს და მატერიალისტური თვალით ხედავს მის მნიშვნელობას საზოგადოებისა და პირადი ცხოვრებ-ისათვის.

«ნადიმში» ნათქვამია: «ეროსი მიწიერი აფროდიტესი მართალც რომ მიწიერია და აღვირახსნილი.. ეს ეროსი მეფობს ბიწიერ კაცთა შორის, რომელნიც განურჩევლად ეტრფიან, როგ-ორც დიაცებს, ისე ყრმებსაც, ვისაც ეტრფიან მასში სხეული უფრო ხიბლავს მისი, ვიდრე სული (20-21).

«სწორედ ამ მიეწიერმა მიჯნურებმა ამოსვარეს ლაფში სიყვრული» (20-21)

პლატონმა ხორციელი სიყვარული ფიზიოლოგიური თავაშვებულობის გაგებამდე და ამორალიზმამდე დაიყვანა.

ვ. ბარნოვი სხვაგვარად მსჯელობს ამ საკითხზე. წამყვანი გრძნობა სულიერი სიყვარულია და მის გარეშე სქესობრივი კავშირი სიძვაში გადადის, თუნდაც ეს კანონიერ მეუღლეებს შორის ხდებოდეს, მაგრამ თუ ხორციელი ლტოლვა სულიერისაგან გამომდინარეობს, მწერალი ასეთ სიყვარულს «მოქმედ სიყვარულს» უწოდებს და იგი განწმენდილ ხორციელ სიყვარულად მიაჩნია.

როდესაც გრიგოლმა («ტრფობა წამებული») უარყო მიწიერი ცხოვრება, ავტორი მასთან კამათში თავის შეხედულებას გამოხატავს ხორციელ ცხოვრებაზე.

მწერალს ხორციელი სიყვარულიც განგების ნებად მიაჩნია, რომელსაც სულიერთან შერწყმით ადამიანისათვის ამქვეყნიური ნეტარება მოაქვს.

ბარნოვი სხეულის მშვენიერებას წარმართის თვალით უყურებს და ხედავს რა მასში ამაღლებულ სილამაზეს, ერთ ასპექტში წარმოგვიდგენს სულსა და სხეულს. იგი არაერთგან გად-მოსცემს საკუთარ შეხედულებას სულისა და ხორცის ერთიანობის შესახებ:

«ვინ სთქვა ხორცით ერთობა განუყოფელი, ხოლო სულით განცალკევება შეუერთებელ-შეურიგებელი? ვინ განაცალკევა, ვინ განკვეთა არსება ერთი ორი მოწინააღმდეგე სხვადასხა ბუნების მექონ ძალად? ვინ დაასკვნა და დაამტკიცა, რომ სული არ არის განვითარებული, გაწმენდილი, ჰაეროვანი და ცნობადმოსული ნივთიერება ჩვენი განუვითარებელ გრძნობათაგან მოუწდომელ-შეუგნებელი, ხოლო ხორცი არ არის შენივთებული სული, შემძიმებული და ბნელქმნილი; ჩვენ გრძნობათაგან უკვე საცნაური და მისაწვდომელი?» (5-144)

სული და ხორცი ერთობლიობაშია მოცემული და სიყვარულის ორივე ფორმის ერთიანობა აუცილებელია, მაგრამ სული ცნობად მოსული ნივთიერებაა, ამიტომ სულიერი სიყვარულია

საწყისი და რადგანაც სული და ხორცი» სხვადასხვა ბუნებას მექონ ძალად არ განიკვეთებიან» ხორციელი, მოქმედი სიყვარულიც სულიერთან არის შერწყმული.

პლატონს ყოველგვარი ხორციელი ურთიერთობა მრუშობად და აღვირახსნილობად მიაჩნია, მისი სულიერი სიყვარული უფრო აბსტრაქტულია და მიწიერი არსებისადმი სიყვარულს მოკლებულია. ბარნოვისეული სიყვარული კი სულიერი სურვილისა და ხორციელი განცდის შეთანხმებული გრძნობაა. მასში ბევრია როგორც ზეციური, ისე მიწიერი ცხოვრებისეული, რეალისტური ელემენტი.

პლატონური ეროსი იდეალური სიყვარულია, ადამიანში მას იდეა მოსწონს და მხოლოდ სულიერი საწყისი მიაჩნია სიყვარულის ერთადერთ კომპონენტად.

ბარნოვთან კი ხორციელის გარეშე სულიერი სიყვარული ფრთებშეკვეცილი და განუხორციელებელია ამქვეყნად.

ძირითადად პლატონური სიყვარულის პრინციპები ენათესავება ბარნოვისეული სიყვარულს, მაგრამ ბარნოვის შემოქმედებაში მოცემულია ხორციელი და სულიერი სიყვარულის კომპლექსი. რომლის გარეშეც შეუძლებელია ადამიანი ამქვეყნიურ ბედნიერებას ეზიაროს.

პლატონური და ბარნოვისეული სიყვარულის პრინციპების შედარებიდან ნათლად ირკვევა, რომ მათ შორის ბევრი საერთოა. პლატონის ფილოსოფიის მსგავსება ბარნოვის შემოქმედებაში მოცემულ კონცეფციასთან ძირითად, სიყვარულთან მიმართებაში იჩენს თავს. სიყვარულის ღვთაებრივი ბუნება, მისი დამოკიდებულება სიკეთესა და მშვენიერებასთან, პიროვნების მთლიანობის აღდგენის პრობლემა, სიყვარულის მარადიული არსება და უძლეველობა სოციალურ, სარწმუნოებრივ და სხვა პირობებთან მიმართებაში, სულიერი სიყვარულის ზეციურობა, რომელიც ბარნოვის თხზულებებშია ასახული პლატონის ფილოსოფიაში გვხვდება, მაგრამ ბარნოვთან თავისებური სახითაა მოცემული. პლატონის იდეები აქ რეალურ სინამდვილესთანაა შეუხამებული, რითაც მათ თავისებური ინტერპრეტაცია მიეცა და ჩამოყალიბდა სიყვარულის საკმაოდ განსხვავებული დამოუკიდებელი კონცეფცია.

ოჯახის შექმნის პრობლემა და სიყვარული

ოჯახის შექმნა ,,მოქმედი სიყვარულის» გარეშე შეუძლებელია. სულის კავშირი საკმარისი არ არის ერის გამრავლებისათვის, მაგრამ სულიერი სიყვარულის საფუძველზე თუ არ შეიქმნა ოჯახი, მისი დანგრევა გარდაუვალია, ისე, როგორც ,,მიმქრალ შარავანდედში» მოიშალა ლევან მეფისა და თინათინის ოჯახის ერთობა: ,,არ იკურთხა მაღლით კავშირი იგი უგულო. ზეცით წარმოგზავნილმა ანგელოსმა ღვთაებური ნექტარით ხელში ვერ მიუპყრა სავსე ფიალა ამ მეფედედოფალს. ის დააღონა მათმა ხილვამ და გულსატკენი გავიდა სავანედან».

ქორწინებისას ეკლესია სქესობრივი კავშირისა და ერთად ცხოვრების უფლებას იძლევა, რომლისგანაც ჭეშმარიტი სრულყოფილი ოჯახი არ შეიქმნება. მარტოოდენ სულიერი სიყვარულითაც შეუძლებელია ამქვეყნიური ბედნიერებისა და ოჯახური ცხოვრების მოწყობა.

ამიტომ ოჯახის შესაქმნელად საჭიროა შერწყმული სიყვარული, როგორც სულიერის, ისე მოქმედი, ხორციელი კავშირის ერთობლიობა.

მეუღლეთა შორის ურთიერთგაგება და თანხმობა უსიყვარულოდ არ არსებობს. ,,მხოლოდ იმ ერთგვარ სიყვარულზე არის აგებული ის საიდუმლო, რომელიც ჰქმნის ორ არსებას ერთ ხორც და ერთ სულ. მხოლოდ ასეთი ერთობა არის წყარო სიხარულისა: თვისი პიროვნების უარყოფა სხვისთვის, მაშინ არის ბუნებრივი და საამო, როდესაც ადამიანი კვლავ ჰპოვებს თვის პიროვნებას სხვის არსებაში, მისთვის უფრო ძვირფას და საოცნებო არსებაში. ამის გარეშე მხოლოდ შემთხვევითია კავშირი, ნაძალადევი, უგულო... სასტიკია იგი კავშირი გულგამოცლილი. ვერც უძლებენ მეუღლენი მას და ან ჭკნდებიან ჩაბნელებულნი, ან მისდევენ ახალ-ახალ აჩრდილს ტრფობისას და შთაინთქებიან უძღებობის მორევში გულცარიელნი. (17-290)

ავტორის შეხედულება ნათელია. ბედნიერება მაშინ იქნება სრულყოფილი, თუ ორი არსების შეერთებით ერთი პიროვნება შეიქმნება; მრწამსით, ბუნებითა და შინაგანი ხასიათებით. ასეთ მსგავსებას ორ ადამიანს შორის სიყვარული განაპირობებს. მხოლოდ მათ შეუძლიათ კეთილად მოაწყო ოჯახი.

ლევან მეფესა და თინათინს არ გააჩნიათ არავითარი საერთო გრძნობა. მათი კავშირი იყო ანგარებასა და განდიდებაზე დამყარებული, რაც ვერ ავსებდა მეფე-დედოფალს შორის არსებულ სიცარიელეს.

«_ლევანს ეგონა ნამდვილ სიხარულს ჰპოვებდა იგი სიყვარულის გარეშეც. ჰგონებდა ქვეყნიურ სხვა კეთილთაგან მის გამოწურვას» (17_279).

მატერიალური უზრუნველყოფა და სიუხვე საკმარისი არ არის ბედნიერებისათვის. დიდება და ფუფუნება არ განსაზღვრავს ოჯახის მშვიდობიან ცხოვრებას, იგი ვერ აღწევს მეუღლეთა ვიწრო წრეში. ,,კეთილთა სიუხვეს შეუძლიან ხელი შეუწყოს ტრფიალების გადაფურჩქვნას, გარნა იგი ვერ დაენაცვლება თვით ტრფიალებას, ვერ გამოსცემს მისებურ სიხარულს (2-279).

სიმდიდრე სიყვარულის გრძნობას უნდა ექვემდებარებოდეს. თუ განგებისგან გამორჩეული წყვილები არ ერთიანდებიან ოჯახში, არავითარ ფუფუნებას არ ძალუძს სიყვარულის უარმყოფელთა წყვილის შეერთება. ასეთი სიძნელის წინაშე სამეფო ტახტი და სკიპტრაც უძლური აღმოჩნდა. ლევანი და თინათინი ,,მოღალატენი იყვნენ ამ ზეგარდმო გრძნობისა, თავისი ნებით უარმყოფელნი და ახლა მათ გრძნობათა წარსადინელი სულ სხვადასხვა მხრისკენ იყო მიმართული. ორივეს ერთმანეთის გარეშე ეხილნათ ტრფობა. ერთმანეთის გარეშე განეცადათ მის სიტკბოება და ვეღარ შეიძლებოდა მათგან მისი დავიწყება (17_280). ამიტომ დაინგრა და გაითიშა მეფე-დედოფლის ოჯახი.

უხალისოდ მიდიოდა ,,ტრფობა წამებულის» გმირის აშოტ მეფისა და გურანდუხტის ოჯახური ცხოვრება. ისინი მოვალეობის გამო შეუღლდნენ. გურანდუხტი მხოლოდ დედოფალი იყო, გულცივი და ქედმაღალი. სიყვარულის ზეგარდმო ძალა, რომელიც აშოტის პიროვნებაში არსებობდა, მისთვის უცხო იყო.

აშოტმა მიაგნო თავის საძიებელს, შუქიას არსებაში ჰპოვა ჭეშმარიტი სიყვარული. სამეფო კარზე იახლა და არაოფიციალურად გაწყვიტა დედოფალთან კავშირი. ხოლო შუქიას სიკვდილის შემდეგ აშოტი დაიღუპა ოროზაშვილთან ბრძოლაში და მის სიკვდილთან ერთად ოჯახიც გაითიშა.

უფრო ტრაგიკული დასასრულია აღწერილი მოთხრობაში ,,დაეწაფა სურვილით».

ძალდატანებით გათხოვილ ბაბუცას არ უყვარდა ქმარი. მისი ოცნება ილიკოს დასტრიალებდა. მიუხედავად იმისა, რომ მეუღლე კეთილად ეპყრობოდა, ვერ შეითვისა, ვერ მოაწყო ოჯახური ცხოვრება. ,,რახან ერთხელ ჩათვალა ჭიჭიკა ბედნიერების მომშლელად, გული ვეღარ გაუსწორა იმას; იგი მიიჩნია ავაზაკად, რომელმაც მოსტაცა ქალს თავი და მიითვისა, რომელმაც დაისაკუთრა სხვისთვის გამზადებული სიხარული (29-14).

ოჯახი, რომელიც სიყვარულს მოკლებულია, ყოველთვის უსიამოვნების ბუდეა. იქ შეუძლებელია ბედნიერი მომავალი თაობის აღზრდა, მაგრამ ბაბუცამ არ დააცალა ჭიჭიკას მამობა. ქმრისადმი სიძულვილმა მხეცად აქცია ქალი და როდესაც მეუღლეს ეძინა, ,,ქალმა წაატანა წალდს ხელი, მიუახლოვდა მძინარეს, გამოუსვა ყელში და სურვილით დაეწაფა სისხლის შადრევანს (29-14). აი რა საშინელება შეიძლება მოჰყვეს სიყვარულის გარეშე ძალდატანებით გათხოვებას.

მწერალი სიყვარულის მაგალითზე გვიჩვენებს იმ ძალდატანებასა და ქალის უუფლებობას, რასაც ადგილი ჰქონდა ცხრაასიან წლებში.

ოჯახურ ცხოვრებაში სიყვარულის პირველობის აღიარება ავტორის ზნეობრივ-ეთიკურ კონცეფციას გამოხატავს. ოჯახი საზოგადოების ნაწილია, რადგანაც საზოგადოება ოჯახისაგან შედგება და ოჯახის შექმნაში გადამწყვეტი ძალა სიყვარულია, ე.ი. სიყვარული პოტენციურად საზოგადოებაზეც მოქმედებს და მის განვითარებისთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს, როგორც მისი შემდგენელი ნაწილის მარეგულირებელს.

წარსულ საუკუნეში ოჯახის შექმნისას სიყვარულს ყურადღებას არ აქცევენ ქორწინებას პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. «მთელი ძველი ეპოქის მანძილზე დასაქორწინებელ პირთა შეუღლებას მშობლები ახდენდნენ და შეუღლებულნიც მშვიდად ურიგდებოდნენ ამას. ის მცირეოდენი ცოლ-ქმრული სიყვარული, რომელსაც ძველი ეპოქა იცნობს, სუბიექტური მიდრეკილება კი არაა, არამედ ობიექტური მოვალეობაა, ქორწინების საფუძველი კი არაა, არამედ მისი დამატებაა. სიყვარულის ურთიერთობას თანამედროვე გაგებით ძველად მხოლოდ ოფიციალური საზოგადოების გარეშე ჰქონდა ადგილი».

ვ. ბარნოვმა წარსულში სწორედ ეს პრობლემა ასახა და მას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა, როგორც ოჯახის, ისე საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

ოჯახი საზოგადოებრივი სისტემის ძირითადი ნაწილია მისი კულტურული განვითარების დონეს ასახავს. ამიტომ ყველა ძირითადი საზოგადოებრრივი პრობლემა ოჯახში იღებს დასაბამს, სადაც სიყვარულს განუსაზღვრელი ძალა აქვს.

ნაძალადევად და ხელოვნურად შექმნილ ოჯახში, სიყვარულის გარეშე შეუღლებული ცოლ-ქმრის გაყრა, მწერალს დადებით მოვლენად მიაჩნია. რადგანაც მათი ერთად ცხოვრება ტანჯვა იქნება. «ეს ტანჯვა იმით აიხსნება, რომ ადამიანი, მამაკაცია იგი თუ დედაკაცი არ არის სრული: იგი ეძებს «დაკარგულ ნახევარს», რომლის გარეშეც მას არა მარტო ოჯახის შექმნა, არამედ არსებობაც არ შეუძლია. მხოლოდ მათი ქორწინება იქნება სიყვარულის გამარჯვება. მათ ოჯახში იქნება თანასწორობა და ზნეობა, ზნეობრივია მხოლოდ ის ქორწინება, რომელიც სიყვარულზეა დაფუძნებული. აქედან გამომდინარეობს: ზნეობრივია მხოლოდ ის ცოლ-ქმრობა, ის ოჯახი, რომელშიც სიყვარული გრძელდება.

მოთხრობაში «აჩრდილი სიკვდილისა» ელიზბარისა და ლიზიკოს ქორწინება და «სევდის საგუბარში» ოთარისა და გულნაზის შეუღლება ზნეობრივი იყო და მათი ცოლ-ქმრობაც ზნეობრივი დარჩა.

უსიყვარულო ცოლ-ქმარს ვერც შვილი აერთიანებს.

ლევან მეფისა და თინათინის ბუნება «პაწაწა სანდროში ერთად იყო განხორციელებული, მაგრამ თინათინი მხოლოდ მაშინ იქნებოდა შვილით ბედნიერი, თუ მასში მასთან ერთად განხორციელებულიყო ნოშრევანი, ხოლო ლევანი სრულ სიხარულს მხოლოდ მაშინ იგრძნობდა, როცა თავის ვაჟში დაინახავდა ლეილყიზის თვალთა კრთომას. (17-161).

მშობლიური გრძნობა კი ვერ ავსებს დედ-მამას შორის უსიყვარულო სიცარიელეს. აქ ჩანს ბარნოვის ორიგინალური ხაზი წმინდა სიყვარულისა. ყოველგვარი გრძნობა, ეს იქნება მშობლიური, ბუნებისა თუ სამშობლოსადმი პატრიოტული სიყვარული, იმ თანასწორ სიყვრულს ექვემდებარება, რომელიც ადამიანებს ორეულებად ჰყოფს და შთააგონებს მათ როგორც ერთმანეთის, ისე შვილებისა, ოჯახისა და საზოგადოების სიყვარულს.

როდესაც სიყვარული აკურთხებს ქალ-ვაჟის შეუღლებას და შეყვარებულები შეჰქმნიან ოჯახს, მათი ცხოვრება ბედნიერება და ნეტარებაა.

მოთხრობაში «აჩრდილი სიკვდილისა» ლიზიკოსა და ელიზბარის ოჯახი სიკეთით აივსო. ერთმანეთის მოსიყვარულე მეუღლეები სიყვარულის ერთგულნი იყვნენ. ეს უძლეველი და ხალასი გრძნობა იყო მათი ოჯახის მფარველი ანგელოზი. «ბედნიერი იყო ეს ყოველი კეთილით სავსე ცოლ-ქმარი. მათი ბედნიერება სავსებით ავსებდ და მათ პიროვნებას და უტკბობდა ყოფას. მათი ბედნიერება თავს გადმოდიოდა და სურნელ რამ ნელსაცხებლად ედებოდა მათ ბინას, ხალხს, მთელ მიდამოს... იმათი კარგი ცხოვრებით და დამათრობელ-მანათობელი პიროვნებით მხიარულ-ქმნილიყო მახლობელი თუ გარეშე, უცხო თუ შინაური (23-161).

სიყვარული ბედნიერების წყაროა და მის ერთგულ თაყვანისმცემლებს უხვად აჯილდოვებს. ოჯახი, რომელიც სიყავრულის საფუძველზეა აგებული, უსაზღვრო სიკეთითა და ნათელით აღსავსეა, ხოლო უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახი უსიამოვნებისა და სიძულვილის კერაა. ადრე თუ გვიან მეუღლეები სურვილით დაშორდებიან ერთმანეთს. მათი ცხოვრება ხშირად ტრაგიკულად მთავრდება.

ნაძალადევად შექმნილი ოჯახი დრეოებითია და მისი დანგრევა გარდაუვალია.

სოციალური საკითხი და სიყვარული

ვასილ ბარნოვის შემოქმედებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ მწერლობაში. იგი გამოირჩევა არა მარტო კომპოზიციურ-თემატური მრავალფეროვნებათა და მხატვრული წარმოსახვის ორიგინალობით, არამედ პრობლემატიკის სირთულით, სამწერლო ენითა და სტილით. მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა, მიუხედავად ნაწარმოებთა ხასიათისა და თემატიკის სხვადასხვაობისა, ერთ ძირითად მიზანს ისახავს _ ასახოს ქართული საზოგადოების შინაგანი განვითარების გზა მისი არსებობის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ საფეხურებზე, გაარკვიოს ჩვენი ხალხის ფსიქოლოგია და ეროვნული სულის მეტამორფოზი, ერის სულიერი ცხოვრების გზა შორეული წარსულიდან ჩვენს ეპოქამდე.

ვ. ბარნოვის აღნიშნული მიზანი განაპირობებს მისი შემოქმედების ესთეტიკურ-მხატვრუულ პრინციპს. მწერალი ასახავს საქართველოს ისტორიის ისეთ ტიპურ მოვლენებს, რომელთა მსვლელობაში უფრო ნათლად ჩანს ეროვნული ხასიათები და ხალხის ფსიქოლოგია. გვიხატავს იმ გმირთა სახეებს, რომელთა მოქმედება, საქმიანობა, სულიერი სამყარო და მთლიანი პიროვნება განასახიერებს იმ ეპოქის ზოგად ქართულ ტიპს, რომელშიც მას უცხოვრია.

ასეთი პრინციპით ასახავს ვ. ბარნოვი აგრეთვე თავის თანამედროვე ცხოვრებას. მისი პროზა წრსულიდან ჩვენს ეპოქამდე ისტორიული თანმიმდევრობით მიჰყვება ისტორიას და ნათელს ჰფენს მას ტიპური ფაქტებისა და პიროვნებათა ცხოვრების ასახვით. ამდენად მწერლის ისტორიული და თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოები მტკიცე, უშუალო კავშირში არიან ერთმანეთთან.

აღნიშნული კავშირის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ვ. ბარნოვის პროზის, როგორც მთლიანი შემოქმედების შესწავლა თანამედროვეობის თვალსაზრისით.

ვ.ბარნოვი თავისი მოღვაწეობის ადრეულ წლებში დაწერილ ისტორიულ ნაწარმოებებში უკვე აყენებს თანამედროვეობისათვის მტკივნეულ პრობლემებს. სოციალური, ეროვნული, პიროვნული და ოჯახური საკითხის გადაჭრისას მწერალი ისეთივე პრინციპით ხელმძღვანელობს, როგორ თანამედროვეობის ამსახველ თხზულებებში.

ისტორიული ხასიათის მოთხრობებსა და რომანებში გნსაკუთრებით თავისებურადაა ასახული ზნეობრივ-სოციალური პრობლემა. გარდასულ საუკუნეებში, ადრექრისტიანულ და წარმართობის დროის მოვლენათა აღწერისას ამ საკითხის გაშუქება გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული. ჯერ ერთი, ქართული ისტორიული წყაროები არაფერს ამბობენ მის შესახებ და ფაქტების გარეშე ძნელია მოვლენის აღწერა, მით უმეტეს, როდესაც ლაპარაკია წარსულზე და მეორეც, გარეშეთა თავდასხმებისაგან გამოწვეული ხანგრძლივი ეროვნული ტკივილებისა და ხშირი აწიოკების, ერის ფიზიკური მოსპობის საშიშროების დროს. სოციალური წინააღმდეგობა თავისთავად ნელდება და უკანა პლანზე გადადის. სოციალური დაპირისპირების დროებითი შეჩერებას, ხშირი ეროვნული სიდუხჭირის გამო ქართველთათვის ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდა, რაც ართულებს ამ კუთხით ისტორიული სინამდვილის მხატვრულ წარმოსახვას.Mმაგრამ, ვ. ბარნოვმა თავის პირველსავე ისტორიულ ნაწარმოებში ჩვენი ერის წარსულის ღრმა ცოდნისა და მხატვრული წარმოსახვის დიდი უნარის წყალობით, დასძლია აღნიშნული სიძნელე. მწერალმა დამაჯერებლად აღადგინა გარდასულ დროთა სურათები და ოსტატურად ჩააქსოვა

მათში დაბალი ფენის ადამიანებისადმი თანაგრძნობა და სიმპათია, მაგრამ მწერალი სრულიადაც არ ცდილობს, რომ დააკნინოს ისტორიული გმირები, რომელნიც მაღალ არისტოკრატიულ ფენებს ეკუთვნიან. პირიქით, იგი დიდი სიამპათიით აღწერს მათ ღვაწლს და გმირობას ქვეყნის კეთილდღეობიუსათვის. მისთვის მთავარია პიროვნება თავის შინაგანი ბუნებით და ზნეობით.

ვ.ბარნოვის ერთ-ერთი პირველი ისტორიული ნაწარმოებთაგანი «მსხვერპლი» მოგვითხრობს დაბალი წრიდან გამოსული ნიჭიერი, განსწავლული ახალგაზრდა კაცის _ ანდროს ტრაგიკულ ამბავზე. აქ სოციალურ-ზნეობრივი დაპირისპირება გამოკვეთილი არაა სარიდან მჯობინაძესა და ანდროს შორის.

ანდროს შეუყვარდება წარჩინებულთა წრის წრმომადგენელი, რომელიც თანაუგრძნობს ვაჟს და როგრც პიროვნება, სარიდან მჯობინაძეზე მაღლა აყენებს. ელოს ფიქრები გამოხატავენ ავტორის ტენდენციას ადამიანის პირადი ღირსებისადმი ...» რად იქნება წინდაუხეაობა, ანდრო რომ ვამჯობინო?! სარიდანს ჩამომავლობით უპოვია პატივიც და ქონებაც, ანდროს თავისი ნიჭით დაუმსახურებია სახელი. სარიდანი გონებითი სიბნელეა, ანდრო ნათელია». (30-105).

ელოს ფიქრები მიუღებელია იმდროინდელი საზოგადოებისათვის, რომელიც შეზღუდულია კლასობრივი უთანასწორობის ბორკილებით. ძნელია ასეთ პირობებში ანდროს და ელოს ხვედრი. ძნელია თავადიშვილობის ცხრაკლიტურით დახშულ სოციალურ კარებში შეღწევა. სინამდვილის უარყოფა იქნებოდა, რომ ანდროს, ნაწარმოებში აღწერილ ეპოქაში დაეჩრდილა სარიდანი, ან ელო თავისი გულის რჩეულს შეუღლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ელო მაღალ არისტოკრატულ წრეს ეკუთვნის, თავისუფალი არ არის ბედის არჩევანში. არსებული სოციალური დოგმების გამო მას არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ეს ცხოვრებისეული საკითხი. მოკრძალებულ ანდროს ეძალება ეჭვი, რომელიც მის გამბედაობას ანადგურებს და მერყეობაში სარიდანი, რომლისთვისაც არ არსებობს წინააღმდეგობა, გამარჯვებული გამოდის და ელოს ირთავს ცოლად.

ანდრო განასახიერებს XVIII საუკუნის ქართველ ინტელიგენტებს, რომლებიც ძალიან ნაკლებად მოიძებნებოდნენ იმდროინდელ საქართველოში და რომელნიც სოციალური უკუღმართობის მარწუხებში გმინავენ, მიუხედავად მათი განათლებისა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ ის გარიყული აღმოჩნდა, როგორც თანამემამულეთაგან, ისე მტერთაგან.

იმ დროს, როდესაც «ისნის ცისკრის» გმირები საამი და თინათინი სიყვარულის შემწეონით გამარჯვებულები გამოდიან. ის მცირეოდენი განცდაც, რომელმაც მიღუა მოიცვა «ისნის ცისკრის» დაკარგვისას, მაინც იმაზე მეტყველებს, რომ მიღუას პიროვნებაში სულიერი განწმენდა დაიწყო. მას აღარ შესწევს უნარი იბრძოლოს თინათინის ხელში ჩაგდებისათვის და იძულებულია ავზრახვებზე ხელი აიღოს. ამ შემთხვევაში ბოროტის დამარცხება კათარზისის საწინდარი ხდება. სოციალურ მიმართებაში გამოხატული, მაგრამ სწორედ ამ წმინდა ადამიანურ გრძნობასთან კავშირში მჟღავნდება თანასწორობა მათ შორის, მათი შინაგანი სურვილების შესაბამისობა გარეგან პირობებსა და შესაძლებლობებთან..

აღნიშნულ რომანში სოციალური პრობლემა უფრო მკაფიოდაა მოცემული. აქაც მოვლენათა მსვლელობაში უშუალოდ არ ხდება დაპირისპირება სხვადასხვა სოციალური წარმოშობის ადამიანებს შორის. პირიქით, თინათინსა და საამის ურთიერთობაში კლასობრივი უთანასწორობა უგულებელყოფილია, მაგრამ ეს სიყვარულის ძალის მეოხებით ხდება. საამისთვის არ არსებობს

სიყვარულზე მაღალი გრძნობა, რაც თავისთავად აბათილებს კლასობრივ სხვაობას. წინა პლანზე აყენებს ზოგადადამიანურ პრინციპებს.

რომანის გმირი მიღუა ვაჭარია და, რა თქმა უნდა, მისი იარაღი ფულია, რომლის წყალობითაც იგი ფიქრობს თინანოს მოხიბვლას და როგორც ასეთი კატეგორიის ადამიანებს სჩვევიათ, ფული ყოვლისშემძლე ძალად მიაჩნია. ამ პოზიციიდან უპირისპირდება მიღუა საამს. მწერალი ხაზს უსვამს ზარაფის დაბალ მორალს, რომელმაც გასცა ქვეყნისათვის მზრუნველი იასე მღვდლის ოჯახი, სადაც თინანო იმალებოდა და მტრის ხელში ჩააგდო, რათა შემდეგ თვითონვე გამოესყიდა. მაგრამ დამპყრობლებიც კი შეზარა მისმა უხამსმა მოქმედებამ. «ხანს ზიზღი მოჰგვარა კაცის ამგვარმა სულმდაბალობამ და ქოშის წვერი წაჰკრა სახეში». (18-373).

ზარაფი მიხვდა, რომ მისმა ვერაგულმა დასმენამ უბედურება მოუტანა, როგორც «ისნის ცისკარს», რომელიც სპარსელებს ჩაუგდო ტყვედ, ისე საკუთარ თავს, რითაც საბოლოოდ მოსპო თინანოს შერთვის იმედი. ამიტომ იგი ძრწოლამ მოიცვა. ფეხებში ჩაუვარდა ხანს: თრთოდა, ცოცავდა, კალთებს უკოცნიდა, თავს ახეთქებდა-განთავისუფლებას ევედრებოდა» (18-373). ამაო იყო მიღუას განცდა და ვედრება. ხანმა არა მარტო არ შეისმინა მისი ვედრება, არამედ მას ზიზღი მოჰგვარა კაცის ასეთმა ზნეობრივმა დაცემულობამ.

ზარაფის ავი ზრახვები ჩაიშალა. მან იგრძნო საკუთარი უმწეობა და აზრი ფულის ყოვლისშემძლეობის შესახებ გაუქარწყლდა. იგი ამ შემთხვევის შემდეგ ქრება მოქმედების არენი-დან.

მწერალი მარადიული სიკეთისა და სიყვარულის ნათელს ეძებს გმირებში, ამ სპექტრში ცდლობს საამ გოსტაშაბიშვილი დახატოს, როგორც კეთილშობილი, ქვეყნის მოჭირნახულე და სათნო ადამიანი, რომელსაც სამშობლოს კეთიდღეობისათვის ბრძოლა მიაჩნია მთავარ საქმედ და არა თავისი წოდებრივი უპირატესობის განმტკიცებისათვის ზრუნვა. საამის ასეთი ხასიათები დამაჯერებელს ხდის წოდებრივი უპირატესობის უარყოფას თინანოს სიყვარულისათვის, რასაც უფრო ამძაფრებს და რეალობას მატებს ქვეყნის მოსალოდნელი უბედურება, რომლის დროსაც საჭიროა ყოველგვარი შინაგანი მტრობისა და შუღლის შეწყვეტა.

მიუხედავად ამისა, მწერალი მაინც ახერხებს გამოხატოს თავისი კეთილი განწყობა მშრომელ ხელოსანთა ცხოვრებასა და საქმიანობაზე და გვაგრძნობინოს თავისი მხარდაჭერა დაბალი ფენებისადმი. მწერალი დიდი სიყვარულითა და გატაცებით აღწერს ხელოსნის, იოთამეს ოჯახს, მის წევრთა ურთიერთ პატივისცემით დამოკიდებულებას და დასძენს: «ესეთი ოჯახი ახალი ხილი იყო საამისათვის, რადგან თუმცა იცნობდა მარად მშრომელ გლეხის ოჯახს, მაგრამ იქ შრომა ყოველთთვის სამძიმო ტვირთად მიაჩნიათ, აუცილებელ სატანჯველად». Gლეხი არ იყო ნამდვილი მესაკუთრე, არ იყო თავისი ნაღვაწის პატრონი, მისი ოფლიც და ქონებაც ბატონს ეკუთვნოდა, მისი შრომა იყო ნაძალადევი და ამისათვის სამძიმო. შრომას თან სდევდა ღრიალი, ლანძღვა, და ცემა უმცროსისა თუ საქონლისა. თავად აზნაურის ოჯახში გაბატონებული იყო სიზარმაცე და რაც უფრო დიდებული იყო ოჯახი, იმდენად მეტი იყო იქ უსაქმობა, ისე რომ ბატონკაცურად ცხოვრება და უქმად ყოფნა ერთი და იგივე იყო. კეთილშობილთ ოჯახსაც არ ედგა საძირკვლად სათნოება, რადგან უქმობასაც, როგორც ნაძალადევ შრომას, არ შეეძლო სიმშვიდის

და კეთილ-განწყობილების გამოღვიძება. საამი იცნობდა კიდევ სამღველოების ოჯახს, მაგრამ იქ საკურთხევლად გაწვდილ მარჯვენაზე სიხარბის დაღი დაესვა და ეშმაკს წაებილწა». (18-353-354)

ბარნოვი უშუალოდ მსჯელობს იმის შესახებ, რომ შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, ალამაზებს მის ცხოვრებას და არა წოდებრივი სიდიადე, რაც მწერლის გაგებით პირიქით, უარ-ყოფით ხასიათებს ზრდის ადამიანში.

მოთხრობაში იოთამეს მშრომელ ოჯახს და საამის სიყვარულს ჰყავს მოშურნე ვაჭარ მილუას სახით, ამ შემთხვევაშიც პოზიციური შუღლითაა გამოხატული ვაჭართა წრის წინააღმდეგობა ხელოსნების მიმართ. გარდა ამისა, მწერალი ხაზს უსვამს აღნიშნული კატეგორიის ადამიანთა ღალატს სამშობლოს წინაშე და მშრომელთა თავდადებას ქვეყნის კეთილდღეობისა და მშვიდობისათვის.

რომანში «მიმქრალი შარავანდედი» დახატულია მრისხანე და თავისი სოციალური წარმოშობით გაამაყებული მებატონე მამია გურიელის სახით, რომელსაც შეუძლია ყოველგვარი ათრთოლების გარეშე მოსპოს მისივე კარზე აღზრდილი ერთგული მსახური. სრულიად უბრალო შემთხვევის გამო, რაც მის ამპარტავნულ პრეტენზიებს სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებდა, ტყვეებთან ერთად გაუზავნა უცხო სოვდაგარს გაბრიელ მეჯინიბე, რომელიც უდრტვინველად და ერთგულად ემსახურებოდა გურიელს, მაგრამ გულზვიადი მთავარი თავისი მოქმედებით გამოწვეული უხერხულობისათვის სჯის მას. მამიას უზანგიდან ფეხი დაუსხლტა და მეჯინიბეს მოუღერა ნაჭედი მათრახი. გაბრიელისათვის წარმოუდგენელია წინ აღუდგეს ბატონის ნებას. პირიქით, იმდენად ღრმადაა მასში გამჯდარი მორჩილების შეგნება, იმდენადაა შეპყრობილი შიშით, რომ მისთვის მათრახის დარტყმა სანატრელი გამხდარა, რდგან გურიელს უფრო სასტიკი და საშინელი დასჯის მეთოდები გააჩნია.

მწერალს ამ შემთხვევაში რეალიზმის პოზიციებზე დგას. მას არ შეეძლო გაბრიელისათვის სოციალური და ზნეობრივი უსამართლბის წინააღმდეგ მებრძოლი გმირის სული ჩაედგა, რადგან ფეოდალური შიშით მოცული შუა საუკუნეებში ამის პირობები არ იყო. ამიტომ ავტორის მხატვრული წარმოსახვით ჩაგრული, დაბალი ფენის წარმომადგენელი მონური ფსიქოლოგიის მქონე ადამიანად წარმოგვიდგება. მეჯინიბე პროტესტს კი არ აცხადებდა ბატონოს მიერ უსამართლოდ შერისხვის გამო, არამედ შეძრწუნებული თავში იცემს.

მაგრამ მწერლის დამსახურება ისაა, რომ ასეთი დესპოტიზმის ეპოქაში თანამედროვეობის თვალსაზრისით სწორად განსაზღვრა სოციალური ურთიერთობის საკითხი და გამოხატა ტენდ-ენცია ჩაგრული კლასისადმი.

მებრძოლი სულის პატრონია ამავე რომანის გმირი ნოშრევანი, რომელიც მართალია, აზნაურთა წარმოამგენელია, მაგრამ ისიც განიცდის დამცირებას მასზე მაღალი წოდების მქონე მეფე ლევანისა და თინათინ გურიელისაგან. რატომ დამარცხდა ნოშრევანის ამქვეყნიური სიყვარული? რატომ უარყო იგი თინათინმა? რატომაა ლევანი მასზე ძლიერი? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის მეფეა, ნოშრევანზე დიდი თანამდებობა და უფლება აქვს. მაგრამ ნოშრევანში მონური მორჩილების გრძნობა დაძლეულია, ის მებრძოლია და მთელი არსებით ეწინააღმდეგება ბედს, რომელიც მას განუმზადეს ამა ქვეყნისა ძლიერთა, მიუხედავად იმისა, რომ ეს წინააღმდეგობა ისე მწვავედ არ იგრძნობა, ნოშრევანი მაინც სოციალური და ზნეობრივი უსამა-რთლობის წინააღმდეგ მებრძოლად გვევლინება, მან ზურგი შეაქცია გურიელს, მას შემდეგ, რაც

წარსტაცეს თინათინი და პროტესტის ნიშნად ტყეს შეაფარა თავი. ამ შემთხვევაში ნოშრევანი გვევლინება როგორც სახალხო გმირი, რადგან იგი მოქმეებს არა როგორც ფირალი, არამედ როგორც სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი, რომელიც სამშობლოს იცავს, წინ აღუდგება უსამართლობას და ქედს არ იხრის მეფის წინაშე, იგი არ ასრულებდა ლევანის სურვილს, რომელმაც გვირგვინით დაჩრდილა გმირი ჭაბუკი თინათინის თვალში და დაუხშო ბედნიერებისაკენ მიმავალი კარები, იმდენად ძლიერია ლევან მეფისადმი მისი სიძულვილი, რომ როდესაც მეფის წარგზავნილები უკმეხად გაისტუმრა, ნოშრევანს აზრი დაებადა: «მისულიყო ბანაკში და ლაშქრის წინ გაეგმირა მეფე. ეხლა, ტფილისის აღებისა და მტრის ძლევის შემდეგ, ასეთი საქმე ღალატი აღარ იქნებოდა სამშობლოს წინაშე (17-304).

რომანში ზნეობრივ-სოციალური პრობლემა სიყვარულის ფონზეა ასახული. რაც მწერალმა ეპოქის შესაბამისად ლოგიკურად სწორად გადაწყვიტა. იგი თავის ტენდენციას დაბალი ფენებისადმი ნათლად ამჟღავნებს კოწიასა მარიკას ცხოვრების ეპიზოდების აღწერისას, მსახურთა ურთიერთობა ბევრად და უფრო გულწრფელი და ხალასია, ვიდრე მეფეთა და დიდებულთა ნაძალადევი თავაზიანობა.

ლევანისა და თინათინის ქორწინების ღამეს ბარნოვი ზოგადი შტრიხებით, მაგრამ სიმბოლურად, ნათლად გადმოკვეთილი ფერებით აღწერს დედოფლის მსახურთა შეუღლებას, რითაც მკვეთრად გამოხატავს თავის სიყვარულს მშრომელი ადამიანებისადმი და ზნეობრივად მეფე-დედოფლის ქორწინებაზე მაღლა აყენებს კოწიას და მარიკას შეუღლებას. ამით ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დიდებულები წინა პლანზე თავის წოდებას აყენებენ და არა ჭეშმარიტ ადამიანურ გრძნობებს, ამიტომ მათ პირად ცხოვრებას სოციალური წარმოშობა განსაზღვრავს, რის გამოც მეფე-დედოფლის ბედნიერება მოჩვენებითი და ხელოვნურია. მწერალი ამხელს მათ იძულებით გარემოებათა გამო შეუღლების უსაფუძვლობას და ნამდვილ ადამიანურ ბედნიერებას მსახურთა ოჯახში ხედავს.

«..ანგელოსმა ღვთაებრივი ნეკტარით ხელში ვერ მიუპყრა სავსე ფიალა ამ მეფე-დედოფალს. ის დააღონა მათმა ხილვამ და გულნატკენი გავიდა მათი სავანედან. სულაც გასცდა სამეფო სასახლეს შებრუნდა მსახურთა სადგომებში და ჰპოვა იქ ზეციური მადლის ღირსი ცოლ-ქმარი. შეასვა ნეკტარი ნაკურთხი მარიკას და კოწიას» (17-270).

ჩაგრულთა მიმართ თანაგრძნობა და მხარდაჭერა აქაც ზოგად ადამიანური პრინციპებითაა გამოხატული, რაც საერთოდ დამახასიათებელია ბარნოვის შემოქმედებისათვის.

უფრო ხალასი ფერებითაა აღწერილი კოწიას ოჯახური, მყუდრო ცხოვრება, სადაც იგრძნობა სასიამოვნო ატმოსფერო და საერთო კმაყოფილება, მწერალი კვლავ იმეორებს აზრს იმის შესახებ, რომ მხევალნი და მონანი უფრო ბედნიერნი არიან, ვიდრე გვირგვინოსანი.

«გაენათებინა ბედნიერების შუქს კოწიას ოჯახიც. გაეღიმებინა იქ წყნარი სიხარული» (17-328)

ძალმომრეობაა ლევან მეფის მიერ დედოფლის მხევალის გუქას დამცირება. «.. მეფეა ძლიერი და სურვილს კი ვერ ისრულებს ვიღაცა მხევლის შესახებ». _ ასეთია ლევან მეფის ლოგიკა და მორალი. ის მსახურში ვერ ხედავს ადამაინურ ღირსებას, იგი მხოლოდ და მხოლოდ სურვილის დასაკმაყოფილებელ ნივთად მიაჩნია. მსგავსი პრინციპით ხელმძღვანელობა მთავარი გურიელიც, როდესაც მოითხოვდა გუქასათვის ყური მოეჭრათ ნიშნად თავისუფლების აღკვეთისა და თავის ყურმოჭრილ ყრმად გადაქცევისა.

სოციალური უკუღმართობის მიზეზით იღუპება მოთხრობა «ხაზართა სასძლოს» გმირი ბდუჩანი ხაზარეთის სარდალი, რომელმაც ხაკანის პირადი სურვილის აღსრულებისათვის ბევრ-ჯერ ჩაიგდო თავი განსაცდელში, მისი უდროო და უადგილო ინტიმური გრძნობისათვის მრავალი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა და ბოლოს, როდესაც გამარჯვებული ბდუჩანი უვნებ-ლად შევიდა ხაზარეთში შუშანის თვითმკვლელობის გამო მძვინვარე ხაკანმა მაინც ეს ერთგული მებრძოლი დასაჯა საშინელი სიკვდილით.

«_ბდუჩან შეუნდობლად შემცირდა ხაკანის წინაშე. მისგან ზეამაღლებული მთელ ხაზარეთში, აწ მისგანვე ქვეჩათხეული ამირსპასალარი ბდუჩანი» (31-357)

ეს არის დესპოტიზმითა და ძალმომრეობით გამოწვეული ბოროტება და უზნეობა. ერთი ადამიანი შეუზღუდველი უფლებებითა და წოდებრივი უპირატესობით განდიდებული მბრძან-ებელი საკუთარი ნებით წყვეტს მასზე სოციალური კიბის დაბალ საფეხურზე მდგომი ქვეშევრდომების ბედს, რასაც ხშირად ისეთივე ულმობელი შედეგი მოსდევს, როგორიც ეწია ბდუჩანს.

ხალხისა და ქვეყნის ინტერესების დამცველ მებრძოლად გვევლინება დიდ-მოურავი გიორგი სააკაძე. იგი მოქმედებს ხალხის მხარდაჭერით. ისინი ალღოთი მიმხვდარან სააკაძისა და ბატო-ნების ქიშპის მიზეზს და გიორგისთან ერთად ებრძვიან საერთო მტერს ფეოდალების სახით. მათ გიორგი თავისიანად მიაჩნდათ, რადგან იციან, რომ იგი ხალხის წრიდანაა გამოსული და პირადი ღირსების გამოა დაწიუნაურებული, რომელსაც არ დაუფასეს მეფემ და დიდებულმა ქვეყნისათვის გაწეული ღვაწლი. ხალხი ხედავს უსამართლობას.

«_ბატონი რაღა ბატონია, თუ უმადური და უმადლო არ იქნება» (32-26) ფიქრობენ გლეხები და სააკაძის საშველად ილტვიან, «_თავს დავდებთ მისთვის: წარჩინებულია, მაგრამ მაინს ჩვენი კაცია» (35-26)

გიორგი სააკაძე საბრძოლო ამოცანად ისახავს ფეოდალთა და მდაბალთა თანასწორობას, თუმცა ის აღიარებს ერთმმართველობას, მაგრამ სხვაგვარი, თუნდაც დემოკრატიული მსოფლ-მხედველობა შეუძლებელია XVII საუკუნის ადამიანს ჰქონოდა საქართველოში. დიდებულნი გრძნობენ სააკაძის განზრახვას მათი დაკნინებისა და გლეხთა დაწინაურების შესახებ. «უყვარს იგი ხალხს, შორსმჭვრეტელია, გლეხთ ათამამებს, ჯარის წინამძღვრად მდაბიოს ირჩევს, იმათი ხმალი უკეთა სჭრისო» (32-235) _ მსჯელობდნენ ისინი.

რომანში ორი, სოციალურად განსხვავებული ბანაკი უპირისპირდება ერთმანეთს, ლუარსაბიც გრძნობდა, რომ «ბრძოლა სააკაძისა და წრჩინებულთ არ იყო მხოლოდ მტრობის ნაჟური. ალღო ეტყოდა, ამ უძინებელ განხეთქილებას სფუძვლად ქონდა ფართო აზრი თუ მისწრაფება. ამას ცხადყოფდა თითონ მებრძოლთ შემადგენლობა. ერთ მხარეს იყვნენ დიდებულნი, მეტ აღმატებას მოტრფიალენი, მათ წინააღმდეგ აზნაურები, მდაბიო ხალხი...» (2-220).

ხალხის სულისკვეთების განსახიერებას გამოხატავს გოდერძი ბურდული, რომელსაც ისევე, როგორც ნოშრევანს გვირგვინოსანმა წარსტაცა ბედნიერი მომავალი ცხოვრება მაკრინეს სახით. ნაწარმოებში სიმბოლურია გოდერძის უცნაური გამოჩენა გაჭირვების დროს და ისევ გაქრობა, როგორც ხალხის სიმბოლური სახე, ის ყოველგანაა, სადაც საძნელო საქმეა და ხშირად ჩააგონებს სააკაძიეს ხალხის ნებას.

ზნეობრივად მართალია გმირი, რომელიც ეროვნულ მთლიანობასა და ქვეყნის თავისუფლებას უქვემდებარებს თავის მოქმედებას.

სარწმუნოება და სიყვარული

ისტორიული და საზოგადოებრივი მოვლენები სიყვარულთან მჭიდრო კავშირში ვითარდება. წარსულის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში საუკუნეთა მიღმა მომხდარი რეალური ფაქტები ისეა ასახული, თითქოს სიყვარულის ერთგულებაზე იყოს დამოკიდებული მათი მსვლელობა. ისტორიულ და რეალურ სინამდვილეში გმირთა ცხოვრება და მოღვაწეობას სიყვარული განსაზღვრავს. იგი განაპირობებს მათ ბედნიერებასა, თუ უბედურებას, წარმატებსა და დამარცხებას.

,,მიმქრალი შარავანდედის» გმირს, ნოშრევანს სიყვარული მფარველობდა, როდესაც მცირე რაზმით აიღო სპარსთაგან დაპყრობილი თბილისი. ლევან მეფემ ჯარის შემწეობით ვერ შესძლო სურვილის განხორციელება, ვერ დაეუფლა თბილისს, ვერ დაიდგა ქართლის სამეფო გვირგვინი. სიყვარულის მოღალატე ყველგან ხელმოცარულია, ხოლო ერთეული ყოველთვის გამარჯვებულია, მასთან არის სიყვარულის ღმერთი.

,,ტრფობა წამებულში» აშოტ მეფე გამიჯნურების შემდეგ წარმატებით იბრძვის არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ. სიყვარული შემართებას მატებდა მას, სამაგიეროდ, როდესაც ეკლესიამ სატრფო ჩამოაშორა და მან დათმო შუქია, აშოტი მოდუნდა, დაბნეულმა ბრძოლის უნარი დაკარგა და სამეფო საქმეებიც უკუღმა დატრიალდა. სიყვარულის ცხოველი გავლენა ადამიანის მოღვაწეობაზე მკაფიოდ იგრძნობა მოთხრობაში ,,აჩრდილი სიკვდილისა». ელიზბარში, რომელმაც იპოვა დაკარგული სიმხნევე და გაორკეცებით აღუდგინა ენერგია და შრომის უნარიანობა

,,ბედი უღიმოდა ელიზბარს, ყისმათის საყვარელი იყო ის და რჩეული. ამისათვის ღირს იქმნა ის სიყვარულისა, განა ყველას შესახებ ტრფობა თავის სხივოსან ფრთას; მხოლოდ რჩეულთ ჩამოუვლის იგი».

,,ელიზბარს ეწია ეს იშვიათი ბედნიერება. იცოდა კიდეც დაფიქრებულმა მისი და ისე სდარაჯობდა თავის ნეტარების მომნიჭებელს, როგორც გველი მის მასაზრდოებელ თვალს მოელვარეს... ისევ დაბრუნდა მის ცხოვრებაში ეშხი უფრო მეტის სიძლიერითაც. ის ეხლა მეტის ხალისით შეუდგა თავის ნაჩვევ საქმეს; მოავლო აზრიანი თვალი თავის მამულს, მიაშველა მას თავისი მადლიანი მარჯვენა და ააყვავა იგი. აივსო ნაყოფთა სიუხვით».

მაგრამ, როდესაც უძლეველმა სენმა ხელიდან გამოაცალა ხორცშესხმული სიყვარული ლიზიკოს სახით, ,,ყოველსავე თვის საქმეს ხელი უშვა, თავი მიანება». ,,ლიზიკო ხომ უბრალო მეუღლე არ იყო მისი, მასთან მხოლოდ შემთხვევით დაკავშირებული. იგი საუკეთესო გრძნობა იყო მისის არსებისა».

ყოვლისშემძლე სიყვარული ორ ადამიანში ჩააქსოვს თავის უკვდავ გრძნობას და განშორების შემდეგ დაცალებული ინდივიდუმი ერთ ნაწილს კარგავს და უძლურდება.

ლიზიკოს დაკარგვის შემდეგ ასეთი მწარე ბედი ეწია ელიზბარს, ,,აწ მკვდარი იყო იგი, ორად გაკვეთილი».

მისი ბედი სიყვარულზე იყო დამოკიდებული, ეს ზეგარდმო გრძნობა წარმართავდა მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რაც სიყვარულის განდიდებასა და ამაღლებაზე მეტყველებს. იგი

ღვთაებრივი ძალით არის აღჭურვილი, რომელიც ისე წარმართავს მოვლენებს, როგორც ზევსი ჰომერისის ,,ილიადაში».

ზევსის წყალობით იმარჯვებენ აქაველები, მაგრამ აქილევსის განრისხების შემდეგ მან ტროელებს დაუჭირა მხარი და ბრძოლის ბედი შეატრიალა. ე. ი. ვის მხარეზეც ზევსია ის იმარჯვებს.

ასეთივე როლს ასრულებს სიყვარული ბარნოვის შემოქმედებაში. აშოტი სიყვარულისაგან გამორჩეული მეფე იყო და მისი მფარველობით აღზევებული, მაგრამ, როდესაც ეკლესიისა და მონაზვნების წინაშე ქედი მოიხარა და ტაძარში გამოკეტილი შუქია ქრისტეს დაუთმო, მეფეს განუდგა სიყვარული და ორაზაშვილის ხელით დაიღუპა იგი.

ბედისწერა უხილავად მოქმედებს, როგორც ზევსის ისე სიყვარულის წინააღმდეგ. აქილევსის დაღუპვა ჰომეროსთან. Bარნოვთან ლიზიკოსა და გულნაზის სიკვდილი მოთხრობებში ,,აჩრდილი სიკვდილისა» და ,,სევდის საგუბარი» ბედისწერასთან არის დაკავშირებული, რომელსაც სიყვარული არ ემორჩილება, პირიქით, იგი სასტიკად ეწინააღმდეგება ავ ბედისწერას და ზევსივით ზოგჯერ კეთილი ბედისწერის როლში გვევლინება. ამ დროს სიყვარული გამარჯვებულია და იგი განაგებს ადამიანთა ყოფიერებას.

ბედისწერის სახით სიყვარულს ხშირად ცხოვრება უპირისპირდება, რომლის დამარცხება სინამდვილის დამარცხებას უდრის, რაც წარმოუდგენელია, ამიტომ ვერ იხსნა ზევსმა აქილევსი. მკაცრი სინამდვილე მხოლოდ დროდადრო ნებდება ღმერთს. იგი თავისი გზით მიდის და ის ღმერთია გამარჯვებული, რომელიც ოლიმპზე კი არ ცხოვრობს, ან ცაში კი არ იმალება, არამედ მიწაზე, ადამიანებთან ერთად ბინადრობს და რეალობასთან შეთანხმებული მოქმედებს.

სწორედ ასეთი ღმერთის ცნებას უკავშირდება ბარნოვისეული სიყვარული. იგი გრძნობის სახით ციდან მიწაზე ჩამოსულა და ადამიანთა გულებში ცოცხლობს, იქიდან წარმართავს მათ ბედს, ავრცელებს კაცთმოყვარეობისა და სიკეთეს თესავს ქვეყანაზე. ყოველივე ეს ღმერთისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია, რომელიც ბარნოვმა სიყვარულზე გაავრცელა და სიყვარულის გრძნობა რელიგიურ ღმერთს გაუთანასწორა.

,,სიყვარულში აისახება ბუნება ღვთაებრივი»... რადგან ნათელი ღმერთი თავის მოქმედებაში სიყვარულია უსაზღვრო, უძლეველი და სამარადისო. (2_94-60)

3. ბარნოვმა შექმნა სიყვარულის რელიგია, რომელიც ადამიანებისგან ბრმა რწმენას კი არ მოითხოვს, არამედ სიყვარულსა და ერთგულებას. რელიგია უნდა იწამოს მრევლმა, ხოლო სიყვარული გულმა უნდა იგრძნოს და გონებამ უნდა გააცნობიეროს. იგი ადამიანს ამ ქვეყნად აღუთქვამს ბედნიერებასა და თავისუფლებას. სარწმუნოება კი სიკვდილის შემდეგ საიქიოში სამოთხეს ჰპირდება. ამოტომ მწერალი სიყვარულს არა მარტო აღმერთებს, არამედ ხშირად რელიგიურ ღმერთზეც მაღლა აყენებს.

,,... უბიწო მარიამი შეიქმნა დედად ღვთისად მხოლოდ მისთვის, რადგან მორჩილებით გაჰყვა სიყვარულის ხმას იდუმალს. (2-302)

ავტორის აზრით, ქრისტე-ღმერთი სიყვარულის ნაყოფია. თუ სიყვარული ღმერთის შექმნის პირველ მიზეზად გვევლინება, ცხადია, რელიგიასთან შედარებით უპირატესობაც გააჩნია. ამიტომ არ ძალუძს ღმერთს შეივრდომოს სიყვარულის უარმყოფელი. თინათინის ვედრება:

,,ანგელოსთა მსუბუქ ფრთებისთვის მძიმე ტვირთი იყო თინათინის ლოცვა მიწიერი, იგინი ვერ აიტანდნენ მას საყდრამდის მაღლის ღმერთისა». (2-292).

სიყვარულის ღალატი ღმერთის ღალატია, მაგრამ ღმერთის ღალატი სიყვარულის ღალატი არ არის. თინათინი სიყვარულის უარყოფასთან ერთად ღმერთსაც უარყოფს. ამოტომ შესძლო სატანამ მისი ცთუნება. ,,არა გქონდა სიყვარული სრული ჩემგანაც კი უძლეველ-შეუხებელი (2-302) ეუბნება სატანაილი თინათინს.

ღმერთმაც უარყო სიყვარულის მგმობელი დედოფალი და არ შეისმინა მისი ვედრება.

ბარნოვი, რომ სიყვარულს რელიგიაზე მაღლა აყენებს ამის ერთი დამადასტურებელი ფაქტია ის, რომ მის შემოქმედებაში დარღვევაა რელიგიური კანონების შელახვა სიყვარულის წინაშე მკრეხელობად არ ითვლება.

აშოტისა და შუქიას მიჯნურობა ,,ტრფობა წამებულში» ეკლესიას მრუშობად მიაჩნია, მაგრამ ,,ქალ-ვაჟის იგი ურთიერთობა შორიდან შეხედვით მრუშობა იყო უშვერი, ხოლო ახლო დახედვით მიჯნურობა იყო ნაკურთხი, მზიური ტრფიალი».

სიყვარულისა და ღმერთის გაგება არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, მაგრამ, სადაც წინააღმდეგობა გარდაუვალია, მწერალი სიყვარულს უფრო წინ აყენებს.

თემისტო შუქიას ,,... კავშირს მეფესთან მსუბუქ და ლამაზ ცოდვად სთვლიდა, რომელსაც უთუოდ აპატიებდა სახიერი». ის არ იყო სიყვარყლისაგან გამორჩეული და ღრმად არ ესმოდა ამ გრძნობის სიძლიერე, მაგრამ ,,ალღოთი შეეგნო, რომ იგი კავშირი მხოლოდ გარეგანი სახით ემსგავსებოდა მრუშობას, ეკლესიის დასტურდაურთავი, თვისი დალოცვილი, რომელს არ ესაჭიროება კურთხევა სხვისი».

ტრფობა სრულიად დამოუკიდებელია რელიგიასთან. ამას ლევანისა და ლეილ-ყიზის სიყვარულიც მოწმობს. ლევანი ქრისტიანია, ლეილი მაჰმადიანი, მაგრამ სარწმუნოებას არ შეუძლია გათიშოს ისინი. სიყვარული მასზე ძლიერია და მასზე უფრო მაღალა დგას». არმაზის მსხვრევაში» ამზაილისთვის მთავარი სიყვარულია, რელიგიას მისთვის მნიშვნელობა არა აქვს.

,,... მიყვარხარ! სიცოცხლე ჩემი შენივ სიცოცხლე, ქვეყანა შენი ჩემივ ქვეყანა, ღმერთები შენი ჩემივ ღმერთები!» _ ეუბნება ის ხვარამზეს.

ამზაილისთვის ყველა ძლიერი ღმერთი სიყვარულის ღმერთია. ქრისტიანობისკენ გადახრილი ხვარამზე, ამიტომ იზიარებდა ახალ სარწმუნოებას, რომ მაცხოვარში სიყვარულის ღმერთს ხედავა.

,,სიყვარულის ღმერთიაო ის, სიყვარული თვითინ არისო (6-545) ეუბნება ამზაილს.

მაგრამ, როდესაც ღმერთთან ბრძოლაში დაეცა ზაილი, მან უარყო ჯვარი სისხლის ღვრამ და სატრფოს სიკვდილმა დაარწმუნა, რომ არც ქრისტიანობა იყო ჭეშმარიტი სიყვარულის დამცველი, ამიტომ ქრისტესაც და არმაზსაც სიყვარული არჩია: ,,ჯვარის მადლით» დასაწყნარებლად მისულ ნინოს ქალმა შეხედა «ძნელის შეხედვით, შეიწყვიტა ყელზედ ჯვარი და გადასტყორცნა. მოეჭდო ჭაბუკს... დასწვდა ქალი ვაჟის ხანჯალს. დააკლა თავი. (6-530)

სიყვარული სოციალურად ათანასწორებს ადამიანებს. შეყვარებულებს შორის კლასობრივი განსხვავება წაშლილია, რამდენადაც მათი ორეული წინაწარ განსაზრვრულია და მათი გათიშვა შეუძლებელია, ამდენად მაღალი და დაბალი წოდების წარმომადგენელთა შორის სოყვარულს კლასობრივი უთანასწორობა წინ ვერ გადაეღობება.

ბარნოვის ნაწარმოებებში ჩვეულებრივი მოვლენაა სხვადასხვა წოდების ქალ-ვაჟს შორის სიყვარული, რომელიც ხშირად ბედნიერებით მთავრდება.

,,სევდის საგუბარი» მდიდარმა მოხელემ ოთარმა შეირთო ღარიბი ოჯახიდან გამოსული გულნაზი. მოთხრობაში ,,აჩრდილი სიკვდილისა» ელიზბარი მდიდარი მემამულეა, ლიზიკო დაბალი ფენის წარმომადგენელი, მაგრამ ისინი არასოდეს იხსენებენ თავიანთ სოციალურ წარმომადგენლობას.

ბედნიერი სიყვარულისათვის სოციალურ წოდებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, პირიქით, კლასობრივი უთანასწორობის დაძლევა სიყვარულისათვის ისეთივე აუცილებელია, როგორც რელიგიური სხვაობის უგულველყოფა.

,,ისნის ცისკარი» ყველაზე მკვეთრად დგას საკითხი სიყვარულისა და კლასობრივი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

,,... ნუ მომეკარები! შენ დიდებული გმირი ხარ ქვეყნისა, ბრწყინვალე თავადი, მე კი ხელოსნის ქალი, მხევალი შენი, ასული შენი ნაყმევისა... გაგშორდები, გავალ ქვეყნით, განდეგილთა სავანეში ვილოცავ შენთვის სიკვდილამდე». _ეუბნება თინანო საამს, რომლის პასუხში მჟღავნდება სოციალური მდგომარეობის უარყოფა შეყვარებულთან შორის.

,,_ნუ მეტყვი მაგას! მშვენიერება თვით უფალია უფლებათა, ხოლო შენ განხორციელება ხარ მშვენიერებისა და უმაღლესი ქვეყნიურ დიდებათა».

აღსანიშნავია, რომ სიყვარულისათვის დიდგვაროვანნი ნებით უგუვებელყოფენ ქვეყნიურ დიდებასა და სიმდიდრეს.

მწერალი ცდილობდა სიყვარულის ძალით დაერღვა წარსულში დადგენილი სოციალური საზღვრები და პიროვნება კლასობრივი ჩაგვრისგან გაეთავისუფლებინა.

,,ტრფობა წამებულში» აშოტისა და შუქიას დაახლოება ხდება არა რიგითი მებრძოლის ქვრივზე მეფის უფლების გამოყენებით, არამედ ორმხრივი სიყვარულისა და შინაგან ლტოლვაზე დაყრდნობით.

სიყვარული, რომ მფარველობდეს შეყვარებულს, ამისთვის საჭიროა არა სოციალური უპირატესობა, არამედ ერთგულება. ,,მიმქრალი შარავანდედში», როდესაც ,,ზეცით წარმოგზავნილმა ანგელოსმა» დალოცა მეფე-დედოფლის სავანე, ,,შებრუნდა მსახურთა სადგომებში და ჰპოვა იქ ზეციური მადლის ღირსი ცოლ-ქმარი, შეასვა ნექტარი ნაკურთხი მარიკასა და კოწიასა. მისათვის იყო, რომ ისეც დამტკბარმა კოწიამ ისეთი სიხარული იგრძნო, თავისი თავი მეფე ეგონა, უშრეტი ნეტარების მქონე მეფე! ვინ მოიფიქრებდა მაშინ, რომ მადლმა ღვთისამ შეაერთა საიდუმლო კავშირი ეს ორი საწყალი ადამიანი, ხოლო უარჰყო გვირგვინოსან მეფეთა ერთობა».

საყურადღებოა, რომ ვ. ბარნოვის შემოქმედებაში მეფეთა ოჯახები სიყვარულს მოკლებულნი არიან და მათი პირადი ცხოვრება უფერულია. ამიტომ სიყვარულის წინაშე მეფეთა, როგორც პიროვნება უფრო დამცირებულია, ვიდრე ყმა ან მსახური.

მწერალი ამ შემთხვევაში ისტორიულ სინამდვილეს იცავს, ფეოდალურ ხანაში მეფეთა ქორწინება მათი ნება-სურვილის მიხედვით არ ხდებოდა, რადგანაც ეს დამოკიდებული იყო სახელმწიფოს მდგომარეობაზე და მის ინტერესებთან იყო დაკავშირებული მეფის პირადი

ცხოვრება. ამოტომ ქვეყნის მმართველთა ქორწინება ხდებოდა ჯერ ერთი, სოციალური მდგომარეობის მიხედვით, და, მეორეც, მეფის ქორწილს პოლიტიკური ურთიერთობა, მყარდებოდა.

მწერალმა მონახა სუსტი წერტილი სამეფო ცხოვრებაში და სიყვარულის საფუძველზე გააშუქა წარსულის კლასობრივი წინააღმდეგობა.

ბარნოვის შემოქმედებაში სიყვარულმა დაჩრდილა სოციალლური უთანასწორობა და სამართლისათვის ბრძოლაში კეთილ ღმერთს გაუთანასწორდა.

ავტორი ხშირად აიგივებს ღმერთსა და სიყვარულს: ,,სიყვარული იგივე ღმერთია ხორცშესხმული, რომელს ვეწინააღმდეგე დასაბამითგან სოფლისა». ეუბნება სატანა თინათინს.

სატანა სიყვარულს ისე უპირისპირდება, როგორც ღმერთს, რაც სიყვარულის ღმერთთან გატოლებაზე მეტყველებს.

მორწმუნეთა აზრით, ღმერთია ადამიანის ცასთან დამაკავშირებელი, ხოლო ბარნოვის აზრით, სიყვარულია ,,ერთად-ერთი ძალა ადამიანის ცასთან დამაკავშირებელი (17-324). გაღმერთებული სიყვარული, ერთ მხრივ, ნაზი და უკვდავების მომნიჭებელია ერთგულთა მიმართ და მეორეს მხრივ, ძლიერი და სასტიკია მოღალატეთა მიმართ.

მწერალი აშოტის სიყვარულზე შენიშნავს: ,,უძლეველი იყო მისი სიყვარული, ვითა სიკვდილი, მაცოცხლებელი იყო სიყვარული იგი, ვით ნამი უკვდავებისა ზეცით ნაცვარი».

ბარნოვის აზრით, ,,სიყვარული გრძნობათა მზეა ის უხვად აბნევს მანათობელ სხივებს თავის გარშემო და იზიდავს თავისკენ ყოველსავე არსს სათაყვანებლად თუ სადიდებლად». (24-274)

გ. გიქოძეს წერილში ,,ვასილ ბარნოვი» მაგალითად მოჰყავს მოთხრობა ,,ვაი, შენს დამკარგავს» და ,,ხარატი», რომელთა სიუჟეტზე დაყრდნობით წერს: ,,ბარნოვი იმეორებს თავის საყვარელა ზრს, რომ სიყვარული ერთადერთი ქვეყნიური განხორციელება არსისა, რომელიც სიცოცხლის დასაბამია, რადგან სიცოცხლე მის მიერაა შექმნილიო. (10-274)

ვ. ბარნოვმა ქალ-ვაჟის სიყვარული განაზოგადა, ყოველგვარი სიკეთე მას დაუკავშირა და ადამიანური გრძნობის ღვთაებრივ საწყისთან შერწყმით, შექმნა სიყვარულის ღმერთი, რომელიც ხელოვნური ღმერთისაგან განსხვავებით ადამიანს უთქვამს, როგორც ამქვეყნიურ, ისე იმქვეყნიურ ბედნიერებასა და უკვდავებას. ამ გაღმერთებულ გრძნობასთან შეყვარებულ წყვილებს ხშირად მუსიკა აკავშირებს. საკრავის ხმა და ტკბილი სიმღერა გზის მაჩვენებელია მაღლებისა და გამწმენდისაკენ.

მუსიკა შეგრძნების საუკეთესო საშუალებაა.

,,ტკბილ დუდუკში» მიხა მუსიკის ხმებში სატრფოს ხმას ისმენდა: ,,ფრინველთა გალობაში, წყლის შრიალში, დუდუკის ტკბილ საკრავში, სალამურის სტვენაში თუ თარის წკრიალშია ჩაწნული მისი ხმის ბგერა და მე ვარჩევ იმ ტკბილ ხმებს, მე ვგრძნობ მათ. (4-265), _ ეუბნება მიხა მეგობარს.

,,მიმქრალ შარავანდედში» თინათინმა დიდი ხნის განშორებულ სატრფოსთან შეხვედრა, ნოშრევანის ხმაში ამოიკითხა, რომელიც ძალიან ირჩეოდა ალავერიდის მგალობელთა ხმებიდან ,,ობლად რომ გაისმოდა ტაძარში და ტკბილ ჰანგად აღევლინებოდა მეუფეს».

ესაა მუსიკა და სიყვარულის ჰარმონია, რომლის საშუალებითაც შეყვარებულები ერთმანეთს პოულობენ.

,,ტკბილ დუდუკში», ,,მიმქრალ შარავანდედში» და ,,თებერას დანიშნულში» სიყვარულის სიმი სიმღერისა თუ ხმის მუსიკობით ინასკვება. სამივე ნაწარმოებში სულის ამაღლება, გაფაქიზება ტანჯვის მეშვეობით ხდება, სიკვდილის მოახლოვება და სიყვარულის პირვანდელი სახით გაცოცხლება განპირობებულია სამყაროს მუსიკალური წყობით. ვ. ბარნოვს სიყვარული ესმოდა, როგორც სამყაროს შინაგანი მუსიკა და სმენათა შეთანხმება, ხმის მუსიკობა, მისი გმირების აზრით, საუკეთესო საშუალებაა პიროვნების ამაღლებისათვის და ამქვეყნიურ ვნებათა დათრგუნ-ისათვის. მოტრფიალენი ხმის მუსიკობის მეშვეობით სცნობენ ერთმანეთს. (22-331)

ყველა ზემოთ განხილული ფაქტი, სიყვარულის ღმერთთან განტოლება და ზოგჯერ მასზე მაღლა დაყენება, მისი უძლეველი ძალა სოციალურ და სარწმუნოებრივ წინააღმდეგობათა დაძლევაში, სიყვარულის უნარი ცასთან დააკავშიროს ადამიანი, მისი რთული ბუნება, მოწმობს, რომ საქმე გვაქვს გაღმერთებულ სიყვარულთან.

შეიძლება ითქვას, რომ ვ. ბარნოვმა, ადამიანთა ფსიქოლოგიისა და გრძნობის ანალიზის საფიძველზე, ჩამოაყალიბა სიყვარულის რელიგია, რომელიც შეყვარებულისაგან სატრფოსადმი ერთგულებისა და სიკეთე მოითხოვს, სამაგიეროდ, მარადიულ ნეტარებას ჰპირდება. ხოლო ,,... ვინც ზეციურ ნიჭს _ სიყვარულს უარყოფს და ცხოვრებას გრძნობის გარეშე მოაწყობს, ყველაფერი უშინაარსო გახდება და მალე დაიმსხვრევა. (23-69)

,,ბარნოვის რელიგია არის რელიგია თავისუფლებისა და სიყვარულისა».

არმაზის მსხვრევა – ქრისტიანობის დასაწყისი

ქართლის მოქცევის ამსახველი წყაროები უშუალოდ ქრისტიანობის გავრცელების ფაქტებს გადმოსცემენ და ჯიუტად სდუმან იმ ეროვნულ ტკივილებზე, რაც თან ახლავს ახალი სარწმუნოების მიღებას, ახალი ღმერთის აღიარებას, ძველი რწმენის დავიწყება და ახალზე გადასვლა მოითხოვს სულიერი და მატერიალური კულტურის, ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიცი-ების გარდაქმნას. IV საუკუნის საქართველოში ფარული თუ აშკარა ჭიდილის შემდეგ დადგა ეს საბედისწერო დღე. ამ მოვლენას ასახავს _ ,,წმინდა ნინოს ცხოვრება» და ,,ქართლის მოქცევა», რომელთა სიუჟეტი გამოიყენა ვასილ ბარნოვმა რომანში ,,არმაზის მსხვრევა», მაგრამ ძველი ავტორისაგან განსხვავებით ქართლის მოქცევა ეროვნულ-პოლიტიკურ პრობლემებთან უშუალო კავშირში გააშუქა და სულ სხვა ლიტერატურულ-ისტორიული მასშტაბები მისცა.

რომანში გაშუქებული ეროვნულ-სარწმუნოებრივი ორიენტაციის პრობლემა ძირითადად სამ პლანში წყდება, მხატვრული კონტრასტი იქმნება სამი ურთიერთმებრძოლი მხარის დაპირისპი-რების ფონზე, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ ეროვნულ-სარწმუნოებრივი საკითხის სამ მიმართულებას: ერთ მხარეს წარმოადგენენ სპარსული ორიენტაციის მიმდევარნი, მეორეს ქრისტიანულ-ბიზანტიური და მესამეს ქართულ-ეროვნული დამოუკიდებლობის ციშუბ-ითრიშანის მომხრეები.

სპარსელთა ბატონობის სიმბოლოდ ნაწარმოებში გვევლინება არმაზი, მრისხანე ღმერთი, რომელსაც დაუმარცხებია და განუდევნია ეროვნული ღვთაება ციშუბი და თვითონ დამკვიდ-რებულა მცხეთაში,მაგრამ მას ამავე დროს ქართული იერ-სახე მიუღია, შესისხლხორცებია

ქართულ ცხოვრებას და მზეჭაბუკად აღმართული არმაზ-ციხეზე ქართლის დამცველ ძალად გადაქცეულა.

სპარსეთის გავლენა ქართლში მირიან მეფის დროს მკვეთრად იგრძნობა. სამეფო კარი დიდი პატივით ეპყრობა შაჰის წარმოგზავნილებს. მირიანი და ბჭენი უყოყმანოდ ასრულებენ შაჰ-შაბურის მოთხოვნებს. მეფის საბჭო სპარსთა საქმეს ღვიძლ საქმედ მიიჩნევს, სპარსთა განსაცდელს საკუთარ განსაცდელად თვლის. ,,ირანი, საქართველო ვალდებულნი არიან ერთად იბრძოლონ (5-455)» ჯერ სპარსეთი ძლიერია და საქართველო მისი გავლენის ქვეშაა, მაგრამ შესუსტებული მისი ძალა. «ბიზანტიელთა სახელი შემაღლებული წელში გამართულიყო (5-498) სპარსული ორიენტაციიის შეცვლა ბიზანტიურით ხდება ღრმა პოლიტიკური ნიადაგის მომზადების შემდეგ. კეისარმა სპარსეთზე გამარჯვების შემდეგ მირიანს რისხვით სავსე წერილი გაუგზავნა. ,,სპარსეთი უკვე განრთხმულა ჩემს მძლე ფერხთა ქვეშ. განვაცდევინებ ჩემს ძლიერებას შაბურის მშველელთ». (5-499). – იწერებოდა კეისარი და ითხოვდა მძევლად უფლისწულ ბაქარს. უარის თქმა შეუძლებელია, მეფეს არ შესწევს ძალა წინ აღუდგეს კეისარს. ძალები მეტისმეტად არათანაბარია. იგი იძულებულია ბიზანტიისაკენ შემობრუნდეს. ეს კი თავისთავად გულისხმობს მცხეთაში ქრისტიანობისა და ქრისტიანობისადმი შემწყნარებლურ პოზიციებს. ამას გამარჯვებული კეისარიც მოითხოვდა კეთილად გეპყრას ქრისტეს სჯულის მქადაგებელნი. (5-499)

შეიქმნა ისეთი პოლიტიკური მდგომარეობა, როდესაც ქრისტიანობის აღიარება მირიან მეფისათვის გარდუვალობას წარმოადგენს. ეს იყო იმდროინდელი რეალური ვითარებით გამოწ-ვეული ნაბიჯი. წარმართობიდან ქრისტიანობაზე გადასვლის მწვავე მომენტი.

ლეონტი მროველი არაფერს ამბობს იმ საერთაშორისო მდგომარეობაზე, რამაც განაპირობა ქრისტიანობის აღიარება საქართველოში. კეისრის მიერ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და ნიკეის კრებაზე მისი დაკანონების შემდეგ ქრისტიანობა შეიქმნა მძლავრ იდეოლოგიურ იარაღად მსოფლიოს დაპყრობისათვის ბრძოლაში. ,,მან წარავლინა სჯულის ქადაგნი ყოველ მხარეს და მათ შორის საქართველოშიც. კეისარი ისწრაფოდა უცხო ტომთა დამონებას ხორციელად და სულიერად» (5-468) ,,ნინოს ცხოვრებაში» და აგრეთვე ლ. მროველის მიხედვითაც ნინო მარიამ ღვთისმშობლის დავალებით მიდის ქართლის მოსაქცევად. ოფიციალურად მას არავითარი მისია არ აკისრია კეისარისაგან, პირიქით, იგი ლტოლვილია რიფსიმესთან ერთად, მას მხოლოდ ზეციური ხმა უკვალავს გზას, მოუწოდებს იაროს მცხეთის მიმართულებით. მემატიანე არაფერს ამბობს ბიზანტიელთა მიერ ქრისტიანობის მიღებასა და მის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე. იგი ყოველ მოვლენას ქრისტიანული პოზიციებიდან აშუქებს. ეროვნული თვითშეგნება, ქვეყნის ბედ-იღბალი ლეონტი მროველის აზრით ქრისტიანობასთან დამოკიდებულებითაა განსაზღვრული. მიიღებს ქრისტეს სჯულს ერი, აღიარებს ,,წმინდა აღდგომას»- შეიქმნება უძლეველი, მტერთაგან მიუწვდომელი, ნათელბედნიერ ერად. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დარჩება ,,უფლებისა მათ ზედა ბნელისასა». მათი მეფენი და მთავარნი ცოცხლად შთაინთქმებიან ჯოჯოხეთს». ლეონტი მროველი მოკლედ მოგვითხრობს, თუ როგორ დაამარცხა გაქრისტიანებულმა კეისარმა კონსტანტინემ წარმართი სპარსნი და ქართველნი და როგორ ითხოვა ზავი მირიან მეფემ და მისცა მძველად უფლისწული ბაქარი.

IV საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილი ისტორიული მდგომარეობიდან ნათლად ჩანს, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება ქართლში განაპირობა ქვეყნის შინაგანმა პოლიტიკურ-ეკონომიურმა ცვლილებებმა და სამეფო ხელისუფლების მიერ გარეპოლიტიკური ფაქტორების გამო ბიზანტიური ორიენტაციის არჩევამ.

ნაწარმოებში კეისრის საომარი მზადება და ნინოს გამომგზავრება საქართველოში ერთდროულად ხდება. აქ ნინო საგანგებო მისიით მოდის. იგი ბიზანტიის დაპყრობით პოლიტიკას ემსახურება იდეოლოგიურ სფეროში. ამდენად მისი შემოქმედება ქრისტიანულ-ბიზანტიურ ორიენტაციას გამოხატავს. ავტორის მიერ შექმნილი ნინოს სახე რადიკალურად განსხვავდება წმინდა ნინოსაგან. ,,ქართლის მოქცევაში» ნინო წმინდანის გვირგვინით შემკობილი, საღვთო საქმისათვის თავდადებული მოღვაწეა, ,,არმაზის მსხვრევაში» კეისრის ძლიერებისა და გავლენის პროპაგანდისტია. მისთვის ქრისტეს დიდება ბიზანტიის დიდებაა. შემთხვევით არ არის, რომ კაბადოკიის მღვდელმთავარმა საგანგებოდ შეარჩია ნინო, რომელიც დახელოვნებული იყო ქართულში, ზედმიწევნით იცოდა აქიმობა. გამომგზავრებისას ჰანიბალ პონტოელს წერილსაც გამოსთხოვს. რაც ნინოს ბიზანტიის ოფიციალური წარმომადგენლის უფლებამოსილებას ხელშეუხებლობას ანიჭებს.

ჯავახეთში ერთ-ერთი კერპის შელახვის შემდეგ ამ წერილით იხსნის თავს ხალხისა და ქურუმის რისხვისაგან. მეფე მირიანიც იღებს წერილს ქრისტეს სჯულის მქადაგებელთა შეწყნარების შესახებ. ე.ი. ნინოს შემოსვლა ქართლში წინასწარ ყოფილა დაგეგმილი და თვითონ ნინოც საგანგებოდ იყო მომზადებული ამ მისიისათვის. ამ მისიის განხორციელრბას ექვემდებარება ნინოს მთელი მოქმედება და მწერალიც ამ ასპექტში. ხატავს მის სახეს. დამპყრობელის განწყობილება განაპირობებს მის ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას ქართველებთან. ქადაგი შემთხვევით არ უახლოვდება მცხეთელ ურიებს _ებრაელებს. ვასილ ბარნოვი ამით ნინოს ორი ჩანაფიქრის განხორ-ციელებაზე მიგვანიშნებს: ერთი, რომ ქრისტეს კვართის საიდუმლოს ამოხსნის, რომელიც მცხეთელ ურიებთან, ებრაელებთან იმალება და რის გარკვევაც ნინოსთვის აუცილებელია, როგორც ქრისტიანისათვის, ისე ქადაგისათვის. და, მეორეც, ემიგრირებულ ხალხთან ურთიერთობა იოლიც იქნებოდა და შემდეგში დასაყრდენადაც გამოიყენებდა ადგილობრივ მკვიდრთა წინააღმდეგ, რომლებსაც თავისი ღმერთი მტკიცედ სწამდათ და უცხოს ვერ იგუებდნენ და უფრო რთული იქნებოდა მათთან ურთიერთობის დამყარება. ნინო წინასწარ დასახული გეგმით მოქმედებს: ხალხის გულის მოსაგებად იგი ქადაგებს ქრისტიანობის კაცთმოყვარეობას და ჩაგრულთა მიმართ ლმობიერებას. ხაზს უსვამს სოციალურ თანასწორობას, რითიც ღარიბთა უმრავლესობის თანაგრძნობას იმსახურებს. ამას თან ერთვის საგანგებოდ კარგად შესწავლილი მკურნალობა.

ნინოს განწყობილება ქართლის მიწაზე დაბიჯებისთანავე მჟღავნდება. მისთვის ყოველივე არაქრისტიანული და არაქრისტიანი ბნელია და ბოროტებასთან წილნაყარი. ამიტომ მას სურს გარდაქმნას იგი. ქრისტესმიერი უწოდოს ყოველივეს, აღმოაცენოს _ ,,სამკალი უხვი ქრისტეს ყანისა» (5-47). მან იცის, რომ ბრძოლად მოდის ქართლში, დარწმუნებულია, რომ ეს იქნება დაუნდობელი და ხანგრძლივი ომი, ამიტომ ზოგჯერ, როგორც ქალს, სისუსტე სძლევს ხოლმე, ამ უძნელეს გზაზე. ზოგჯერ შიში ერევა უფსკრულებისა და უზარმაზარი მთების დანახვაზე, მაგრამ მას შინაგანი «ხმა იდუმალი» მოუწოდებს იაროს წინ და ისიც აგრძელებს გზას. მოდის შეუპოვრად.

ნინო დაკვირვებული დიპლომატია. ებრაელებთან დამეგობრებისა და მოქცევის შემდეგ სამეფო კარი ამოიღო ნიშანში. ჯერ ხვარამზეს გადაბირება განიზრახა, ხოლო მისი მეშვეობით სურდა ამზაილიც მოექცია. მირიანის თხოვნით, მოგვი აბუხვასროს განკურნვის შემდეგ საკმაო პოპულარობა მოიპოვა სატახტო ქალაქში, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ფრთხილად მოქმედებს. არ ამხელს თავის ვინაობას. იგი მხოლოდ შაჰ-შაბურზე კეისრის გამარჯვების შემდეგ აიმაღლებს ხმას. მანამდე მოღვაწეობა ბრძოლის მსვლელობის პარალელურად მიმდინარეობს, რითაც ავტორი ხაზს უსვამს ნინოს საქმიანობის მჭიდრო კავშირს ბიზანტიის მიერ დაპყრობის პოლიტიკასთან, უფრო სწორად ქართლის მოსაქცევად კეისრის ხმალი და ნინოს ხელით შემართული ქრისტეს ჯვარი ერთდროულად შეთანხმებულად მოქმედებენ. ორი სახე ჰქონდა დასავლეთით მოვლენილ ქრისტეს: გარედან, რომ თავმდაბლობის ძაძა ემოსა, ქვეშ ბექთარი ჩაეღილნაქაჯთა ნაკვერი, იმის ხის ჯვარში დაშნა იდვა ურჩთ ცეცხლის მდები. მშვიდობის სახე, ბაიას რტო ნიში იყო ხმაჩაწყვეტილი მორჩილებისა (5-508). საჭირო დროს გაშიშვლდება ხოლმე დამალული მახვილი და აშკარავდება მისი ნამდვილი ბუნება.

ბიზანტიელთა ძლიერებით ზურგგამართული ნინო ავადმყოფ დედოფალს უკვე თავისთან იბარებს მაყვლოვანში. ნანას მიმართ ესოდენ დამამცირებელი ჟესტით იგი საკუთარ ამაღლებაზე მიანიშნებს გვირგვინოსანთა ზედა. ვერ გაბედავდა იმ თავხედობას, რომ არ იყოს ბიზანტიით განმტკიცებული (5-511).

ამ დროს კიდეც ერთი რეალური მიზეზი იჩენს თავს ქრისტიანობის აღიარებისათვის. დედოფალი უფრო და უფრო სუსტდება. ნინოს ხელოვნების უარყოფით შეიძლებოდა დაღუპულიყო იგი. სხვა გზა არ ჩანდა, ყველა ცდა და წამლობა ამაო აღმოჩნდა. სამეფო კარი იძულებულია ქადაგს აახლონ დედოფალი. საგულისხმოა, რომ მეფეს ამის შესახებ რჩევას აძლევს არმაზის ქურუმი ბაბექი, ქრისტეს შეურიგებელი მტერი. იგი აგრეთვე აღიარებს, რომ ნინოს ცოდნა და მკურნალობის საშუალებები აღემატებიან ჩვენს ცოდნას (იქვე). მწერალი სიმბოლურად მიგვანიშნებს ქართლის სახელმწიფო რელიგიისა და სამეფოს ახალი სჯულის წინაშე ქედის მოხრაზე.

დედოფლის საოცარმა განკურნებამ საბოლოოდ გადახარა ბედის სასწორი. იგი ,,აქამდისინ მტკიცე ბურჯი იყო არმაზისა. აწ იძულებით უთაყვანა ღმერთს ბიზანტიურს. თავისდახრა რომაელთ წინ, დამორჩილება» (5-513) ძველი რწმენა, ირღვეოდა, ახალი ფრთებს შლიდა, ძლიერდებოდა, მაგრამ ნინომ იცის, რომ ვიდრე არმაზი დგას თავის დიდებულ კვარცხლბეკზე, ერი არ მიიღებს ჯვარცმულის მოძღვრებას. მის მოწაფეთა შორის ძირითადად უცხონი არიან: ებრაელნი, ჰაიკანნი, ბიზანტიელნი. მათშიც გულით მორწმუნენი ცოტანი არიან, ისინი მისულიყვნენ ნინოსთან კეისრისაგან კეთილისმყოფის იმედით. ამიტომ იგი მკვეთრად იცვლის ტაქტიკას. აგრესიული ხდება არმაზის მიმართ. კერპთან დრამატული შეხვედრისას არმაზის გამტეხი მზერით აჟრჟოლებული ქადაგი ქალი ემუქრება მას – დადგება ჟამი, ჩემის ხელით აგმოგწოდა თვალნი საზარნი (5-518). არმაზის სიმშვენიერემ კი არ მოხიბლა, არამედ გააგულისა და გაანაწყენა და ხელსაყრელმა მდგომარეობამ, ხალხის მერყევმა განწყობილებამ ნინო მიიყვანეს ხელჩართული ბრძოლის გაჩაღებამდე. იგი ძლევამოსილი კეისრის ხმალსა და ქართველთა ძველი ღმერთების ციშუბ-ითრუშნის თაყვანისმცემლებზე დაყრდნობით იმედოვნებს არმაზის დამარცხებას. მოისპობა ყოველი ხატი ადგილობრივი! მათი სახელიც აღმოფხვრას ხალხის ხსოვნიდან, ცეცხლი ყოველს ნაშთს წარმართობისას, მსხვრევა მათ ღმერთებს! ძველი ქართველი

ღმერთები ციშუბ-თოხნაბეჯი არმაზისაგან მაღალ მთებში განდევნილნი ანაზდეულად შემოდიან მოქმედების ასპარეზზე. მანგიური ეროვნული სარწმუნოების გამომხატველი პერსონაჟი, რომელიც ერთგულად ემსახურება ქართულ რწმენას და უმწიკლოდ იცავს წინაპართა ძველისძველ ადათ-წესებს, არმაზის დაუძინებელი მტერია. მისი ხსოვნიდან არ მოდის გადმოცემით აღქმული საუკუნეთა მიღმა მომხდარი ღმერთთა ბრძოლა. თითქოს უშუალო მონაწილე ყოფილიყოს, ისეთი გატაცებით ხატავს შერკინების სურათს. მიაწერს რა არმაზის მიერ ციშუბის მარცხს განგების ნებას, მანგიური იმედს არ კარგავს, რომ დამთავრდება არმაზის ზეობა, მას ღრმად სწამს გამარჯვებისა, იცის, რომ არმაზის სპარსელთა ბატონობის სიმბოლოა, და მისი ბძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას გულისხმობს. იგი ამოდის ქართული სულის სიღრმიდან, მისი მოქმედება, მისი შეურიგებლობა არმაზთან განუყოფლად უკავშირდება ხალხის თვითმყოფადობას, მის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. ის ეტრფის იმ დროს, როცა ქართველი ერი თავის ღმერთებს სცემდა თაყვანს, საქართველოს ცას და მიწას განაგებდნენ ციშუბ-ითრუშნი. ციშუბები ცვარს ადენდა ზეცით, ითრუშანი აღმოაცენებდა უხვ ნაყოფს კეთილსა "(5-457) ციშუბ_თარხუჯი_ითრუშანი ქართველი კაცის ბუნებას გამოხატავს ქართული ხასიათების მატარებელი და მფარველია. ცვარ-ნამის წვიმა, ნაყოფის სიუხვე და ქვეყნის თავდაცვა – სამი ფაქტორი ახასიათებს ქართულ ცხოვრებას, ტრადიციული გაგებით და ამ ღმერთთა სამსახოვნება შესაბამისად გამოხატავს ქართველის ყოფით ცხოვრებას. ანგიური ვერ ეგუება უცხო ღმერთს, არმაზი მისთვის ბოლომდე უცხოდ დარჩა. მისთვის ციშუბ-თარხუჯ-ითრუშანია სათაყვანებელი ღვთაება. მიუხედავად იმისა, რომ მთიელთა გარდა ქართველნი აღარ ლოცულობენ ძველ ღმერთებს, ის კვლავ ძველებურად ერთგულია მათი. ციშუბის მთაზე მისი განდეგილად ცხოვრება მოწმობს, რომ ის მარტოდმარტო დარჩენილა მცხეთაში ციშუბის ქომაგად. მრევლსა და მლოცველებს მოკლებული კვლავ ერთგულად ემსახურება მას და მტკიცედ სწამს ბედისწერისაგან დევნილი ღმერთი კვლავ აღსდგება, როგორც ქართული ეროვნული დამოუკიდებლობის სიმბოლო და დაიბრუნებს სპარსელთა მიერ წართმეულ დიდებას. მთებში შემორჩენილი რწმენა ქართული ეროვნული სარწმუნოების აღდგენის იმედს უსახავს მას.

მანგიური ამტკიცებს, რომ არმაზის ზეობა სპარსელთა ბატონობას ნიშნავს, ხელისუფალთ არმაზი მფარველად დაუსახავთ მას ესავენ, მისთვის კი იგი მტერია, უცხო, დამპყრობელი და ყოველ წუთს ცდილობს შური იძიოს.

რომანის შესავალში სამეფო საბჭოზე მკვეთრად იკვეთება მანგიურის მეფექურუმთაგან განსხვავებული პოზიცია ბიზანტიისა და სპარსეთის ბრძოლაში. მან პირველმა იგრძნო არმაზი-სათვის განსაცდელის მოახლოვება, მშობლიური მიწისა და ცის ერთგული, მასთან შეზრდილი მანგიური შინაგანი ცნობიერებით ზუსტად ზომავს თავის საომარ მოქმედებას, საუკეთესოდ აღიქ-ვამს დროსა და ადგილს. იცის რა მომენტში, როდის ჩაებას ჯვარცმულსა და არმაზის შერკინებაში.

მანგიურის რწმენით არსებობს ყოვლის გამგებელი ბედისწერა, რომელიც "უკვდავსაც ჟამიერად მიაყუჩებს, ცინარობს, შემდეგში კვლავ აღბრწყნდეს შუქმომფინარი!» (5-512). ამ რწმენ-ით შეიარაღებული ციშუბის ქურუმი მედგრად ეკვეთება არმაზ მრისხანეს.მათ შემართებას კმაყოფილებით ხვდებიან ჯვარცმულის მომხრენი. რადგან ციშუბის შემართება არმაზზე გზას უკვალავდა დასახული მიზნისაკენ.

ეროვნულ და სარწმუნოებრივ პრობლემას, უფრო ნათლად წარმოსახვისათვის, მწერალი ხსნის ამზაილისა და მეფის ასულის ხვარამზეს სიყვარულის ფონზე. მათი ურთიერთობა ღმერთია ბრძოლების პარალელურად ვითარდება. ქადაგი ნინო ცდას არ აკლდება, რომ როგორმე ხვარამზე ქრისტიანობაზე მოექცია. მისი გადაბირებით ნინო ორ დიდ საქმეს უყრიდა საფუძველს. ერთი რომ მეფის ოჯახში შეიტანდა ქრისტეს სჯულს და მეორეც, მეფის ასულის საშუალებით ამზაილთან გასდებდა ხიდს, რომელიც მას აუცილებლად ესაჭირეობოდა, როგორც რჩეული ჯარისა და არმაზის დამცველი რაზმის სარდალი. მაგრამ ნინომ ამზაილი ვერ მოაქცია, ხვარამზე ამზაილსა და ნინოს შორის აღმოჩნდა. საიდუმლო პაემანზე ამზაილი არმაზს შესთხოვს შემწეობას: «..არმაზ ბრწყინვალე, ტურფა სიზმარი გარდამიქმენ ტკბილ სიცხადეთა». ხოლო ხვარამზე ქრისტეს ევედრება «_ღმერთო იესო, ზმანებად არ გარდაგვიქმნა ეს სინამდვილე». მაგრამ გულით ის ამზაილთანაა: «სიცოცხლე ჩემი შენივ სიცოცხლე, ქვეყანა შენი ჩემივ ქვეყან, ღმერთები შენი ჩემივ ღმერთები». (5-545) ეფიცება უფლი-სწული თავის რაინდს.

ციშუბისა და არმაზის შერკინებიდან გამარჯვებული გამოვიდა ქრისტე. დადუმებულ ბრძოლის ველზე, სადაც მკვდართა ზვინები და შემუსრული კერპი გდია, რომლის ბივრილიონის თვალები ქადაგმა ტრაპეზის ქვაზე დაანაჭუჭა, აღარ ჩანს არც ციშუბ-ითრუშანი, არც მისი ქურუმი მანგიური. მხოლოდ ქადაგი ნინო დაიარება ხელსისხლიანი.

მწერალმა ფინალში მოუყარა თავი კვანძის ყველა ბოლოს: მანგიურის შურისძიება, ქრისტიანობაზე სამეფო კარის გადასვლის გამომწვევ ფაქტორებს და ამზაილისა და ხვარამზეს სიყვარულის დასასრულს. არმაზის დაცემა ნინოს ცხოვრებისაგან განსხვავებით ფინალში გადმოიტანა, რითაც ერთგვარად მიგვანიშნებს, რომ არმაზის მსხვრევით მთავრდება წარმართობა და არმაზის მსხვრევით იწყება ქრისტიანული ერა საქართველოს ისტორიაში.

მშვენიერება ვასილ ბარნოვის პროზაში

ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში სიყვარული ერთ_ერთი მთავარი პრობლემაა, რომელიც იდეურად აერთიანებს ისტორიული ხასიათისა და თანადროულობის ამსახველ ნაწარმოებებს. ისტო-რიული თეამატიკა მწერალს აინტერესებს არა მარტო იმიტომ, რომ ასახოს ჩვენი ერის დრამატული და საგმირო ეპიზოდებით აღსავსე წარსული. არამედ იგი მიზნად ისახავს გვიჩვენოს ქართველი ხალხის სულიერი გზა შორეული ნაწარმოებიდან მის თანადროულობამდე. ზნეობრივი პრინციპებიდან აისახება პატრიოტული, პირადული თუ სხვა საკითხები. იგი ერთგვარად მოიცავს ყველა სხვა წარსულში თუ აწმყოში არსებულ პრობლემას.

ვ. ბარნოვის გმირი, უპირველეს ყოვლისა სიყვარული ერთგული გმირია. ზნეობრივი ფენომენი მაღლა დგას იურიდიულ ნორმებზე. ეს არ არის უბრალოდ მოქალაქეობრივი ქცევის ეთიკეტების ერთობლიობა. იგი მოიცავს ადამიანის შინაგან, კეთილშობილურ თვისებებს, რომლებიც ხელოვნურად, აღზრდის შედეგად კი არ შეუთვისებია მას, არამედ თავისთავად არსებობს გმირის შეგნებაში და განსაზღვრავს მის ზნეობრივ სახეს.

მწერალი ზნეობრივ პრობლემას სიყვარულის ფონზე აშუქებს. ამ გზით ქმნის იგი სრულყოფილ მხატვრულ სახეს, _ ზნეობრივ გმირს, რომლის განმსაზღვრელი მეტაფიზიკური ან გარეგანი ფაქტორი კი არ არის არამედ ზნეობრივი სიყვარულის ზეგარდმო ნიჭი. ეს არის

პიროვნების სულიერი სამყაროს მამოძრავებელი და პრაქტიკული მოღვაწეობის წარმმართველი ქვეცნობიერი ძალა. სიყვარულის გზით მიიღწევა ადამიანის მგრძნობელობისა და გონიერების ფიზიკურ და სულიერ ფაქტორთა ჰარმონიულობა.

3. ბარნოვის შემოქმედებაში ასახული ზნეობრივი სიყვარულის კონცეფციისა და მშვენიერების გააზრებას შეიძლება მოეძებნოს პარალელები ქართულ ლიტერატურაში, ფოლკლორში, ქრისტიანულ მოძღვრებასა და ანტიკურ ფილოსოფიაში. მაგრამ მწერალმა თავისი კონცეფციის საწყისს სიყვარულისა და მშვენიერების შესახებ ქართველი ერის ბუნებაში მიაკვლია, მის ფსიქოლოგიისა და ხასიათის ღრმა ცოდნისა და ანალიზის საფუძველზე შექმნა სიყვარულისა და მშვენიერების თავისებური თეორია, რომელსაც ზუსტი შესატყვისი არც მწერლობასა და არც ფილოსოფიაში არ მოეძებნება.

3. ბარნოვი, ევროპელი რაინდული რომანების ავტორებისაგან განსხვავებით, გმირის ცხოვრებას, მის შინაგან სამყაროს სიყვარულის ფონზე აშუქებს. ხშირ შემთხვევაში ის მწერლები ასახავენ არისტოკრატიული ფენების იდეალურ ყოფას, სადაც ძირითადად პერსონაჟთა საბრძოლო რაინდული მისწრაფებები და საგმირო საქმეებია მოთხრობილი, ხოლო სიყვარული, გმირის შინაგანი სამყარო რაინდული სულისკვეთებიდან გამომდინარეობს და მისი მკვეთრი გავლენის ქვეშაა მოქცეული. უ. სკოტის «აივენჰო» ასახავს სიყვარულის წინა პერიოდს, მაგრამ არ არის ასახული მისი შემდგომი ვითარება. აივენჰომ შეუპოვარი ბრძოლით მოიპოვა სატრფოსთან შეუღლების უფლება. მაგრამ ის ოჯახური ყოფა, რომელსაც ტრადიციულად შეუღლების შემდეგ ჰქონდა ადგილი, ასახული არ არის. არ არის გადმოცემული რიჩარდ ლომგულის ან აივენჰოს, როგორც პიროვნების, სულიერი ტკივილები და შინაგანი სამყაროს მოძრაობა. ამდენად თანამედროვეობის პოზიციიდან მათი დანახვა ძნელია. ასევე ჰ. სენკევიჩის «ჯვაროსნებში» ზბიშკოს სიყვარული დანუსიასადმი უფრო ჩვეულებრივი რაინდული გატაცება და თავდადებაა, ვიდრე ღრმა, სულიერი სამყაროს განმსაზღვრელი გრძნობა, არც აქ გვხვდება გარემოებათა გამო შექმნილი ცოლ-ქმრული ურთიერთობის, ოჯახურ გარემოსა და საყვარელის დაპირისპირებით გამოწვეული ტრაგიზმი, რაც ახასიათებდა მთელ წარსულ ეპოქას, სუბიექტური სურვილების საწინააღმდეგო ქორწინება ადამიანის არსებობის მანძილზე მარად მტკივნეული საკითხს წარმოადგენს. ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებთა გარდა არ აისახება მრავალი ისტორიული ხასიათის სხვა ნაწარმოებებშიც _ (გ. ფლობერის «სალამბო», ვ. პრუსის «ფარაონი», ლ. გოთუას «გმირთა ვარამი»).

3. ბარნოვმა გააშუქა წარსულის ის სურათები და მოვლენები, რომლებიც ნიშანდობლივია და მორალურ ზემოქმედებას იძენს თანამედროვე ცხოვრებაში. კონკრეტულად მწერალმა ასახა სიყვარულის, როგორც ოჯახის ზნეობრივი საფუძველისა და მატერიალურ-ვოლუნტალური ტენდენციების წინააღმდეგობა. აღნიშნული ფაქტი ჩვენი საზოგადოების ერთ_ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძარღვია.

სიყვარულის ნათელი გზით მავალი ადამიანები ბარნოვთან განასახიერებენ სიკეთეს, კეთილი მათშია მოცემული და მხოლოდ ამ "ვარდისფერ" გრძნობას შეუძლია აზიაროს ადამიანი ზეციურ ბედნიერებას. ხოლო მისი უარმყოფელი ბოროტების წაყროდ, ბნელ ძალად იქცევა, რომელიც თვითონ ვერასოდეს მიაღწევს ბედნიერების სავანემდე და სხვის გატაცებასაც ბორკილებში აქცევს, ბოჭავს და თრგუნავს კეთილ სულს. ასეთი დაპირისპირება ასახულია რომანში "ტრფობა

წამებული". ერთ მხრივ აშოტის და შუქიას მგზნებარე ნათელი სიკეთით აღსავსე სიყვარული და მეორე მხრივ ეკლესიის მესვეურთა სიმკაცრე.

«ბნელიდან კი, შავბნელ ბჭეთაგან, მძიმე ღრუბელი ამოსჩენოდა მათ (აშოტისა და შუქურის, _ვ. ი.) სავსე ბედნიერებას, გამანადგურებელი წარღვნის ღრუბელი გულშავი. მოშურნე სატანაილის ფრთებად მოსჩანდა კვამლის ღრუბელი საბედისწერო. სად წაუვიდოდა მას თუნდაც ნასახი ნეტარებისა, სიამე უჩრდილო, ღიმილი ვარდისებური? ვერსად! იგი ბოროტება ბნელ კვამლად შენივთებული ყველგან დაჩრდილავდა სიკეთეს ლამაზს, სიამეს სასურველს: იმისთვის იყო იგი ქვესკნელით ამოწვეული, რომ დაეხშო ყველგან ციაგი კეთილობისა, მოესპო ქვეყანაზედ სიყვარული, შუქება იგი ყოვლადსახიერისა. ეძინათ მიჯნურთ, არ ეძინა მიჯნურობის მტერ ბოროტებას, მის უარმყოფელ სიავეს შავსა».

ვ. ბარნოვი რელიგიურ დოგმატიკას და საეკლესიო კანონისტიკას უპირისპირებს სიყვარულს, მარადიულ, ნათელ და დაუსრულებელ სიყვარულს, რომელიც წარმოდგენილია ნაწარმოებში, როგორც რელიგია, როგორც ღმერთის ძალა. მას შეუძლია მიანიჭოს ადამიანს უკვდავება და მარადიული ბედნიერება. სიყვარულის შემწეობით ხდება პიროვნებაში საკუთარი არსების შეცნობა და სულის თანაზრდა, მისი თანაზიარება, რაც უკვდავების თანაზიარებას უსწორდება, რადგან სიყვარული სიკვდილზე და ბედისწერაზე უფრო ძლიერია, იგი მაცოცხლებელი ძალის მქონეა. ამიტომაა, რომ სიყვარულით შეპყრობილი სული გრძნობს, რომ ის უკვდავი და მარადიულია. მას სწამს, რომ წარსულშიც არსებობდა და მომავალშიც იარსებებს. გარდასულ დროთა სურათებიც მკვეთრი ფერებითაა აღბეჭდილი მის ხსოვნაში, მაგრამ ეს სიყვარულის გაცნობიერების დასაწყისში ბუნდოვანი და მკრთალი სახით აგონდება გმირს, ხოლო სიყვარულის შეცნობისა და დაკარგული ცალის მიგნების შემდეგ თანდათანობით ნათელი ეფინება მის გარდასულ ცხოვრებას და აწმყოში ხედავს არამარტო იმ გარემოს, სადაც მას უცხოვრია, არამედ ადრინდელი არსებობის დროს ყოფილ სატრფოს სახესაც სცნობს და კვლავ მიილტვის მისკენ. მაგრამ თუ აწმყოში ვერ მიაღწია მასთან შეერთებას, მას სწამს მომავალი ბედნიერებისა და სჯერა ხელახლად ხილულ სამყაროში მოვლინების შემდეგ ეზიარება მის განუყოფელ ცალთან ერთად ნეტარ ცხოვრებას. («ტკბილი დუდუკი»)

რაოდენ ირეალურიც არ უნდა იყოს აღნიშნული კონცეფცია, მიზანი აუცილებლად ღირსეულ შეფასებას და მოწონებას იმსახურებს.

მწერლის კონცეფციით სიყვარულის გრძნობა განსაზღვრავს გმირთა ბედნიერებას და უბედობას, წარმატებას თუ დამარცხებას. მწერალი სიყვარულში ღვთაბერივ საწყისებს ეძებს და არა მარტო აიგივებს სიყვარულსა და ღმერთს, არამედ მხოლოდ სიყვარულში ხედავს ღმერთის მოქმედებას. გარდა «ტრფობა წამებულისა», მწერალი არაერთ ნაწარმოებში გადმოსცემს თავის შეხედულებას სიყვარულის ზერელიგიურობისა და გადიადების შესახებ. «მიმქრალ შარავანდედში» იგი წერს: «სიყვარულში აისახება ბუნება ღვთაებრივი... რადგან ნათელი ღმერთი თავის მოქმედებაში სიყვარულია უსაზღვრო, უძლეველი და სამარადისო.» მაგრამ ვ. ბარნოვის სიყვარულის ღმერთი სრულიად განსხვავდება რელიგიური ღმერთისაგან. რელიგიური ღმერთი ადამიანისაგან მოითხოვს მორჩილებასა და ბრმა რწმენას, ზღუდავს მას დოგმატიური კანონებით და მხოლოდ საიქიოში ჰპირდება ბედნიერებას და სიკვდილის შემდეგ აღუთქვამს ამაღლებას, ცასთან მიახლოვებას. სიყვარული კი ათავისუფლებს, სიცოცხ-ლეშივე ამაღლებს პიროვნებას. თუ რელიგიური

თვალსაზრისით ღმერთია ადამიანის ცასთან შემაერთებელი, განმასპეტაკებელი, ბარნოვის აზრით, «სიყვარულია ერთადერთი ძალა ადამიანის ცასთან დამაკავშირებელი». (17_240).

სიყვარულის შესახებ მწერალი ხშირად ლაპარაკობს, როგორც მარადიულ და უსაზღვრო გრძნობაზე: «უძლეველი იყო სიყვარული მისი, ვითა სიკვდილი, მაცოცხლებელი იყო სიყვარული იგი, ვით ნამი ცისა უკვდავებისა ზეცით ნაცვარი.» მისი უძლეველობა და შეუვალობა ირეალურ ელფერს კი არ აძლევს მას, პირიქით, იგი ყოველთვის წარმოგვიდგება, როგორც მძლე სურვილი, ლტოლვა სიკეთისა და ბედნიერებისადმი, რომლის მიზანია აზიაროს ადამიანი სათნოებას, მშვენიერებას და უკვდავებას, რომელიც ადამიანის მიწიურ ყოფას ალამაზებს და სიამით ავსებს. რელიგია კი წინა პლანზე წამოსწევს საღვთო სიყვარულს, ადამიანურ ურთიერთობას მკაცრად განსაზღვრავს, თავისუფალ გრძნობად კავშირს ზღუდავს. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ბარნოვისეული სიყვარულის წყაროდ ქრისტიანული ეკლესიურობა არ ჩაითვლება. პირიქით, მისი დოგმატიკა სიყვარულს უპირისპირდება, სადაც მწერალი სიყვარულს საეკლესიო კანონისტიკაზე და საერთოდ რელიგიაზე მაღლა აყენებს, რაც ნათლად ჩანს «ტრფობა წამებულის» და «არმაზის მსხვრევის» მაგალითზე. მწერალი სიყვარულს ღმერთთან აიგივებს, მაგრამ ღმერთი გაიგება არა როგორც რელიგიური იერარქიის უმაღლესი მწვერვალი, არამედ როგორც უმაღლესი მშვენიერება, რომლის ხილვა მხოლოდ სიყვარულის გზით შეიძლება. ამ პრობლემის გადაწყვეტისას ვ. ბარნოვი პლატონის პოზიციზე დგას. «ნადიმში» სოკრატეს მიერ გადმოცემული შეხედულებების მიხედვით სიყვარულით მიიქცევა სული «მშვენიერების უკიდეგანო ოკეანის ჭვრეტად» (20_33) და «მიადგება ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებას, რომელიც სხვა არა არის რა, თუ მოძღვრება აბსოლუტური მშვენიერების შესახებ». (20_34).

ვ. ბარნოვთან სიყვარულის პლატონური პრინციპია ხორცშესხმული, გაცნობიერებული და ამაღლებული სიყვარულის უმაღლეს მშვენიერებასთან _ ღმერთთან გაიგივებისას კონკრეტული მშვენიერება, როგორც «ნადიმში», ისე ვ. ბარნოვის შემოქმედებაში აბსოლუტური მშვენიერების გამონაკრთომია, მისი ნაწილია.» ვინც ეროტიულ მისტერიათა ამ სტადიამდე ამაღლდება, ვინც თანმიმდევრობით განსჭვრეტს მშვენიერების ყველა საფეხურს, ზიარების ზღვარს მიღწეული, ანაზდეულად იხილავს გასაოცარ მშვენიერებას, სწორედ მას, (სოკრატე) რისთვისაც ადრე იღწვოდა იგი _ მშვენიერებას მარადიულს» (20_35). «რომელთანაც წილნაყარი ყველა სხვა კონკრეტული მშვენიერება იბადება და კვდება.» (18_56).

ვ. ბარნოვი მშვენიერების კონკრეტულ გამოვლინებას ხშირად ქალში ხედავს, მაგრამ მასაც მიაჩნია, რომ სრულყოფილი, აბსოლუტური მშვენიერების ერთ არსებაში ან საგანში განსახიერება შეუძლებალია. «ბუნება ცდილობს განახორციელოს ქალში უმთავრესად სიმშვენიერე, ის ისწრაფვის ზედმიწევნით გამოსახოს მასში ეს აუცილებელი დარგი ღვთაებრივი არსებისა. ამისათვის არის, რომ ასე ვეთაყვანებით ქალთა მშვენიერებას. ღვთაებად ვსახავთ მშვენიერს, რადგან თვით ღმერთია მასში ერთი მხრივ განხორციელებული, გამოთქმული, მაგრამ ბუნების ასეთი ლტოლვილება ადვილად ვერ აღწევს თავის მიზანს, ბუნება ყოველთვის ვერ ჰქმნის ქვეყნიურ მძიმე და ბნელ თივთიერებისაგან ზეციურ ნათელის შესაბამ სახეს». (18_345).

სიყვარულის კონცეფციის ჩამოყალიბებისას ვ. ბარნოვის შემოქმედებაში შემთხვევითი არაა წარმართული აზროვნების გავლენა. იგი გამოიწვია როგორც ქართული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის, ისე ანტიკური ფილოსოფიის ღრმა ცოდნამ. «მას ანტიკური ფილოსოფოსების

ნააზრევი უფრო ხიბლავდა, ვიდრე უახლესი დასავლეთელი სიტყვის ოსტატების ღვაწლი და საზოგადოებრივი ზრახვები» (34_312). «როგორც ჩანს, მწერალს ღრმად შეუსწავლია წარმართული აზროვნების წარმომადგენელი ფილოსოფოსები პლატონი, პითაგორელები, ნეოპლატონიკოსები» (34_771), რაც ნათლად ჩანს სექსისა და სიყვარულის პრობლემათა გადაწყვეტისას. პლატონის კონცეფციით სიყვარული სამყაროს ერთიანობის დიდი პრინციპია უნივერსალური ჰარმონიის, სიკეთისა და მშვენიერების წყარო, სამყაროს მრავალფეროვნებას, საგანთა სიმრავლეს ერთიანობა უდევს საფუძვლად, ხოლო სიმრავლეში თვლემს მარადიული ტენდენცია პირველადი ერთიანობისაკენ მიქცევისა და მიბრუნებისა. ამ მარადიულ ლტოლვას ყოველი არსის, ყოველი სიცოცხლის ამ ინტიმურსა და ნათელ კანონს სიყვარული ჰქვია სახელად.

ბერძნული ეროსის სახით პლატონის «ნადიმში» სიყვარული არა მხოლოდ გაღმერთებულია, არამედ ყველა სხვა ღმერთებზე მაღლა დგას და ყველაზე უძველესია ღმერთთა შორის. «ეროსი დიდი ღმერთია და მრავალი მიზეზია, უპირველეს ყოვლისა, კი მისი წარმოშობის გამო ყველაზე საოცარიც ღმერთთა და კაცთა შორის... ის... ყველა უკვდავზე უძველესია.» (20_18).

პლატონი არ იძლევა სიყვარულის ღვთაებრიობის მტკიცებას. ეს საკითხი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში გადაწყვეტილი, მის ფილოსოფიაში ეროსი სრულყოფილად ჩამოყალიბებული და ამაღლებული სიყვარულის განსახიერებაა. სიყვარულის ღვთაებრიობა პლატონისათვის აქსიომაა, ხოლო ბარნოვის შემოქმედებაში მისი გაღმერთების პროცესია ასახული. მწერალი მოვლენათა მსვლელობის აღწერასა და მხატვრულ მსჯელობაში აქსოვს საკუთარ შეხედულებებს სიყვარულის ღვთაებრიობის შესახებ.

«სიყვარული იგივე ღმერთია ხორცშესხმული, რომელს ვეწინააღმდეგე დასაბამითგან სოფლისა (20_323) _ ეუბნება სატანა თინათინს. «სიყვარული ერთადერთი განხორციელებაა არსისა, რომელიც სიცოცხლის დასაბამია, რადგან სიცოცხლე მის მიერაა შექმნილი». (20_17) პლატონის აზრით, სიყვარული არის სურვილი სიკეთისა და ბედნიერების მარადიული ფლობისა, მისი მარადიული მიზანია სიკეთე, მშვენიერება და აქედან გამომდინარე სურვილი უკვდავებისა». «ეროსი არც მშვენიერია და არც კეთილი» (20_56). იგი არის საშუალო სიკეთესა და ბოროტებას, მშვენიერებასა და მახინჯს შორის, «საშუალო ადგილი რომ უჭირავს ღმერთსა და კაცს შუა, ის მთელ სივრცეს ავსებს მათ შორის” (120-57). ამდენად ძალუძს აამაღლოს ადამიანი, აზიაროს იგი სიკეთესა და მშვენიერებას.

მშვენიერებისაკენ მიმავალი სიყვარულის არჩეული სახე ჭეშმარიტებას მოკლებული იქნება, თუ სიკეთესთან არ ექნება საერთო. პლატონური სიყვარულის აღნიშნული კონცეფცია თავისებურადაა ალიტერილებული ვ. ბარნოვის შემოქმედებაში. მწერლის აზრით, სიყვარული სიკეთისა და მშვენიერებისადმი ტრფიალია, რაც პლატონური პრინციპის აღიარებაა. მშვენიერების ცნებაც ანალოგიურადაა წარმოდგენილი როგორც «ნადიმში”, ისე ბარნოვის თხზულებებში, მაგრამ მშვენიერებისა და ტრფობის საგანთა ძიების ობიექტების გაგებაში მათი შეხედულებები ნაწილობრივ შორდება ერთმანეთს.

მშვენიერების ცნება პლატონთან ფართო გაგებას იძენს. აბსოლუტური მშვენიერება მოიცავს ყოველივე სხვა კონკრეტულ მშვენიერებას. სიყვარულის მშვენიერებით ამაღლებული ადამიანი იხილავს _ «მშვენიერებას მარადიულს, ხელთუქმნელსა და წარუდინებულს, თავისუფალს

ავსებისა და განლევისაგან, მშვენიერებას სახიერს თავის ყველა გამოვლინებაში, ყველა დარგში, ყველა დროში, ყველა ასპექტში, ყოველი ადგილისა და ყოველი სულდგმულისათვის.

ხილული მატერიალური არსისაგან ჭეშმარიტი მშვენიერების სახე არ შეიქმნება, მშვენიერი სხეული ერთ-ერთი კონკრეტული მშვენიერებაა. მარადიული მშვენიერების ერთი დარგია, რომლის ხილვისათვის აუცილებელია მეორე, სულიერი მშვენიერების შექმნა. ამ მშვენიერების ფორმის გავლით მიდის სიყვარულის გზა უმაღლესი მშვენიერებისაკენ _ ზეციური ნათელისაკენ.

პლატონის მიხედვით გზა აბსოლუტური მშვენიერებისაკენ უფრო ფართო და მრავალმხრივია. «გზა ჭეშმარიტი სიყვარულისა... ესაა გზა მშვენიერ საგანთაგან უმაღლეს მშვენიერებაზე თანდათანობითი გადასვლისა და თითქოს საფეხურებს მიჰყვებაო კიბისას, ერთი მშვენიერი სხეულიდან ორზე, ორიდან კი ყველა მშვენიერ სხეულზე უნდა გადადიოდეს, მშვენიერ სხეულთან მშვენიერ საქმეებზე, მშვენიერ საქმეთაგან კი მშვენიერ მოძღვრებებზე, რათა ამრიგად ეზიაროს იმ მოძღვრებას, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა მოძღვრება აბსოლუტური მშვენიერების შესახებ და ბოლოს შეიცნოს თვით მშვენიერებაც (10_63). მშვენიერების ხილვისა და შეცნობის შესახებ პლატონის მსჯელობის მთავარი აზრია სულიერი სწრაფვა და მშვენიერების ხილვა გონების თვალით, მისი ყოველი გამოვლენა ყოველ ასპექტში აღქმისა და ყოველი საფეხურის გავლის გზით. ბარნოვთან რადგან ქალია მშვენიერების განსახიერება, მშვენიერებისადმი ლტოლვა და მისი შეცნობა ქალ-ვაჟს შორის სიყვარულის მეშვეობით ხდება. მაგრამ ეს სიყვარული უნდა იყოს სიკეთის სურვილი, სიკეთესთან წილნაყარი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ლტოლვა მშვენიერებისაკენ. მწერალი ასეთ გრძნობას სიყვარულს არ უწოდებს; იგი ბოროტი საწყისების შემცველია და მშვენიერებისადმი ლტოლვასთან არავითარი საერთო არა აქვს. ამიტომ ვერ ამაღლდა თინათინისა და ლევანის ურთიერთობა სიყვარულის დონემდე («მიმქრალი შარავანდედი"). ისინი შეუღლდნენ არა სიყვარულით, არამედ ანგარებით, გარკვეული პოლიტიკური და სოციალური მიზნით. სიყვარულის გარეშე კი ბარნოვის აზრით არ არსებობს არავითარი სიკეთე. ბარნოვისეული სიყვარული ყოველთვის სიკეთეს შეიცავს და მისი უარყოფა თავისთავად გულისხმობს სიკეთისა და მშვენიერების უარყოფას. ამიტომ გათიშვით დასრულდა მეფე-დედოფლის ცხოვრება. ანალოგიური ცოლ-ქმრული დამოკიდებულებაა აღწერილი ნაწარმოებებში: «ტრფობა წამებული", «დაეწაფა წყურვილით", «სახიფათო სიყვარული", «მეჩვენა", «ნუშო", «ჩვენი ლამპა" და სხვა. სადაც მეუღლეები სიყვარულით არ არიან შეუღლებულნი, მათი ურთიერთობა მოკლებულია ყოველგვარ სიკეთეს, ისინი ერთმანეთში ვერ ხედავენ მშვენიერებას და თანდათანობით თავს იჩენს უსიამოვნება, რომელიც წარმოშობს ბოროტებას.

სიყვარული ბარნოვის გაგებით სიკეთეს განასახიერებს და ადამიანებს აკეთილშობილებს, მხოლოდ მას ძალუძს აზიაროს ადამიანი მარადიულ მშვენიერებასა და ნეტარებას, ზეციურ ნათელს და სიკეთეს, «მშვენიერებას რომელიც თვით უფალია, უფალია".

მშვენიერებასა და სიკეთესთან თანაზიარი სიყვარული, როგორც პლატონის, ისე ბარნოვის კონცეფციით მარადიული და უძლეველია; პლატონის გაგებით «... ეროსი ყველაზე ძველი, ყველაზე ძალმორჭმული, ყველაზე პატივსაცემი ღვთაებაა უკვდავთა შორის, რადგან ყველაზე მეტად მას ძალუძს სათნოებასა და ნეტარებას აზიაროს კაცი, როგორც ამ ქვეყნად, ისე საიქიოში" (20_90).

სიყვარული ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში და მისი ფოლკლორული წყაროები

ვასილ ბარნოვი დიდი გულისყურით ეპყრობოდა. ქართულ ფოლკლორსა და გარდასულ საუკუნეთა გმირების ცხოვრებაში ეძებდა ქართული სულის საწყისებსა და განვითარების საფეხურებს. ეთნოგრაფიის ანალიზის საფუძველზე ცდილობდა დაედგინა ეროვნული ხასიათები, ეროვნული მრწამსი.

ვ. ბარნოვს გარკვეული ღვაწლი მიუძღვის ქართული ზეპირსიტყვიერების შესწავლის საქმეში. იგი არა მარტო იწერდა და აგროვებდა ფოლკლორულ ნიმუშებს, არამედ იკვლევდა ხალხური სიტყვიერების ისტორიას.

ჩვენამდე მოღწეულია ვ. ბარნოვის მოზრდილი ნაშრომი "ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები", _ პირველი ქართული ფოლკლორისტული სახელმძღვანელო, რომლითაც იგი ასწავლიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

ნაშრომში მოცემულია ხალხური ნაწარმოებებისა და ზღაპრული გმირების: ამირანის, როსტომის, ტარიელის, ნესტან-დარეჯანის და სხვათა დახასიათება. ავტორი ახდენს ფოლკლორულ თხზულებათა თავისებურ კლასიფიკაციას და იძლევა მათ იდეურ და მხატვრულ ანალიზს.

ვ. ბარნოვის ფოლკლორული მოღვაწეობა და მისი ესოდენ დიდი ინტერესი ხალხური შემოქმედებისადმი ბუნებრივია, რომ მის მხატვრულ აზროვნებაზე გარკვეულ გავლენას მოახდენდა.

სიყვარულის მარადიული არსებობისა და გაღმერთების იდეა პლატონის ფილოსოფიიდან მომდინარეობს, მაგრამ ბარნოვის შემოქმედებაში იგი შერწყმულია რეალურ სინამდვილესთან და გამდიდრებულია ფოლკლორული რომანტიული ელემენტებით.

ბარნოვის შემოქმედებაში ასახული სიყვარული ორი წყაროდან არ მომდინარეობს. სიყვარულის გაღმერთებისა და მისი იმქვეყნიურად არსებობის იდეა ანალოგიური ფორმით დასაბამს იღებს როგორც ანტიკურ ფილოსოფიაში, ისე ზეპირსიტყვიერებაში. ხოლო ხორციელი და სულიერი სიყვარულის ერთობლიობა, სიყვარულის მიერ სოციალურ განსხვავებათა დაძლევა და სხვა პრობლემები ქართულ ფოლკლორში იღებს სათავეს, რაც ბუნებრივად წარმოშობს აზრს იმის შესახებ, რომ ბარნოვის შემოქმედების წყაროები და, კერძოდ, სიყვარულის პრინციპების წანამძღვარები ანტიკური ფილოსოფიის, ქართული ლიტერატურის რეალურ სინამდვილესა და ხალხურ სიტყვიერებაშიც ვეძიოთ.

ქართულ ლიტერატურაში რუსთაველიდან ბარნოვამდე უპირატესობა სულიერ სიყვარულს ენიჭება და ხორციელი სიახლოვე დაჩრდილულია. შეიძლება ცალკე გამოიყოს ბესიკი, რომლის შემოქმედებაში გარეგნული სილამაზისა და სატრფოს ნაკვთების ტრფიალი ჭარბობს, მაგრამ ეს არის სხეულის სიმშვენიერით გატაცება და არა ხორციელი სიყვარული. აქ არ დგას მიჯნურთა სექსუალური ლტოლვის საკითხი.

ხორციელი სიყვარული განწმენდილი სახით ასახულია ხალხურ შემოქმედებაში. ხალხურ პოეზიაში სულიერ ლტოლვასთან ერთად მოცემულია შეყვარებულთა ხორციელი შეუღლების საკითხი და სულიერი და ხორციელი სიყვარულის ერთობლიობა. ხალხურ ლექსებში შექებულია შეყვარებული ქალის სილამაზე და სიწმინდე, მისი სისპეტაკე, ამავე დროს ასახულია ხორციელის მონატრება:

უკვდავებისა წყაროო,

ნადენო ოქროს მილითა.
შენთამც ყოფნით გამაძღო,
შენთამც წოლა-ძილითა.

ხალხური ლექსის ავტორი არ კმაყოფილდება სატრფოს სილამაზის მარტოოდენ ჭვრეტით. მისი მრწამსია არა მარტო ფიზიკური სიახლოვეა, არამედ სურს დატკბეს შეყვარებულის ხორციელი სიმშვენიერითაც.

ნეტავი სიპიც არ მომცა,
შენთან გამაძღო ძილითა,
მაგ შავარდენსა თვალ-წარბსა
მაკოცა ბაგე-კბილითა

იგი დღე რა დღე იქნება,
რო გეხვეოდე ყელზედა,
ქალათ ქალი ხარ ქაღალდი
ჯერ კალამმოუსობელი...

ხალხურ პოეზიაში ასახული ხორციელი ლტოლვა განწმენდილია სულიერი სიყვარულით.

მოვიდე ყელს მოგეხვიო
თავგაუშლელსა იასა.
საბნისა წვერსა ავწიო,
პირსა გაკოცო მზიანსა,
არც არა დაგიშავდესა,
არც მე ჩავვარდე ზიანსა (35, 197).

აღნიშნული ლექსი ხორციელ ლტოლვაში ცოდვის ჩადენის ფაქტს უგულებელყოფს.

ვ. ბარნოვის შემოქმედებაში ხორციელი სიყვარული, თუ იგი სულიერისაგან გამომდინარეობს, ამაღლებული, განწმენდილი სახით წარმოგვიდგება. მწერალი, ერთი მხრივ, განაგრძობს რუსთაველის მიერ ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ ტრადიციას და, მეორე მხრივ, აღრმავებს სულიერ სიყვარულს, ფოლკორული ტენდენციებისა და ხორციელი გრძნობის შერწყმით სიახლე შეაქვს სიყვარულის გაგებაში.

ვ. ბარნოვის შემოქმედებაში შეყვარებუთა ბედნიერებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სულიერ სიყვარულს ენიჭება. ეს უკანასკნელი ადამიანს მორალურად ამაღლებს და აკეთილშობილებს, ხორციელი სიყვარულის გარეშე განუხორციელებელია შეყვარებულთა შეერთება და ბედნიერება.

ხორციელი ლტოლვა სულისაგან გამომდინარეობს და მასვე ემსახურებაა ტრადიციულად გაგებული ხორციელი სიყვარულის ცნება, რომელიც წუთიერ სიამოვნებასა და ამორალიზმს უთანასწორდება, ბარნოვისეულ ხორციელ სიყვარულს არ შეესატყვისება. ბარნოვთან იგი მაშინაა სიძვა, როდესაც ჭეშმარიტი სიყვარულის ღალატია.

ყოველგვარი ხორციელი კავშირი, რასაც საფუძვლად სულიერი სიყვარული არ უდევს, ბარნოვს სიძვად მიაჩნია.

ვ. ბარნოვის ნაწარმოებებში ისე უშუალოდ და ნათელი ფერებითაა დახატული შეყვარებულ წყვილთა ხორციელი ურთიერთობა, როგორც ხალხურ ეპოსში. “ტრფობა წამებულში” მწერალი აშოტისა და შუქიას ხორციელ კავშირს ლაღი, შეუზღუდველი და წმინდა გრძნობის სახით წარმოგვიდგენს. “...მსურს შენი ვიყო იმქვეყნადაც, შენი სიახლოვით ნეტარყოფილი მხევალი შენი! _ უთხრა ქალმა აღტაცებით... და გადაეჭდო ბუმბერაზს, მიეკრა, მიეწება... მთლად გადაბურა თმა-თა ტევრებით. უყვარდა აშოტს ქალის თმის ჩაშლა. ვაჟკაცს მტკიცედ ეჭირა ქალი მძლავრ მკლავებში, როგორც სიცოცხლე უძვირფასესი, ვით ნეტარება მისთვის ხორცშესხმული, როგორც სიამე გამოუთქმელი”.

ვ. ბარნოვის გმირი შეყვარებულები გაათკეცებული ვნებით ეფერებიან ერთმანეთს, რამდენადაც ძლიერია სულიერი სიყვარული, იმდენად მძლავრად ეზიდება მათ ხორციელი სიახლოვის სურვილი ერთმანეთისაკენ.

“მიმქრალ შარავანდედში” მიჯნურთა ახლო ურთიერთობას ისეთივე თავისთავადი ხასიათი აქვს, როგორც სიყვარულის გამხელასა და გამიჯნურებას. ნოშრევანისა და თინათინის ხორციელი ალერსი ძლიერი სიყვარულის განცდით განისაზღვრება.

“დაიხარა ქალი და მიაყრდნო გრძნობათაგან დამძიმებული თავი თავისი მის (ნოშრევანის) მკერდს. შესძრა უძლეველმა ძალამ ჭაბუკი. დაავიწყდა ყოველივე, მთელი ქვეყნიერება, გრძნობათა ტალღამ გადალახა ყოველივე მისი მოსაზრება თუ მოკრძალება და ჩაიკრა გულში მთრთოლვარე ქალწული. დაუკოცნა თმა, თვალები, სახე” (3_33).

ასე უშუალოდ და ნათელი ფერებით დახატული მიჯნურთა ხორციელი სიახლოვე ბარნოვამდე მხოლოდ ქართულ ფოლკლორულ ნაწარმოებებშია ასახული.

სიყვარულია მხოლოდ ერთადერთი უკვდავი ნიჭი სახიერებისაგან წყევამოსილ ქვეყანაზე დატოვებული კაცთა სანუგეშოდ, ერთადერთი ძალა ადამიანის ცასთან დამაკავშირებელი. მხოლოდ სიყვარულით ძალუძს ადამიანს განიცადოს ამ წუთიერ ცხოვრებაში საუკუნო ნეტარება” (17- 206). იგი არ ემორჩილება ჟამთა სვლასა და ცხოვრების ცვალებად თუ მარადიულ კანონებს. პირიქით, სიყვარული თვითონ ქმნის მორალურ კანონებს და ადგენს ეთიკურ ნორმებს.

ვ. ბარნოვის ნაწარმოებებში აღწერილი საუკუნეთა მიღმა მომხდარი მოვლენები თუ ცხოვრებისეული რეალური ფაქტები ისეა ასხმული, თითქოს სიყვარულის ერთგულებაზე იყოს დამოკიდებული მათი მსვლელობა. ისტორიულ და რეალურ სინამდვილეში გმირთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას განსაზღვრავს არა სოციალური მდგომარეობა ან მატერიალური ფაქტორი, არამედ სიყვარული, იგი განაპირობებს მათ ბედნიერებასა თუ უბედურებას, წარმატებასა თუ დამარცხებას.

სიყვარული სოციალურად აწონასწორებს ადამიანს. შეყვარებულებს შორის ხსნის კლასობრივ წინააღმდეგობას. რამდენადაც ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან სიყვარულის უნაზესი გრძნობით, სოციალურ უთანასწორობას ან სხვა ფაქტორებს მათი გათიშვა აღარ შეუძლიათ.

ვ. ბარნოვის შემოქმედებაში ჩვეულებრივი მოვლენაა სხვადასხვა წოდების წარმომადგენელი ქალ-ვაჟის სიყვარული, რომელიც ხშირად ბედნიერებით მთავრდება. “სევდის საგუბარში” მდიდა-რმა მოხელემ ოთარმა შეირთო ღარიბი ოჯახიდან გამოსული გულნაზი. მოთხრობაში “აჩრდილი სიკვდილისა” ელიზბარი მდიდარი მემამულეა, ლიზიკო დაბალი ფენის წარმომადგენელი, მაგრამ ისინი არასოდეს იხსენიებენ თავიანთ სოციალურ წარმოშობას. მათ ურთიერთობაში კლასობრივი დაპირისპირება გამორიცხულია.

აღნიშნული საკითხი ყველაზე ნათლადაა გამოკვეთილი მოთხრობაში “ისნის ცისკარი”. სამეფო კარზე მიღებულ და წარჩინებულ თავადს საამ გოსტაშაბიშვილსა და მისივე ნაყმევის ასულს თინანოს შეუყვარდებათ ერთმანეთი, რომელთა საუბარში აირეკლება აზრი სიყვარულის უძლეველობისა და სოციალური უთანასწორობის უგულებელყოფის შესახებ.

“...შენ დიდებული გმირი ხარ ქვეყნისა, ბრწყინვალე თავადი, მე კი ხელოსნის ქალი, მხევალი შენი, ასული შენი ნაყმევისა... გაგშორდები, გავალ ქვეყნით, განდეგილთა სავანეში ვილოცავ შენთვის სიკვდილამდე” (18_206), ეუბნება თინანო საამს, რომლის პასუხში მჟღავნდება კლასობრივი დოგმების უარყოფა შეყვარებულთა შორის.

“...ნუ მეტყვი მაგას! მშვენიერება თვით უფალია უფლებათა, ხოლო შენ განხორციელება ხარ მშვენიერებისა და უმაღლესი ქვეყნიურ დიდებათა” (18, 206).

დიდგვაროვანნი სიყვარულისთვის ნებაყოფილობით უგულვებელყოფენ ქვეყნიურ დიდებასა და სიმდიდრეს.

“ტრფობა წამებულში” აშოტისა და შუქიას დაახლოება ხდება არა რიგითი მებრძოლის ქვრივზე მეფის უფლებების გამოყენებით, ან შუქიას გამომწვევი საქციელით (პირიქით, შუქია ისეთივე უპრეტენზიო და მოკრძალებულია სატრფოს მიმართ, როგორც თინანო), არამედ ორმხრივ სიყვარულსა და შინაგან ლტოლვაზე დაყრდნობით. მათ შეერთებას მწერალი მტკიცედ, დამაჯერებლად გადმოგვცემს:

“...სიყვარულს შეედნო ისინი (შუქია და აშოტი), ერთმანეთისათვის შეედუღებინა, ერთ სულ ექმნა მეფე და მხევალი, ერთ ხორც და ერთ არს” (5_354).

იმისათვის, რომ შეყვარებულს სიყვარულის უძლეველი ძალა მფარველობდეს, საჭიროა არა სოციალური სიდიადე, არამედ სატრფოსადმი ერთგულება და რწმენა სიყვარულისა. სიყვარული მდაბიო შეყვარებულებს უფრო ხშირად ანიჭებს ბედნიერებას, ვიდრე მეფეებსა და დიდებულებს. მაგალითად:

“მიმქრალ შარავანდეში” ლევან მეფისა და თინათინის ქორწინების ღამით “ზეცით წარმოგზავნილმა ანგელოზმა” დატოვა მეფე-დედოფლის სავანე, შებრუნდა მსახურთა სადგომებში და იქ ჰპოვა ზეციერი მადლის ღირსი ცოლ-ქმარი, შეასვა ნექტარი ნაკურთხი მარიკასა და კოწიას. ამისათვის იყო, რომ ესე დამტკბარმა კოწიამ ისეთი სიხარული იგრძნო, თავისი თავი მეფე ეგონა, უშრეტ ნეტარების მქონე მეფე! ვინ იფიქრებდა, რომ მადლმა ღვთისამ შეაერთა საიდუმლო კავშირით ეს ორი საწყალი ადამიანი. ხოლო უარყო გვირგვინოსან მეფეთა ერთობა” (17, 384).

სიყვარულის მიერ სოციალური უთანასწორობის დაძლევის საკითხი დასაბამს იღებს ხალხურ ეპოსში. განსაკუთრებით ნათლადაა იგი ასახული “ეთერიანში”. პოემის მიხედვით იმდროინდელ საზოგადოებაში სიყვარულს სოციალური უთანასწორობა უპირისპირდება. გარეშე პირნი აბესალომისა და ეთერის სიყვარულს კლასობრივი პოზიციიდან უყურებენ. თვით მეფემ მოიძულა საკუთარი ვაჟი გლეხის ქალის შერთვის გამო. მაგრამ შეყვარებულთა შორის კლასობრივ განსხვავებას ადგილი არ აქვს.

როდესაც აბესალომმა ტყეში ნახა ეთერი, ის არც დაინტერესებულა მისი სოციალური მდგომარეობით არ უკითხავს წარმოშობა, ოჯახური გარემოება, ისე სთხოვა ცოლად გაჰყოლოდა. ხოლო ეთერის სიტყვები გამოხატავენ არა აბესალომის წინადადების უარყოფას, არამედ

მოკრძალებას და თავმდაბლობას უფლისწულის წინაშე, რაც რეალისტური სინამდვილითაა განპირობებული.

«დამეხსენ ქვეყნის მპყრობელო,
არა ვარ შენი საფერი:
შენ დიდი ხარ, დიდებული,
დედ-მამითაცა ქებული._
მე ღარიბი ეთერი ვარ,
ობლობით დაჩაგრული» (5, 356).

ეთერის პასუხი გვაგონებს თინანოს პასუხს საამისადმი: "...შენ დიდებული გმირი ხარ ქვეყნისა, ბრწყინვალე თავადი, მე კი ხელოსნის ქალი, მხევალი შენი, ასული შენი ნაყმევისა." ("ისნის ცისკარი"), მაგრამ, როგორც აბესალომმა, ისე საამმა უარყო სოციალური წოდება და სიყვარული აირჩია.

გარდა ზეპირსიტყვიერი პოეტური შემოქმედებისა, სიყვარულისათვის სოციალური მდგომარეობის უგულებელყოფის მაგალითები მოიპოვება ხალხურ ზღაპრებში, სადაც მეფის ასულისა და ყმა-გლეხის შეუღლება ჩვეულებრივი მოვლენაა. ასეთი ზღაპრებია: "ხელმწიფისა და მისი სამი შვილის ამბავი", "გერი გოგონა", "პრასა და ნიახურის ქალი", "ტყის ქალი", "ისრის _ მასრის სანდლის ქალი", სადაც ან ხელმწიფის ვაჟი ირთავს გლეხის ქალს, ან გლეხის ბიჭი ხელმწიფის ასულს. თუმცა ქორწინებას გლეხის ვაჟები ახერხებენ საბედისწერო დავალების შესრულების შემდეგ. ქალები კი სილამაზის სააშუალებით, მაგრამ მათი შეუღლების იდეა ქალ-ვაჟს შორის სოციალური უთანასწორობის უგულებელყოფაა.

3. ბარნოვის შემოქმედებაში ასახული სიყვარულის ერთ-ერთი თავისებური დამახასიათებელია მარადიულობა.

შეყვარებულთათვის სიყვარულისადმი ლტოლვა თვითმიზანია. ქალ-ვაჟთა წყვილებში განსახიერებულია ერთი და იგივე ძალა, რომელიც შეერთებისაკენ უბიძგებს მათ.

გმირთა შეგნებაში ბავშვობიდანვე არსებულ სიყვარულს თანდაყოლილი გრძნობის სახე აქვს, რომელიც მათი გაცნობისა და დაახლოების დროს კი არ წარმოიშობა, ან ოდესღაც მკვდარი და მივიწყებული სიყვარულის აღდგენა კი არ ხდება, არამედ მისი არსებობა მჟღავნდება და შეიცნობა.

შეყვარებული გმირის სიყვარულით ნათელმოსილი სული პირველდანახვისთანავე ამცნობს მას გულის სწორთან შეხვედრასა და იწყება გმირის მიერ საკუთარ პიროვნებაში არსებული სიყვარულის შეცნობა და აქედან გამომდინარე თავის ორეულთან გამიჯნურება და შეერთება.

"მიმქრალ შარავანდედში" თინათინი და ნოშრევანი ბავშვობიდანვე სიყვარულით იყვნენ შთაგონებულნი. "ქალ-ვაჟის ერთმანეთისადმი თანაგრძნობა ადრე დაიწყო, პატარაობიდანვე, პირველ ხანებში გამოურკვეველი ხასიათი ჰქონდა მათ მეგობრობას და ჩაუსახავი მიზანი..." (17-6).

ასაკის ზრდასთან ერთად მათ შეიცნეს, რომ ეს მიზანი სიყვარული ყოფილა, რომლის გაცნობიერება სიყრმეში, თანდათანობით მიმდინარეობდა.

აზრი სიყვარულის თანდაყოლილობის შესახებ, პირდაპირ და მკაფიოდაა გამოთქმული მოთხრობაში "ამქრის მშვენება", ბალღობიდანვე თან შეზრდოდა მას (ვანოს) ეს გრძნობა, და ეხლა

რომ ფიქრობდა, ვეღარ გაეგო, როდის შეიქმნა მისთვის ესე ცხადი ეს მისწრაფება, ან როდის შეიმოსა ძალა უძლეველი (26_202).

ბარნოვისეული სიყვარულის თავისებურება ნათლადაა წარმოდგენილი მოთხრობაში "ტკბილი დუდუკი". ამ ნაწარმოებში ასახულია არა მარტო სიყვარულის თანდაყოლილობა, არამედ მისი არსებობა გმირის დაბადებამდე. იგი არსებობს არა ცალკე, სულისაგან გათიშული, არამედ მასთან ერთად. აქ შეინიშნება ტენდენცია ადამიანის სულის მარადიულობისა, მაგრამ ბარნოვის შემოქმედებაში ყოველი ადამიანის სული კი არ არის უკვდავი (ასე რომ იყოს, რელიგიის ეპიგონია გვექნებოდა ამაღლებული სიყვარულის ნაცვლად), მარადიულია მხოლოდ იმ ადამიანთა სული, რომელთაც წილად ხვდათ სიყვარულის ნათელი, სული თავისთავად კი არ არის უკვდავი, არამედ სიყვარულის გარემოცვაში იძენს უკვდავებას.

რადგანაც გმირის მიერ ოცნებაში დასახული ორეულის პოვნა თვითმიზანია, ქალ-ვაჟი ერთმანეთს შინაგანი სურვილით უახლოვდებიან და არა გარეგანი მიზეზებით. მათი სიყვარული აუცილებლობაა და არა შემთხვევითობა.

"ტრფობა წამებულის" გმირი მეფე აშოტი სიყვარულს ნატრობდა, მან მეუღლეში ვერ ჰპოვა თავისი ორეული და უსიყვარულოდ მარტო გრძნობდა თავს, "ჯერ არ განეცადა აშოტს ნამდვილი სიყვარული... იცოდა კი დადგებოდა ასეთი წამი". ეს რწმენა მოწმობს, რომ ბარნოვის გმირებში სიყვარული მარადიულად არსებობს. არც წარმოიშობა და არც ისპობა, ხოლო მისი ჩასახვის დრო და ადგილი შეუცნობელია.

აშოტისა და შუქიას შეხვედრა გარეგნულად შემთხვევითია, მაგრამ რადგანაც მეფეს სწამდა "დადგებოდა ასეთი წამი", მათი შეხვედრა აუცილებლობას უკავშირდება, რადგანაც აშოტისათვის "დაკარგული ცალის" ძიება თვითმიზანია, ამდენად მათი შეხვედრა გარდაუვალია.

სიყვარულის თანდაყოლილობა და თვითმიზნობრივი ბუნება მკრთალად, მაგრამ დამაჯერებლადაა ასახული. აქ სიყვარულის წინასწარი არსებობის ფაქტი სიზმრის იდუმალებასთანაა შერწყმული, მაგრამ სიზმარი უკვე არსებულის გამომჟღავნებისა და შეცნობის საშუალებათა ფორმის სახით გვევლინება.

ბარნოვის "თებერას დანიშნულში" შეყვარებულ გმირს მოჩვენების სახით გამოეცხადება სატრფოს სახება და ასე იწყება სიყვარულის გაცნობიერება, ხოლო აბესალომი ეთერს სიზმარში იხილავს: "შემოგფიცავ მაღალ ღმერთსა, სიზმრადა მყევხარ ნახული" _ ეუბნება იგი ეთერის.

ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს სიყვარულის წინასწარ არსებობასთან. რადგანაც აბესალომმა სიზმარში იხილა ეთერი, ე. ი. მან ადრევე იცოდა მომავალი სატრფოს არსებობის შესახებ და, ამდენად, მასთან შეხვედრა აუცილებლობით იყო გამოწვეული, ხოლო სიზმრად ნანახი სატრფოს ძიება სიყვარულის გაცნობიერების პროცესს წარმოადგენს. ამიტომ იცნო აბესალომმა ეთერი პირველდანახვისთანავე და შეიცნო რა მის პიროვნებაში თავისი ორეული, ეთერის ნახვით გამიჯნურებულმა ცოლობა სთხოვა ქალს, რაც სიყვარულის წინასწარ არსებობაზე მეტყველებს და აქედან გამომდინარე ბარნოვისეული სიყვარულის თანდაყოლილობას უკავშირდება.

ბარნოვის შემოქმედებაში ასახული სიყვარულის მარადიულობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მისი არსებობა იმქვეყნად. ბარნოვის შეყვარებული გმირებისათვის სიცოცხლის დასასრული სიყვარულის დასასრულს არ ნიშნავს. მათ სწამთ სიყვარულის უკვდავება და სჯერათ, რომ საიქიოშიც ერთად იქნებიან.

მწერალს სულიერი სიყვარული უკვდავად მიაჩნია, რომელიც შეყვარებულთა სიკვდილის შემდეგ ამჟღავნებს თავის მარადიულ ბუნებას. სიკვდილის შემდეგ შეყვარებულთა სულებს უკვდავყოფს სიყვარული, რომელიც მოევლინება მათ არა გრძნობის სახით, არამედ მარადისობაში გადასული პირველი საწყისის ფორმით. სწორედ ასეთი ამაღლებული სიყვარული აღრმავებს შეყვარებულთა გონებაში იმქვეყნიური სიყვარულის რწმენას.

იმ ქვეყნად სიყვარულისა და სულის არსებობის რწმენა ასახულია მოთხრობებში: "ტკბილი დუდუკი", "აჩრდილი სიკვდილისა", "სულთა კავშირი" და სხვა.

მოთხრობაში "აჩრდილი სიკვდილისა" მომაკვდავ ლიზიკოს გულწრფელად სჯერა, რომ სიკვდილის შემდეგ კვლავ შეხვდება თავის საყვარელ მეუღლეს.

"ვაითუ საიქიოს ვეღარ გიპოვნო ან ვეღარ გიცნო" (35-6) _ ეუბნება იგი ელიზბარს.

ელიზბარის შეგნებაში ლიზიკოს სიკვდილი მხოლოდ "საიდუმლო ძალის" და სხეულის გათიშვაა. ის დარწმუნებულია სულის უკვდავებაში: "მე მგონია, ჩვენგან მიცვალებულნი არსებობდნენ უხილავად, როგორც თვითცნობიერი პიროვნებები. ესე დამარწმუნა ლიზიკოს გარდაცვალებამაც" (36-189) _ ეუბნება იგი ლიზიკოს მამას.

ასეთ განცდამდე ელიზბარი სიყვარულის განცდამ მიიყვანა. უპირველეს ყოვლისა, მისთვის ლიზიკოა მარად ცოცხალი და დაუვიწყარი, რადგანაც მის პიროვნებაში იყო განხორციელებული უკვდავი სიყვარული.

სიკვდილის შემდეგ საყვარელი ადამიანის სულის არსებობას ბარნოვის შემოქმედებაში სისტემის სახე აქვს. ნებისმიერ ნაწარმოებებში, სადაც სიყვარულით დაკავშირებულ ქალ-ვაჟს სიკვდილი თიშავს, მიცვალებულის სული ხშირად ეცხადება მზის ქვეშეთში დარჩენილ სწორფერს და არ სცილდება თავის დაობლებულ ორეულს.

სიკვდილი უძლურია გათიშოს ორეულთა წყვილი, რადგანაც სიყვარულმა მათი სულები სამუდამოდ შეაერთა.

ბარნოვისეული სიყვარულის საიქიოში არსებობის ფოლკლორული წყარო ისევ "ეთერიანში" უნდა ვეძიოთ. "ეთერიანში" მრავლისმეტყველადაა გამოხატული აზრი სულის უკვდავების შესახებ.

ეთერის მიერ თავის მოკვლა აბესალომის გარდაცვალების შემდეგ ლოგიკურად გამოხატავს მის იმქვეყნიური სიყვარულის რწმენას. "ერთადაც დავიხოცებით, ერთადაც დაგვმარხვიანო" (35-173) _ მოსთქვამს ეთერი.

ერთად სიკვდილი და ერთად დამარხვა იმქვეყნად ერთად ცხოვრებაზე მიგვანიშნებს, თუმცა საიქიოში სულის არსებობა ხაზგასმული არ არის, მაგრამ ასეთი ტენდენციის არსებობა ფაქტია. ეთნოგრაფიული ჩვეულების მიხედვით, ერთად დაკრძალვა იმქვეყნად სულთა ერთად ცხოვრებას ითვალისწინებს და სულის უკვდავებას უკავშირდება, რაც ეთერიანში" ტრადიციული გამოთქმითაა გამოხატული:

> რა კარგი რამ დახოცილან,
>
> . . . . . .
>
> სულითამც ცხონდებიანო (8-175).

"სულის ცხონება" თავისთავად სულის არსებობის შემდგომი პირობაა, რაც, პირველ ყოვლისა, მის უკვდავებასა და მარადიულობას ითვალისწინებს.

აბესალომისა და ეთერის საფლავზე ვარდების აყვავება სიმბოლური მნიშვნელობისაა და საიქიო ბედნიერებაზე მეტყველებს. მათი სულები ცოცხლობენ საიქიოში, რომელთა სალხინებლად საფლავთან ყვავილები და წყარო ამოსულა, რაც იმის მაუწყებელია, რომ სიყვარულისათვის თავდადებულთა სულები იმქვეყნად ნეტარებაში არიან, ხოლო სულგაყიდული მურმანის სამარეზე ნარ-ეკალი სიკვდილისა და ბოროტების განსახიერებაა, რომელიც საიქიოშიც ცდილობს გათიშოს შეყვარებულები.

სიყვარულისა და სულის იმქვეყნიური არსებობისა და უკვდავების გაგებაში "ეთერიანი" შეიძლება ჩაითვალოს ბარნოვის შემოქმედების ერთ-ერთ წყაროდ.

ბარნოვის გმირებს სიყვარული აღამაღლებს, მხნეობასა და ხალისს მატებს, ხოლო უსიყვარულოდ მათთვის ამაოა ამქვეყნიური ცხოვრება, დიდება და სიმდიდრე.

"ტრფობა წამებულში" შუქიას ჩამოშორების შემდეგ აშოტ მეფემ დაკარგა ინტერესი მეფობისადმი, მისთვის არარაობად იქცა მეფის გვირგვინი და პატივი.

ასეთივე მდგომარეობაა აღწერილი მოთხრობაში "აჩრდილი სიკვდილისა». როდესაც უძლეველმა სენმა ელიზბარს ხელიდან გამოაცალა ხორცშესხმული სიყვარული ლიზიკოს სახით, "ყოველსავე თავის საქმეს ხელი უშვა, თავი მიანება, მისი ბედი სიყვარულზე იყო დამოკიდებული, ეს ზეგარდმო გრძნობა წარმართავდა მის ცხოვრებასა მოღვაწეობას, ხოლო "ობლად" დარჩენის შემდეგ მალე დასნეულდა. აწ მკვდარი იყო იგი, ორად გაკვეთილი" (23, 11), რადგანაც მან დაკარგა ცალი.

იგივე აზრია გატარებული ბარნოვის ნაწარმოებებში: "მიმქრალი შარავანდედი", "ტკბილი დუდუკი, "სულთა კავშირი" და სხვა.

ყოვლისშემძლე სიყვარული ორ ადამიანსი ჩააქსოვს თავის უკვდავ გრძნობას, მაგრამ განშორების შემდეგ დაცალებული ინდივიდუმი ერთ ნაწილს კარგავს და უძლურდება, რომლის სიკვდილი საიქიოში ორეულად შეერთების გზას წარმოადგენს.

უსიყვარულოდ დიდებისა და სიმდიდრის ამაოება ასახულია "ეთერიანში", სიყვარულის უარმყოფელი და ეულად დარჩენილი აბესალომი მოსთქვამს:

ბ»ინათ დოვლათი, ყოფა-ცხოვრება,
ამაოდ მიჩანს ეშმაკის ხალში,
მეფობა ჩემი, დიდებულება
ახლა ვინ უნდა გაიზიაროს.
თავსა ვგრძნობ ობლად გულით ვარ მარტო
მზე ჩაესვენა რამ მიმშუქაროს» (36-150).

ეთერის დაკარგვის შემდეგ აბესალომი ისევე მოდუნდა, როგორც "ტრფობა წამებულის" გმირი აშოტი და დასნეულდა, როგორც ელიზბარი "აჩრდილი სიკვდილისა". მას არაფერი აღარ ახარებდა, ქვეცნობიერად გრძნობდა ეთერის დათმობის გამო და მის გარეშე არარაობად ექცა სიცოცხლე და ქვეყნიური დიდება.

ბარნოვის შემოქმედებაში სიყვარულს სატანა უპირისპირდება, რომელიც სიყვარულის უარყოფასა და ანგარებისაკენ უბიძგებს გმირს, აიძულებს შესცოდოს. ასევე "ეთერიანში" ეშმაკი ეწინააღმდეგება მიჯნურთა შეერთებას. იგი ჯადოსნური ხერხებით უშუალოდ მოქმედებს შეყვარებულებზე და მისივე ჩარევით ხდება მათი დაშორება.

ბარნოვთან სიყვარულის წინაშე ცოდვილთა სულის გაწმენდა ტანჯვის მეშვეობით ხდება და ტანჯვითვე სპეტაკდება სიყვარული. “ძლიერია თქვენი სიყვარული განა ტანჯვით უფრო განსპეტაკებთ მას და იგი სიყვარული შეგაერთებთ საუკუნოდ”.

აბესალომმაც დიდი სულიერი და ფიზიკური ტანჯვა გაინცადა ეთერისაგან განშორების შემდეგ. მართალია, ავადმყოფობა მისთვის თვითმიზანი არ ყოფილა, მაგრამ ტანჯვა სიყვარულის განსპეტაკებასა და ცოდვათაგან განწმენდას ემსახურება. აბესალომი ცუდად გახდა ეთერის უარყოფის შემდეგ, ვეღარ გაუძლო ცოდვათა სიმძიმეს და დაავადდა. ხოლო ავადმყოფობის დროს განცდილი წამებით განიწმინდა ეთერის სიყვარულის უარყოფით ჩადენილი ცოდვისაგან და დაუბრუნდა სიყვარული, როგორც “ტკბილი დუდუკის” გმირებს _ ქეთეთოს და მიხაკოს. მაგრამ რადგანაც ერთხელ უკვე შესცოდეს, მათ სიყვარული ამქვეყნად აღარ ეღირსათ.

ბარნოვის შემოქმედებაში და “ეთერიანში” ანალოგიური ფორმითაა ასახული სიყვარულის ერთგულების პრინციპი. “ეთერიანის” ფინალში, რომელიც ძალიან წააგავს “არმაზის მსხვრევის” დასასრულს, ეთერიმ უარყო “ბროლის კოშკი”, კანონიერი ქმარი და თავი მოიკლა სატრფოსთან ერთად, ხოლო “არმაზის მსხვრევის” გმირმა ხვარამზემ, რომლის შეყვარებული ამზაილი დაეცა ღმერთთან ბრძოლაში, უარყო ორივე ღმერთი, არმაზიც და ქრისტეც და სიყვარულისათვის სატრფოსთან ერთად სიკვდილი აირჩია. “ჯვარის მადლით” ხვარამზეს დასაწყნარებლად მისულ წმინდა ნინოს ქალმა შეხედა “ძნელის შეხედვით, შეიწყვიტა ყელზედ ჯვარი და გასტყორცნა, შემოეჭდო ჭაბუკს, დასწვდა ქალი ვაჟის ხანჯალს. დააკლა თავი”.

სიყვარულის მიმართებაში ხდება სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება. სიკეთე სიყვარულის ერთგულთა პიროვნებაში განსახიერდება, ხოლო ბოროტება შეყვარებულთა გამთიშველ ადამიანებში, რომლებიც წინ აღუდგებიან სიყვარულის გრძნობას.

ბარნოვის შემოქმედებაში ასახული ხორციელი და სულიერი სიყვარულის ერთიანობა, ოჯახის ბედნიერებაში სიყვარულის ბედნიერებაში სიყვარულის გადამწყვეტი მნიშვნელობა უსიყვარულოდ პიროვნების სულიერი და ფიზიკური დეკადანსი, სიყვარულის მარადიულობა და უძლეველობა, სოციალური უთანასწორობის უგულებელყოფა სიყვარულისათვის და სხვა პრობლემები ქართული ფოლკლორიდან მომდინარეობენ. ხალხური ზეპირსიტყვიერება აღნიშნულ საკითხებს მისთვის დამახასიათებელი ლაკონურობის გამო, ზოგადი და დამთავრებული ფორმით წარმოგვიდგენს. ბარნოვი ამდიდრებს მათ მხატვრული, ფილოსოფიური და ეთიკური სიღრმეებით. სიყვარული ბარნოვთან განვითარებადი სახითაა ასახული, რომელიც გაცნობიერების გარკვეულ პერიოდს მოიცავს და მის უსასრულობაში პიროვნება საკუთარ ინდივიდუმს ეუფლება.

“ეთერიანისა” და სხვა ფოლკლორული ნაწარმოებების ანალიზისა და ბარნოვის შემოქმედებასთან სიყვარულის პრინციპების შედარების შედეგად შეიძლება ქართული ზეპირსიტყვიერება ნაწილობრივ, ბარნოვისეული სიყვარულის კონცეფციისა ერთ-ერთ წყაროდ მივიჩნიოთ, ამავე დროს მწერალმა სიყვარულის გრძნობის სიღრმეებს ქართველი კაცის ფსიქოლოგიასა და ხასიათებში მიაგნო და ქალ-ვაჟს შორის სატრფიალო ურთიერთობის საფუძველზე ააგო სიყვარულის თავისებური თეორია და შექმნა სიყვარულის პრინციპების სრულიად განსხვავებული სისტემა.

ზნეობრივი იდეალები ვასილ ბარნოვის «ტრფობა წამებულში»

ისტორიულ რომანს უმთავრესი ადგილი უკავია ვ. ბარნოვის შემოქმედებაში. ამ ჟანრით შევიდა იგი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მწერალს ოცზე მეტი რომანი აქვს დაწერილი ისტორიულ თემაზე. წარსული მისთვის განსაკუთრებული შთაგონების წყარო იყო.საფუძვლიანი სასულიერო განათლება, ისტორიული წარსულის ღრმა ცოდნა, წარმოსახვის უნარი და ღვთივმომადლებული ნიჭი უადვილებდა მას გადასახლებულიყო ადრეულ პერიოდში და ერთდროულად ეცხოვრა აწმყოსა და წარსულშიც. გარდასულ საუკუნეთა გმირების სულიერი სამყაროს ფილოსოფიური ხედვა, მარადიული პრობლემების, სიკეთისა და სიყვარულის ძიება, ერთგვარად აერთიანებს და აახლოებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ეს არის ეროვნული ქართული სულის ინიციაციის გზა, სადაც ნათლად ჩანს ერის ზნეობრივი პრინციპები ჩვენი ისტორიის თითქმის ყველა მტკივნეული და დრამატული დროის მონაკვეთში.

“ტრფობა წამებულში” ყველაზე მკვეთრად გამოვლინდა ვ. ბარნოვის ეთიკურ-ფილოსოფიური კონცეფცია. ნაწარმოების ლიტერატურული წყაროდან _ გ.მერჩულეს “გრ.ხანძთელის ცხოვრებიდან»_ მწერალი იღებს ისტორიულ ფაქტებს, პერსონაჟებს, მაგრამ იდეურად სულ სხვა გადაწყვეტას იძლევა. ავტორი ქმნის ისტორიულად მოცემული გმირის ინტერპრირებულ სახეს.G

იგი ისტორიული და გამონაგონი ხასიათების შერწყმით ცდილობს შექმნას ზნეობრივი იდეალი _ “არსება სრული”, რომლის განმსზაღვრელია სიკეთე და სიყვარული. სულიერი და ფიზიკური მშვენიერების ჰარმონია, ზნეობრივი ფენომენი მაღლა დგას იურიდიულ ნორმებზე. ეს არ არის ხელოვნურად, აღზრდის შედეგად მიღებული ეტიკეტების ერთობლიობა. მას გმირის არსებაში წინასწარ მოცემული მარადიული სიყვარულის ძალა განსაზღვრავს, რომელიც სულის იდუმალ მოძრაობასთან ერთად ცნობიერდება გმირის მიერ. ასეთ დეტერმინანტს იძენს ნაწარმოების გმირების აშოტისა და შუქიას სახეები. ავტორი მათი ცხოვრების ჩვეულებრივი დეტალების მიღმა ჭვრეტს ღრმა ეთიკურ-ფილოსოფიურ აზრს.

მწერალი თავისი კონცეპტუალური პოზიციებიდან ასახავს მარადიული სიყვარულით ნათელმოსილ სულთა ტრაგიკულ ცხოვრებას.

ვ. ბარნოვთან სიყვარული წარმოადგენს ადამიანის ეთიკურ-ესთეტიკურ განმსაზღვრელს, რომელიც აყალიბებს ზნეობრივ-სოციალურ კომპლექსს. ”ტრფობა წამებულში” სიყვარულის ფონზე და სიყვარულთან მიმართებაშია ასახული კონფლიქტი კეთილსა და ბოროტს შორის. სიყვარული ყოვლისმომცველი ძალაა, საიდანაც სათავეს იღებს ყველა ზნეობრივი კეთილი საწყისი. მწერალი ხშირად აიგივებს ღმერთთან სიყვარულს და მასში უფლის გამოვლინებას ხედავს. სიყვარულს შეუძლია მიანიჭოს ადამიანს უმაღლესი ბედნიერება, აზიაროს მშვენიერების უზენაეს განცდას. სწორედ სიყვარულთან მიმართებაში ვლინდება განსხვავება გ.მერჩულესა და ვ.ბარნოვის პოზიციებს და შეხედულებებს შორის. ვ.ბარნოვისათვის მთავარია სიყვარულთან ადამიანის თავისუფალი დამოკიდებულება. რომანში სიყვარული ადამიანთა ურთიერთობის უმთავრესი ფორმაა.

აშოტ კურაპალატის სახე თითქმის მთლიანად გამოხატავს მწერლის ეთიკურ-ფილოსოფიურ შეხედულებებს. რომანში სიყვარულის ორი მიმართებაა მოცემული.პირველ შემთხვევაში სიყვარული სულიერ და ხორციელ ასპექტში თანაბრად, ჰარმონიულად ვითარდება. ეს სიყვარულის

ერთი გზაა. აშოტისა და შუქიას გზა, ფრთებშესხმული, მაგრამ ტრაგიკული, მხოლოდ სულიერის ზეობა და ამქვეყნიურ მისწრაფებათა უარყოფა, განპირობებული მკაცრად განსაზღვრული საეკლესიო წესებით. მეორე _ გრიგოლ ხანძთელის და თებრონიას გზაა. ეს ორი დაპირისპირება განსაზღვრავს ნაწარმოების ძირითად სიუჟეტურ მსვლელობას.

აშოტი შთამბეჭდავი სახეა, როგორც ისტორიულად, ისე მხატვრულად. მწერალს აინტერესებს იგი, როგორც მეფე და უფრო მეტად, როგორც პიროვნება შინაგანი სულიერი სამყაროთი. მისი სიყვარული რთული ეთიკური სიღრმეებიდან ამოდის. უსიყვარულოდ უძლურია მისი სამეფო სკიპტრა და გვირგვინი. ამ რეგალიებს არ შეუძლიათ მიანიჭონ ადამიანს ბედნიერება. პირიქით, მეფე უფრო შეზღუდულია პირად ცხოვრებაში. მეფეთა ბედი განპირობებულია სახელმწიფო ინტერესებით. აშოტიც ამ მოსაზრებით დააქორწინეს ქალზე, რომელიც მისთვის უცხო იყო. მან ვერ პოვა სიყვარული დედოფალ გურანდუხტში. არც დედოფალს გააჩნდა ნაზი გრძნობები. როგორც ადამიანი და მეუღლე, ის არ არსებობს აშოტისათვის. იგი ყველგან და ყოველთვის დედოფალია ცივი, გულზვიადი და ამპარტავანი, რომლისთვისაც მეუღლე მხოლოდ მეფეა მირონცხებული და ვერ ხედავს აშოტს, როგორც ადამიანს, პიროვნული განცდებითა და მისწრაფებებით. ამიტომ მეფე ეულად გრძნობს თავს. ”ქალი კი არ არის ეს სისხლ-ხორცით თხზილი, კერპია ხისა მორთულ-შემკული. სადიდებლად კვარცხლბეკზედ მდგარი, _ამბობს აშოტი გურანდუხტის შესახებ, _ეჰ, ეგეთია იგი ყოველ ჟამს. ეგეთი იყო. ამაოდ ვეძებდი მასში ჩვილ-ტკბილ გრძნობათა სავანეს. ხანდისხან მაინც გულუბრყვილოდ მომხიარულეს. სიცოცხლის ეშხით სავსეს, ცხოვრების სიმწარეთა დამატბობელსა. ცივია მისი სული და ცივია ჩემთვის სამეფო პალატნიც ქვეყნიერთა კეთილთა მიერ სავსებით, სავსენი” (5-216).” სწრაფვანი ქმნიან კონფლიქტს, რომელიც შეუმჩნევლად ვითარდება და კულმინაციის პროცესში, სიყვარულთან მრისხანე გრძნობად იქცევა.

შუქიას შეხვედრა აშოტთან შემთხვევითი არ არის. მას ჰქონდა თავისი საფუძველი:მეფე გრძნობდა რომ არსებობდა მისთვის საოცნებო არსება ვერ ურიგდებოდა ბედს. ”ეძებდა თავის საძიებელს, რადგან კარზედ ვერ აღმოუცენდა მას ეს სათუთი ყვავილი ნაზის სიამისა. ის ამგვარ სიხარულს ეძებდა გარეთ” (5-216).

გარკვევით ჩანს, რომ აშოტის ხელში არსებობდა იდუმალი სიყვარულის ძალა. გაუფურჩქვნელი და გაუცნობიერებელი. ის უსახავდა მას საოცნებო ცალთან შეხვედრის იმედს. ამდენად მისი შუქიასთან შეხვედრა და შეყვარება შემთხვევითი კი არ ყოფილა, არამედ, მას ღრმა სულიერი წანამძღვრები ჰქონდა. ამ პროცესს ხელს უწყობდა გურანდუხტის გულგრილი დამოკიდებულება მეუღლესთან. ცივი ოჯახური ცხოვრება. ამიტომაა, რომ აშოტის შუქიასთან შეხვედრისას უმალ იფეთქა სიყვარულმა.

უსიყვარულოდ შექმნილი ცოლ-ქმრული ურთიერთობა ზნეობრივად მისაღები არ არის და ინტიმური ატმოსფერო უსიამოვნო და დაძაბულია. სიყვარულის გარეშე შეუღლებულ წყვილთა გათიშვა მწერალს მართებულად მიაჩნია, რადგან მათი ერთად ცხოვრება მარადიული ტანჯვაა.” ეს ტანჯვა იმით აიხსნება, რომ ადამიანი, დედაკაცია იგი თუ მამაკაცი, არ არის სრული: იგი ეძებს დაკარგულ ნახევარს”(5-211). რომლის გარეშე არა მარტო ოჯახის შექმნა, არამედ არსებობაც ძნელია. მხოლოდ ასეთი წყვილის ქორწინებაა სიყვარულის გამარჯვება და მათ ოჯახში იქმნება თანასწორობა და ზნეობა. ზნეობრივია ის ქორწინება, რომელიც სიყვარულზეა დაფუძნებული. ზნეობრივად რჩება მხოლოდ ის ცოლ-ქმრობა, რომელშიც სიყვარული გრძელდება.

სულთა კავშირი საკმარისი არ არის ოჯახის შექმნისა და ერის გამრავლებისათვის, მაგრამ სულიერი სიყვარულის საფუძველზე თუ არ შეიქმნა ოჯახი, მისი დანგრევა გარდაუვალია. ისე როგორც "ტრფობა წამებულში" და მწერლის სხვა ნაწარმოებებში მოიშალა ოჯახის ერთობა:" არ აკურთხა მაღლით კავშირი იგი უგულო. ზეცით წარმოგზავნილმა ანგელოზმა ღვთაებრივი ნექ-ტარით ხელში ვერ მიუპყრა სავსე ფიალა ამ მეფე-დედოფალს. ის დააღონა მათმა ხილვამ და გულნატკენი გავიდა სავანედან".

ქორწინებას ეკლესია მხოლოდ აკურთხებს "ერთქმნილთა" კავშირს. მაგრამ იგი კი არ ქმნის სიყვარულს, არამედ აგვირგვინებს მას. მარტოოდენ სულიერი სიყვარულითაც შეუძლებელია სრულ-ყოფილი, ამქვეყნიური ბედნიერება.

ზნეობრივი ოჯახის შესაქმნელად საჭიროა შერწყმა სულიერი და ხორციელი სიყვარულისა.

უსიყვარულოდ რთულდება მეუღლეთა შორის ჰარმონია და ერთმანეთს შორდებიან. "მხოლოდ იმ ერთგვარ სიყვარულზე არის აგებული ის საიდუმლო, რომელიც ჰქმნის ორ არსებას ერთ ხორც და ერთ სულ. მხოლოდ ესეთი ერთობა არის წყარო სიყვარულისა: თავისი პიროვნების უარყოფა სხვისთვის მაშინ არის ბუნებრივი და საამო, როდესაც ადამიანი კვლავ ჰპოვებს თავის პიროვნებას სხვის არსებაში. მისთვის უფრო ძვირფასს და საოცნებო არსებაში. ამის გარეშე მხოლოდ შემთხვევითია კავშირი, ნაძალადევი, უგულო... სასტიკია იგი კავშირი გულგამოცლილი. ვერ უძლებენ მეუღლენი მას და ან ჭკნებიან ჩაბნელებულნი, ან მისდევენ ახალ-ახალ აჩრდილს ტრფობისას და შთაინთქმებიან უძღებობის მორევში გულცარიელნი" (5-290).

ბედნიერება მაშინაა სრულყოფილი, თუ ორი არსების შეერთებით "ერთი პიროვნება" შეიქმნება. ასეთ_ერთობას ორ ადამიანს შორის სიყვარული განაპირობებს. მხოლოდ ასეთ წყვილს შეუძლია …მოაწყოს ოჯახი.

მაშასადამე, აშოტისა და გურანდუხტის შეუღლებას საწყისიდანვე არ ჰქონია საფუძველი და მეფის სწრაფვა თავისი "საოცნებო არსებისადმი" ლოგიკურია. მათი დაახლოება და სიყვარულის აელვარება მშრალი გონების კარნახით კი არ ხდება, ან ინსტიქტურად ვნებათა აფეთქება კი არ იწვევს მას, არამედ შინაგანი, თანდაყოლილი იდუმალი ძალა ეზიდება ერთმანეთისაკენ ამ ორ სიყვარულის გრძნობით ნათელმოსილ არსებას. აშოტმა შუქიას დანახვისთანავე სულის სიღრმეში იგრძნო სანეტარო ცალთან შეხვედრა. მეფის წინაშე დგება ნაზი,კდემამოსილი შუქური, რომელიც ერთდროულად განასა-ხიერებს მეფის გამარჯვებით მოზეიმე ხალხს თავის აღტაცებით, უსაზღვრო სასოებით, თაყვანისცემით და ნამდვილ სიყვარულს, რომელიც "ჯერ არ განეცადა აშოტს". "უჩრდილო ტრფობას ფრთა არ გაეკრა შესაკრებლისათვის მისთა გრძნობათა" (5-177). სიყვარულის ნათელითაა გაშუქებული ორივე პერსონაჟის სული. ამიტომ აენთო ასე სწრაფად მათი გრძნობათა ჩირაღდანი. "ქალის თვალთაგან გამომჭვირვალე ლაჟვარდმა სხივებმა მოსტაცეს მას (აშოტს) ხედვის ისარი და სავსებით აავსეს მისი სული. შთანთქეს მისი ყურადღება, მთლად ცნობიერება (5-177).

შუქიას თვალებშიც იკითხება ის ნათელი გრძნობა, რომელიც ვ.ბარნოვის შეყვარებულებს ახასიათებს. სიკეთე და სათნოება _ ეს ორი ცნება ხდება მწერლის მიერ შუქიას დახასიათებისას განუყოფელ ეპითეტებად საერთოდ. სიკეთე ბარნოვთან სიყვარულში პოვებს განსახიერებას. ხოლო ბოროტება, ბნელი ძალები ყოველთვის სიყვარულის წინააღმდეგ მოქმედებენ. ზოგადსაკაცობრიო პრობლემა კეთილისა და ბოროტის ბრძოლისა მწერალს სიყვარულთან მიმართებაში აქვს გადაწყვე-ტილი.

მწერლის აზრით, უმაღლესი ბედნიერება სიყვარულის განხორციელებაა. ადამიანი ბედნიერებასა და ნეტარებას სიყვარულში პოვებს. იგი მაშინ აღწევს ამ მიზანს, როდესაც იპოვის გულის სწორს რომელშიც მისსივე სულის ნაწილს ხედავს და მისი სიყვარულითაა მოცული." განგება სახიერი ყველას შეუქმნის ტოლს" და თავის "ტოლთან "შეერთება მიიყვანს მას უმაღლეს მშვენიერებამდე. მხოლოდ ასეთ პირობებში ხორციელდება სიყვარული და მაშინ აღწევს მიზანს, რაც სიკეთისა და მშვენიერების მარადიულ ფლობას გულისხმობს. მაშასადამე, სიყვარული მშვენიერებისა და სიკეთის გარეშე არ არსებობს. ჭეშმარიტი სიყვარული მაშინ გვაქვს, როდესაც მისი საწყისები სიკეთესთანაა ნაზიარები. ორი არსების ყოველგვარი შეერთება არ წარმოადგენს სიყვარულის განხორციელებას. "სიყვარული სრულიადაც არ ნიშნავს თავისი ნახევრის, ან თუნდაც მთელი თავისი თავის ძებნას. თუკი ამ ნახევარს, ან მთელს საერთო არა აქვს რა სიკეთესთან".

ბარნოვის გმირები, რომელთაც წილად ხვდათ სიყვარულის ნათელი, სიკეთით მოსილნი არიან და სიყვარულთან ერთად სათნოებას და გულისხმიერებას გამოხატავენ. ხოლო სიყვარულის უარყოფა, სიკეთისა და მშვენიერების მტრად გარდასახვაა.

ხანძთელის გზა სიყვარულისა მკაცრია. მისთვის არ არსებობს თბილი გრძნობები. ქალის სილამაზესა და სინაზეს სამონასტრო წესებით სჯის და ეშმაკეულ გამოვლინებად მიაჩნია. უგულ-ვებელყოფს მშვენიერების თავისთავადობას და ბუნებრიობას. თავს მოვალედ თვლის, დედოფლის მხარეს იდგეს.

სიყვარულს მოკლებულია აგრეთვე გურანდუხტი, რომლის არსებაში სიყვარულის გრძნობა არასოდეს არ არსებულა. რამაც განაპირობა მასში ამპარტავნობა, სისასტიკე, ზვიადობა, მიუხე-დავად იმისა, რომ გრძნოს აშოტის სიყვარულს შუქიასადმი, არ ცდილობს, კეთილი იყოს მეუღლისადმი, თავს არ იწუხებს ქალური სინაზითა და თბილი დამოკიდებულებით შემოაბრუნოს ბედის ბორბალი. პირიქით, ასეთ დრამატულ სიტუაციაში იგი უფრო მეტად ამჟღავნებს უგულობას და ბოროტ ბუნებას. "მაშ ესე? მე ქალი არ ვყოფილვარ და ეს მანდილი არ მხურებია თავზედ, თუ შენივე კბილით არ დაგაგლეჯინე შენავ ხორცები დიდო ბატონო აშოტ! ჯოჯოხეთის ცრემლით აგიტირებ მაგ შენს მეძავსა" (5-296). მწერალი გურანდუხტის განწყობილების გადმოცემისას, მისი სახის ხატვისას, უაღრესად ობიექტური და ლოგიკურია. გურანდუხტის ასეთი მუქარა მის სულმდაბლობაზე მეტყველებს, რაც სცილდება არა მარტო ზოგადადამიანურ კეთილშობილურ პრინციპებს, არამედ ყოველგვარი ქალური სათნოების ფარგლებს. ეს რეალისტური მკაცრი ბუნება დედოფლისა ამწვავებს და აჩქარებს ნაწარმოებში გარდაუვალ ტრაგიზმს. იგი შუქიას დამოკიდებულებაში აშოტთან სიყვარულს კი არ ხედავს, არამედ საკუთარი მედიდურობის დამცირებას და ღირსების შელახვას; გრიგოლის შეხედულებათა იდენტურად ქალში სილამაზეს და მშვენიერებას უგულებელყოფს და მას მაცდუნებელ ეშმაკად სახავს, რომელმაც მისი რწმენით, აცდუნა აშოტი. სიყვარულის შესახებ კი არაფერს ამბობს შეყვარებულთა დაახლოების მიზეზად მას ჯადო მიაჩნია და არა მათი კეთილი ბუნება და სულიერი ნათესაობა.

მას არა მარტო შუქიას მიმართ აღძრული შური ახრჩობს, არამედ აშოტისადმიც ავი ზრახვები ამოძრავებს. "მოვსპობ. არ ვამყოფებ ამ ჩემდა დასამცირებლად თვით ჯოჯოხეთიდან ამოვლი-ნებულს. აღმოვფხვრი მასაც, ვინც სული მიჰყიდა ამ ეშმაკს, ბილწსა" (5-301). გურანდუხტის

სულიერი სამყარო იმდენადაა ბოროტებით გაჟღენთილი, რომ იგი შემოქმედს შესთხოვს შუქურის სიკვდილს: ”განლიე. სახიერი იგი ეშმაკეული. დათრგუნე.მოსპე იგი საუკუნოდ” (5-325).

ავტორი აღნიშნავს,რომ გურანდუხტის ლოცვა-ვედრება მიუღებელია, რადგან იგი ბოროტი საწყისებიდან ამოდის და ავი ზრახვებითაა ნაკარნახევი.

სიყვარულის კეთილისმყოფელი გავლენა პიროვნებაზე ნათლად ჩანს შუქიასა და აშოტის ურთიერთობის მაგალითზე. შუქური, მიუხედავად იმისა, რომ მეფის სათაყვანებელი ქალია, ერთი წუთითაც არ გრძნობს ქედმაღლობასა და განდიდებას; მისთვის უცხოა ასეთი ტენდენციები. იგი ჩვეულებრივ თავმდაბალ და სათნო ადამიანად დარჩა მას შემდეგაც, როდესაც დაიპყრო მბრძანებლის გული. მის ადამიანერ ღირსებებს მტრებიც აღიარებენ.

ვ. ბარნოვის გმირებისათვის სიკეთისა და მშვენიერებისადმი სწრაფვა განპირობებულია სიყვარულის შინაგანი იმპულსით. ამ ასპექტით იშლება ზღვარი ქალისა და მამაკაცის ბუნებას შორის. საყოველთაო სიკეთე საერთო დამახასიათებელი თვისებაა როგორც ერთი, ისე მეორე სქესის წარმომადგენელთათვის. შუქიას თავმდაბალი და კეთილი ურთიერთობა აშოტის მიმართ ცალმხრივი არ არის. კურაპალატიც უბრალო, თავმდაბალია შუქიას მიმართ. აშოტისათვის შუქური საამურ ცხოვრებას განასახიერებდა. იგი იყო მისთვის სიცოცხლისა და ბედნიერების განმსაზღვრელი, რომელიც სიკეთეს ანიჭებდა მას. ამდენად, მასში ჭეშმარიტი ადამიანური ზრუნვა და გულთბილი დამოკიდებულება მისი სიყვარულიდან გამომდინარეობს. “საკვირველება ხარ შენ ჩემთვის. ულევ სიკეთის მომნიჭებელი” (5-321) – ეუბნება იგი სატრფოს. შუქიაც მასთან დამოკიდებულებაში არავითარ დამცირებასა და შეურაცხყოფას არ გრძნობდა. მიუხედავად მათი არაოფიციალური კავშირისა, იგი სიყვარულის გარემოცვაში შინაგანად მაღლდებოდა და სულიერი სისპეტაკე და სინაზე ემატებოდა.

შუქიაზე მხურვალედ შეყვარებული აშოტი მაღალ ადამიანურ სიკეთესა და პიროვნულ ღირსებებს ინარჩუნებს. იგი ღრმა სულიერ ტკივილს განიცდის იმის გამო, რომ თავისი თანამებრძოლის ტრაგედიას დაუკავშირდა მისი სიყვარული. მის პიროვნებაში ერთმანეთს ებრძვის პაატასადმი მეგობრული გრძნობა და შუქიას სიყვარული. ამ დრამატულ სიტუაციაში კეთილი ბუნება გაცილებით ძლიერია. არავითარი ეგოისტური ზრახვა მას არ ეკარება, რაც უცხოა სულმოკლე მაღალი რანგის ადამიანისათვის, რომელიც ვერავის ხედავს თავის გვერდით. ასეთი დამოკიდებულება შორსაა ზნეობისაგან. პირიქით, იგი ამპარტავნება და მიზანთროპიაა, რომელსაც უბედურება მოაქვს არა მარტო სხვისთვის, არამედ საკუთარი თავისთვისაც.

ვ.ბარნოვის გმირები დიდი მღელვარების დროსაც ინარჩუნებენ ჰუმანურ იდეალებს. მათი ადამიანისადმი სიყვარული და სიკეთე შინაგანი ზნეობრივი სიწმინდითაა განპირობებული. მწერალი უარყოფითი ტიპის მოქმედებას სულიერ ფონზე შლის, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სიკეთე და მშვენიერება ასეთი კატეგორიის ადამიანებში ესთეტიკური გრძნობების ნაცვლად სიძულვილს აღძრავენ. მიზანთროპისათვის რაც უფრო მშვენიერია ადამიანი, რაც უფრო კეთილია, მით უფრო მიუღებელია.

მშვენიერებისა და სიკეთის უარყოფა უფლის მიერ დასახული გზიდან გადახვევაა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მწერალს სურს მხოლოდ წარსულის მანკიერი თუ დადებითი მხარეების ილუსტრაციით დაკმაყოფილდეს. მისი მიზანია, ასახოს ის ღრმა ჰუმანური გრძნობები, რომლებიც ადამიანს ანიჭებენ ბედნიერებასა და სულიერ შვებას, რომელთა გარეშე ადამიანი

ბოროტი და მიზანთროპი ხდება. ბარნოვის თხზულებებში დახატული როგორც ისტორიული, ისე თანადროული ტიპაჟები განასახიერებენ ადამიანისათვის მზრუნველ და სიყვარულის ერთგულ გმირებს, რომლებიც უკიდურეს გაჭირვებაშიც არ ტოვებენ ერთმანეთს.

ვ.ბარნოვი, მიეხედავად იმისა, რომ მას იტაცებს ღრმა ფილოსოფიური მსჯელობა და რომანტიკული სენტენციები, არასოდეს შორდება ცხოვრებისეულ სინამდვილეს.

სიყვარული მიწიერ სინამდვილესთან ისეა შერწყმული, რომ შეიძლება გარეგნულად არავითარი განსაკუთრებული თავისებურება არ შეინიშნებოდეს. მაგრამ დაკვირვების შემდეგ ნათელი ხდება სიყვარულის რთული ბუნება. შეუძლებელია ამ გრძნობის ასე ამაღლებული ფორმით ბავშვობიდან შეზრდა ადამიანის არსებასთან, როგორც ეს ბარნოვის გმირებს ახასიათებთ.

ვ. ბარნოვი, როგორც ღრმა თეოლოგიური განათლების მქონე მწერალი, ზედმიწევნით იცნობდა ქრისტიანულ მოძღვრებას, სახარებიდან მომდინარე ზნეობრივ სიწმინდეს და სათნოებას. მისი აზრით, სიყვარულის დაგმობა, ადამიანის სულიერ მისწრაფებათა შეზღუდვა, უფლის გზიდან გადახვევა და ღმერთის საპირისპირო მოქმედებაა.

ამ ფონზე ასახა მწერალმა საეკლესიო ცხოვრებისათვის მომზადების რთულ გზაზე როგორ კლავს გმირი თავის თავში სიყვარულის გრძნობას.აჩვენა ის ღრმა, მტკივნეული ფსიქოლოგიური ცვლილება, რაც თან ახლდა გაასკეტებას, საკუთარ სულიერ სურვილთა დაძლევას. ეს ძნელი და რთული გზა გაიარა რომანის მეორე გმირმა გრიგოლ ხანძთელმა, რომელმაც მოკლა თავისი გრძნობა თებრონიას მიმართ და სიყვარულს დაუპირისპირდა.

მერჩულეს რომანში გრიგოლი სიყრმიდანვე საეკლესიო მოღვაწეობისაკენ ისწრაფვის. მისი განდგომა, ასკეტური ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ ქრისტეს სამსახურით და საღვთო ინტერესებით არის განპირობებული. ვ. ბარნოვთან იგი ჩვეულებრივი, ნიჭიერი და გულჩათხრობილი ჭაბუკია. “მშრალი აგებულების, ძარღვიანი, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, სრულიად გუამითა მრთელ” (5-250). მწერალი გრიგოლს ქვეყნიური ცხოვრებისათვის მოწოდებული ადამიანის დამახასიათებელ თვისებებს ანიჭებს, რომელსაც მიწიერი დიდების გვირგვინიც დაამშვენებდა და პირადი ბედნიერების განცდაც შეეძლო. იგი ბევრ მშვენიერ ქალწულს მოსწონდა და მათ შორის თებრონიას, მაგრამ გრიგოლმა ასკეტის გზა აირჩია. ეს არ იყო ვარდებით მოფენილი გზა. ეს იყო უჩინარი, რთული, მაგრამ მტკიცედ მავალი გზა. ამ გზას მიჰყავდა იგი დიდებისაკენ. ამ გზაზე დადგომა ორმა გარემოებამ განაპირობა. უფრო სწორად გრიგოლი ორ მიზანს ისახავდა: ერთი, რომ სასულიერო ასპარეზზე შინაგანი მონაცემებითა და განსწავლულობით მიაღწევდა უკვდავების შარავანდედს, რაც აუსრულებდა აგრეთვე მეორე მიზანს, ქვეყნიურ დიდებას: გაუტოლდებოდა მაღალ სოციალურ ფენებს, აღზევდებოდა აშოტის გვერდით, უფრო მაღლაც. მწერალი მწირის მისწრაფებას ძველ ქართულ ლიტერატურაში კარგად ცნობილ საერო და სასულიერო ხელისუფალთა დაპირისპირებას უკავშირებს.

გრიგოლის ცხოვრების მიზანი ორპლანიანია. მას “ორმაგად გაშუქებული გვირგვინისათვის მიეპყრო თვალი”. ადამიანური მისწრაფებანი ყოველთვის დომინირებენ პიროვნების ცხოვრებაში. ზოგ შემთხვევაში აშკარად ჩანს, ხოლო ზოგჯერ შეუმჩნეველია, მაგრამ ხანძთელის სურვილები და საქმიანობა განსაკუთრებულად რთული და იდუმალია. იგი ლოგიკურად მოქმედებს. რჯულის დამცველი, აგარიანთა გარემოცვაში მოქცეული ქვეყნის სასულიერო მოღვაწე უნდა

იღვწოდეს ქრისტიანული წესის განმტკიცებისათვის. იცავდეს მაჰმადიანური ჩვეულებების შერევისაგან. ეს ერთი მხარეა, ოფიციალური. რასაც ვ. ბარნოვი დიდად აფასებს და უნარჩუნებს გრიგოლს მერჩულეს მიერ "მინიჭებულ" ღირსებებს და წმინდანის გვირგვინს. მეორე მხრივ, საღვთო საქმიანობისათვის მუშაკობას მჭიდროდ ექსოვება ამქვეყნიური ცხოვრების ნიუანსები. გრიგოლი მთლიანი პიროვნებაა, სულით ძლიერი, მედგრად მებრძოლი, რასაც ხშირად აღნიშნავს ავტორი. ამიტომ შეძლო მან საკუთარ თავთან ბრძოლა. გაუძლო ადამიანური სურვილების ჩახშობის მტკივნეულ პროცესს და შინაგანი ჭიდილის შედეგს.

პირველი მოუშუშებელი ტკივილები გაასკეტების შემდეგ გრიგოლმა თებრონიას მიაყენა. ქალს უყვარს გრიგოლი. ის კი ქვეყნიური განცდების დათრგუნვას მოითხოვს მისგან. არ არსებობს თებრონია მისთვის, როგორც ქალი. მისთვის "მხმარი ეტრატი უფრო სანატრელია, სიცოცხლით სავსე მშვენებაზედ" (5-253). თებრონიას არაერთხელ ჩაძახის შინაგანი ხმა, რომ მოერიდოს გრიგოლს, რომ ის ვერა ჰხედავს მის ხორციელ ბუნებას. ცხოვრების სიკეთეს _ "არ ესხან თვალნი მის სახილველად". ვერ მოერია ქალი საკუთარ თავს. ვერ სძლია უძლეველ გრძნობას და თავის ყმაწვილქალობა და მშვენიერება ხანძთელის ასკეტურ მიზნებს შესწირა მსხვერპლად. გრიგოლის ნებისყოფამ ფერფლად აქცია თებრონიას გატაცება და ჩააგდო "უხსნელ წამებაში". ქალმა ვერ შეძლო გრიგოლის დათმობა, მიჯაჭვული იყო მის არსებასთან. გამოიტირა მან სენაკში თავის ნორჩი ქალობა, დაფერფლა თავისი გრძნობები და "გამოვიდა არა ხორცსხმული ადამიანი, არამედ ლითონად ქცეული კერპი სასტიკი, რომელსაც აღარ ესხნეს ყურნი სმენად ცხოვრების სიმღერისა, არც თვალნი ხილვად სიცოცხლის მშვენიერებათა» (5-273). გრიგოლთან სიახლოვის სურვილით შეპყრობილი ქალი დაადგა მონაზვნის გზას და გრიგოლთან ერთად ზიდავდა ასკეტის მძიმე ტვირთს: ახლა მასაც შეეძლო გრიგოლივათ უარი ეთქვა ყველაფერზე, ზურგი შეექცია ახლობლებისათვის და შესდგომოდა სამონასტრო ცხოვრებას.

თებრონია იმ დედათა ზოგადი სახეა, რომელთაც ეკლესიის კედლებში ღვთის სამსახურში გალიეს ცხოვრება. გრიგოლმა შეძლო თავის მიერ არჩეულ გზაზე დაეყენებინა ქალი.

გრიგოლი თავის თავში დარწმუნებულია. არჩეული გზაც სწორად და სამართლიანად მიაჩნია. იგი ცდილობს მემკვიდრეობით მიღებულ მეფის დიდებას გაუტოლდეს და სასულიერო სარბიელზე მიღწეული წარმატებებით მასზე მაღლა დადგეს. სულის განვითარებით მოიპოვოს გვირგვინი. "გვირგვინი ჩემი სხივოსანი უფრო ბრწყინვალე იქნება, ვიდრე გვირგვინი თვით აშოტისა. მას მემკვიდრეობით ერგო ჯიღა ელვარე. მე საკუთარი ღვაწლით შევთხზავ გვირგვინს უჭკნობელს, ზეაღმყვანებელ საქმეთაგან დაწნულ-მოქარგულს» (5-271).

მწერლის აზრით, ადამიანი მაინც მიწიერია და ქვეყნიური გრძნობა მას არასოდეს შორდება. რამდენადაც შორს მიდის გრიგოლი, რამდენადაც სულიერ სიწმინდეს ესწრაფვის, იმდენად მეტ ქვეყნიურ დიდებას იხვეჭს. ეს გზაც იმიტომ აირჩია, რომ ეს მას დაუსრულებლად მიაჩნია. ამ გზაზე მიღწეული დიდება წარუდინებელია მისთვის. ამიტომ აყენებს მას მეფის სკიპტრაზე მაღლა. ამასთანავე, იგივე გზა აუფლებს მას "ქვეყნიურ ძალთა ზედან ყოველგვართა". ამიტომ ამბობს უარს ეპისკოპოსობაზე. მას ეს დროებით, თანაც არცთუ დიდ აღზევებას ჰპირდება. პატრიარქიც რომ გახდეს და აშოტის მარჯვნივ ნატითა და ბალიშით იჯდეს, აშოტი მაინც მაღლიდან დახედავს მას, როგორც სიყრმეში. ამიტომ ის უფრო ზევით ისწრაფვის, მარადიული დიდებისაკენ. მას სურს არა კაცთაგან ბოძებული, არამედ უფლისაგან მინიჭებული დიდება. თავის

თავში ჰხედავს ძალას და სჯერა ღვთისმსახურებით მიაღწევს მას. “ვგრძნობ სულსა ძლიერს შენგან მობერილს, მადლს ფრთოსანს სიმაღლედ აღმყვანებელს. ნებისყოფის მძლევს შენის მარჯვენით” (5-279).

ვ.ბარნოვი ასკეტთა მიერ მხოლოდ სულის განვითარებისათვის ზრუნვას პიროვნების ნაკლოვანებად მიიჩნევს და აყენებს საკითხს ადამიანის ჰარმონიული განვითარების შესახებ. მისი აზრით, “ორი ბუნება ადამიანში განუყრელადაა ერთმანეთთან შეერთებული. ერთ-ერთის განვითარება საკუთარი არსების მეორე ნაწილის უარყოფას უდრის. ამიტომ უნდა გიყვარდეს ხორციელიც და სულიერიც შენი არსება. იზრუნო მათზედ. განავითარო იგი” (5-263). ხორცი არ ამძიმებს სულს, პირიქით, ისინი განვითარების გზაზე ეხმარებიან ერთმანეთს. მათ შორის წინააღმდეგობა ერთი მათგანის შეუსაბამო ზრდის გამოა. ამიტომ საჭიროა ხორცის ამაღლებაც, მისი ჰაეროვნება. მხოლოდ სულის განვითარებისათვის მზრუნველი გრიგოლი მეორე უკიდურესობაში ვარდება. იგი თავის თავში თრგუნავს ხორციელ ადამიანს. გრიგოლის ასკეტიზმი უფრო მძიმეა, ვიდრე ილიას განდეგილისა. იგი არ თრგუნავს სხვა პიროვნებაში ადამიანს. მას მხოლოდ საკუთარი თავი შეუწირავს ღვთისათვის და საკუთარ პიროვნებაში ჩაუკლავს მიწიერი სურვილები. ხოლო გრიგოლი ამით არ კმაყოფილდება. მას მრევლიც ესაჭიროება მიზნის მისაღწევად.

გრიგოლი სიყვარულს, პირად ბედნიერებას იხშობს თავისი სიძლიერისა და ნებისყოფის დასამტკიცებლად: სიყვარულის უარყოფით ცდილობს დაარწმუნოს აშოტი თავის უპირატესობაში. მას სწამდა “აღმობრწყინდებოდა სამშობლოს ცაზედ ვარსკვლავად სამარადისოდ” (5-271). ფარული ქიშპი, რომელიც ბავშვობიდანვე არსებობდა აშოტსა და გრიგოლს შორის, სიყვარულის ფონზე აშკარავდება. შუქიას და აშოტის გათიშვით გრიგოლი საკუთარი პრესტიჟის ამაღლებასაც და აშოტის დამდაბლებასაც ცდილობს. თუმცა იცის, რომ მიწიერია მისი სურვილი და ამიტომ მიმართავს ღმერთს: _ “ნუ მიწყენ, მეუფეო, ამპარტავნებას ჩემსა: მსაჯე მე არაგულისხმისათვის ჩემისა, მოქმედებისათვის ჩემთა” (5-271).

თებრონიაც მკაცრად მიჰყვება საეკლესიო გზას, როდესაც მან დაკარგა გრიგოლის იმედი, ზურგი შეაქცია ამქვეყნიურ ცხოვრებას. მასში არსებული მგზნებარე სიყვარული სიმკაცრემ შეცვალა. ამის შემდეგ თებრონია იყო არა

ხორცსხმული ადმიანი, არამედ ლითონად ქცეული კერპი სასტიკი, რომელს აღარ ესხნეს ყურნი სმენად ცხოვრების სიმღერათა, არც თვალნი ხილვად სიცოცხლის მშვენიერებათა...” (5-273).

თებრონიასათვის მიუღებელი გახდა ქვეყნიური სიყვარული. იგი გარეგნულად საეკლესიო წესებს იცავს, საზოგადოებრივ აზრს ასახიერებს. მაგრამ მასაც კონკრეტული მიზანი ამოძრავებს. _ “თუნდაც წავსწყდე, _ ამბობს თებრონია. _ ოღონდ სჯული არ იქმნას შებღალული. სულს დავსდებ შენთვის და დიდებისათვის ეკლესიისა”. _ მიმართავს გრიგოლს (5-357). იგი აშოტის და შუქიას სიყვარულის ჩახშობით ელტვის მოწამეობრივ გვირგვინს. სურს დაუმტკიცოს ხანძთელს ერთგულება: ”იდუმალი სიხარულით ელოდა რისხვას მეფისას: ნატრობდა წამებას, სიკვდილს მოწამეობრივს. ”მაშინ ზეცას აღფრინდებოდა იგი ცხოვრებისაგან უარყოფილი. ცხადად ჰნახავდა გრიგოლი, რა ძვირფასი საუნჯე იყო თებრონია ქალი. და გაუკვირდებოდა. დაენანებოდა კიდეც

მას იგი, გული ეტკინებოდა. ყველანი განცვიფრდებოდნენ მაშინ. ქებას ეტყოდნენ, ხოტბას შეაფრქვევდნენ. ზღაპრად დაიდებოდა მისი გმირობა” (5-375)

ასეთი იყო გრიგოლის სიყვარულით შეპყრობილი თებრონიას მრწამსი. მონაზვნად აღკვეცილი ქალი წმინდანად ქცეული მამაკაცის გულქვაობის მიუხედავად არ ტოვებს გრიგოლს. ღმერთად აღიარებს მას. მისი სიყვარული აძლევს ძალას საღვთო საქმეში.

ვ. ბარნოვი რელიგიურ დოგმატიკასა და საეკლესიო კანონისტიკას უპირისპირებს სიყვარულს. მარადიულ, ნათელ და დაუსრულებელ სიყვარულს.

გრიგოლი, საეკლესიო გზაზე დამდგარი, პირველ რიგში სიყვარულს შეებრძოლა. მისთვის ცნობილია ამ გრძნობის ძალა. იგი ყველაზე ნათლად გამოხატავს სულისა და ხორცის ერთიანობას. ის ხორციელიდან სულიერისაკენ და სულიერიდან ხორციელისაკენ მიმავალი გზაა. ამიტომ განუდგა ბერი სიყვარულს. სძლია საკუთარ არსებას. ჩაიკლა გრძნობა, ჩაკლა იგი თებრონიაშიც.მაგრამ ვერ მოსპო, ვერ წაშალა მეხსიერებიდან. ეკლესიაშიც კი ხშირად იფეთქებს ხოლმე იგი და შესძრავს განდეგილს. ხსოვნათა ფსკერზე მაინც ეხატა სურათი შემუსვრილი ვნებისა და “იგი ხატი ხელთუქმნელი ზოგჯერ სისხლ-ხორცსაც შეისხამდა. სიცოცხლით შეივსებოდა და საყვედურით შეხედავდა წმინდაქმნილ ვაჟკაცს” (5-317). ხშირად შინაგანი ხმა საყვედურობდა, რომ არ გაამრავლა ხორციელ არსთა შემლება და გადაეღობა ცხოვრების დინებას.

ეჭვობს: სწორად გადაწყვიტა თუ არა საკუთარი ბედ-იღბალი. იქნება ადამიანი მიწიერი ცხოვრებისათვის მოვიდა ამქვეყნად. ის კი წინ აღუდგა. ”გინდოდა შეგეყენებინა მიცეკვავე დენა სიცოცხლის მძლავრ მდინარისა?! შენ რა იცი. იქნება სულიერი ცხოვრებისათვის განგებულა სამყარო სულიერი. ხოლო ხორციელი არსებისათვის მშვენიერისა ედემია ამქვეყნად დანერგილი. ცხოვრება ესე ნივთიერი” (5-317), _მიმართავს მას ავტორი.

მწერალი ასკეტის შინაგან სამყაროს აშუქებს და გვიჩვენებს, რომ მათ გარეგნულად მყუდრო ერთფეროვან ცხოვრებაში თავისებური აფორიაქებული, იჭვნეული წუთებიც ხშირად გამოერევა ხოლმე...

სიყვარულის უარყოფის შემდეგ გრიგოლი და თებრონია მზირად დაუდგნენ ქვეყნიურ გრძნობებს. თებრონიას ახლა მრისხანებაც ამოძრავებდა, რომელიც განუხორციელებელი სიყვარულის დათრგუნვის შემდეგ დაეუფლა მას. ავტორი შენიშნავს, რომ “ვნებად გარდაქმნილი გრძნობა უიმედო ბევრჯერ ბოროტად აამოქმედებს ადამიანს”.

რამდენადაც ძლიერი იყო თებრონიას გრძნობები, იმდენად სასტიკად ამოქმედდა იგი. რამდენადაც მწარედ განიცადა სიყვარულში იმედების გაცრუება, იმდენად უფრო ძლიერმა რისხვამ შეიპყრო. იგი მხოლოდ ხორცის უარყოფით არ შემოიფარგლა. მას აღიზიანებს აგრეთვე ყოველივე მშვენიერი, აღიზიანებს შუქიას სილამაზე. ავტორი მრავალმნიშვნელოვნად სვამს საკითხს შუქიასადმი ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ. რა იყო ის. ცოდვა? “მშვენიერ ყვავილად რომ დაებადნა იგი შემოქმედს, თვალთა სასიამო ქმნილებად სათაყვანებლად. ეს იყო ბოროტება შუქურისა: მისი სიკეკლუცე ხორციელი. მისი სინარნარე თანდაყოლილი, სიმშვიდე და მოსიყვარულე გული ყოვლად კეთილი” “რომ თვით მშვენიერებაა ხორცსხმული. თვით ტრფიალებაა ცხადად სახული? რომ ამრავლებს ქვეყანაზედ სიმშვენიერეს და სიყვარულსა” (5-367).

მეფის წინააღმდეგ ნაბიჯის გადადგმა გრიგოლს არა მხოლოდ საღვთო გულისთქმამ და ღვთისადმი სწრაფვამ, არამედ თავისმა ფარულმა მიზანმა გააბედვინა, რის გამოც გამოუვალ

მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქრისტიანობისათვის ყოვლად მიუღებელი მარჩიელის ჯადოქრობას და შუქიას მოწამვლას გრიგოლი თავდახრილი დუმილით ხვდება. გრძნობს წმინდა სავანისათვის შეუფერებელ მოქმედებას. თებრონია აქტიურობს შუქიას აშოტისაგან დაშორებისას: მას გყლის სიღრმეში სწყინს, რომ შუქია უყვარდა მეფეს, რომ ხორცშესხმული იყო მათი ტრფობა. ის ცდილობს, გრიგოლს მოაწონოს თავი, ხოლო გრიგოლი ისწრაფის, რომ უფალს მოაწონოს თავი. ამდენად თებრონია ორმაგი სისასტიკით იბრძვის სიყვარულის წინააღმდეგ. ისაა ძირითადი ინიციატორი შუქიას აშოტისაგან მოცილებისა. გრიგოლი არ არის შუქიას შემზარავი სიკვდილის უშუალო მონაწილე. ეკლესიაში მომხდარი დანაშაული თებრონიას ედება ცოდვად. ის არის დედათა ტაძრის წინამძღოლი. მან ჩაიბარა შუქია "სიხარულის ცახცახით". ივდითმა კი დაუსახიჩრა სახე შუქიას და მოაკვდინა იგი.

მონაზონმა აღუთქვა გრიგოლს, რომ შუქია ვეღარ იხილავდა ცხოვრებას მონასტრის გარეთ, ვეღარ ეღირსებოდა სოცოცხლეს. ივდითის პორტრეტის დახატვით მწერალი აშიშვლებს მის შინაგან ბუნებას. იგი მტრად დადგომია სიკეთესა და მშვენიერებას. უფრო აცოფებს მას შუქიას სულიერი სახიერება. "სილამაზე ეშმაკის მახედ დაესახნა უსახურს" (5-391). ეს არის ჯალათად დადგენილი დედაბერი. ავტორი დამარწმუნებლად აღნიშნავს, რომ მან, როცა უარყო ქვეყნიერება, არამარტო ზურგი შეაქცია მას, არამედ შეიძულა, ცხოვრებისეული სიხარულისა და მოძულედ გადაიქცა. დედათა სავანეში სპობდა ყოველივე ადამიანურს, ანადგურებდა ხორციელი ნუგეშის ნერგს. ამიტომ იგი სძულდა მონასტრის კრებულს.

შემაძრწუნებელი სურათია დახატული, როდესაც ივდითს მიჰყავს შუქია ბნელ,ნესტიან ჯურღმულში. იგი გრძნობს რომ ცოცხლად დამარხვას უპირებენ და მძიმე მდგომარეობაში ვარდება.

შუქიას სახით მწერალი გვიხატავს ასკეტთა საუფლოში მოხვედრილი ადამიანის ბედს. როგორი შურით, როგორი ძალადობით ცდილობენ ჩაკლან მასში ადამიანური განცდები. ჩაახშონ სიკეთე და სილამაზე.

საეკლესიო კანონისტიკისა და ადამიანური გრძნობების წინააღმდეგობისას ორი უდანაშაულო ადამიანის _ შუქიას და აშოტის სიცოცხლე შეწყდა. ორივემ წმინდა ტაძრის კედლებში დალია სული, რითაც მის მესვეურებს წარუშლელი ლაქა დააჩნდა. შუქიას სიკვდილით თებრონია ვეღარ ეწია თავის მიზანს. ეს მის ზნეობრივ განადგურებას ნიშნავდა. "ძლევისა ნაცვლად და დიდებისა მარცხი საზარი მწიკვლი ურეცხი, წარუხოცელი" (5-407).

ასეთი ფინალის შემდეგ გრიგოლი აღიარებს: "_ღვთის სადიდებლად ხელი ვყავ საქმეს. ბოროტად დაატყდა იგი წმინდა სავანეს. მრავალ არიან გზანი მაცთურისა!.. ძლიერი მებრძოლი იგი – ღვთისაც შემმართებელი. ვიძლიენით მისგან...
_ მეტი ლმობიერება" (5-408)

ბარნოვისეული სიყვარულის კონცეფცია აერთიანებს სახარებიდან მომდინარე კაცთმოყვარეობის, რუსთაველის მიჯნურობის პრინციპებს და სულიერ და სხეულებრივ მშვენიერების იდეას. შეყვარებულები სიყვარულის განცდით გადიან ინიციაციას. ერთგულებით სძლევენ წინააღმდეგობას და ასე აღწევენ მიზანს.

ხოლო გრიგოლი საღვთო გზაზე დიდების მისაღწევად საწინააღმდეგო პრინციპებს აყალიბებს.მისი რწმენით, ხორცი ეწინააღმდეგება სულს. შეამძიმებს მას, აბრკოლებს აღმაფრენაში.

(5-263). ვ. ბარნოვი არ ეთანხმება. მას უფლის სიტყვიდან გადახვევად მიაჩნია ნივთიერი არსებობის უარყოფა და ეკამათება გრიგოლს.

“_ღმერთს ჭკუა არ ესწავლება. იმან შეგვქმნა ხორციელი და ჩაგბერა სული უკვდავი. ორი ბუნება შენი განუყრელად შეერთებული. უნდა დაჰმორჩილდე ნებას ყოვლად ბრძენ შემოქმედისას: გიყვარდეს ხორციელიც და სულიერიც შენი არსება.

იზრუნო მათზედ.განავითარო. განგებამაც ესე განაწესა: მოგცა წესდება ხორცისთვის და მცნება სულისთვის” (5-263).

მწერალმა ამით ხორციელი სიყვარულის აუცილებლობა დაადასტურა. იგი გათანასწორდა სულიერს. ქრისტიანულ სულიერ სისპეტაკეს და სიკეთეს შეუთავსა ხორცის ამაღლების პრინციპი. ორი ბუნება უფლისა _ ორი ბუნება სიყვარულისა.

უცოდველ, მშვენიერ სულთან ერთად მწერალს უცოდველი ხორციც მშვენიერად მიაჩნია. ჭეშმარიტი სიყვარულის ორივე მხარე სულიერიც და ხორციელიც სრულყოფილი უნდა იყოს, რადგანაც “შეუძლებელია მშვენიერმა მთლად დაჩრდილოს სხვა მშვენიერი” (5-284).

ამდენად, გათანასწორებულია სულისა და ხორცის მნიშვნელობა სიყვარულისათვის.

გრიგოლში სარწმუნოების გამო კვდება ამქვეყნიური მისწრაფებები და მათ შორის სიყვარულიც, რასაც მოჰყვა თებრონიას სიყვარულის ტრაგედია. გრიგოლი იქცა შემაერთებელ ხიდად სარწმუნოებასა და თებრონიას შორის, რომლის სიყვარულისთვისაც ყმაწვილი ქალი ტაძარში მონაზვნად აღიკვეცა. ჩაქრა ქვეყნიური სურვილები მის გულში და გრიგოლს საღვთო სიყვარულით დაუკავშირდა. ეს იყო ერთდერთი იმედი მასთან სიახლოვისა.

... მის ხელში უკვე ქცეულიყო მხევლად.უპიროვნო ნივთად. სულდგმულად”. (5_267).

ეკლესიამ შეაჩერა თებრონიას სიყვარული. ამიტომ ტრაგიკულია. იგი ტაძარშიც არ ჩაქრა. სიყვარულის ცეცხლი კვლავ ღვიოდა ქალის გულში. ”უწყვეტი გამოდგა სიყვარულის სიმი, რომლით შეკონილიყო ქალის გული ვაჟკაცის არსებასთან. დაე-ნანა თავი. შეებრალა თავისი ნორჩი ქალობა” (5-265).

მაგრამ გრიგოლისა და თებრონიას ცხოვრებაში სიყვარული იმ სიცარიელეს ავსებს, რომელსაც ამ ქვეყნიდან მოწყვეტის შემდეგ გრძნობს ადამიანი. ფაქტობრივად ეს გრძნობა ასკეტებს ცხოვრებასთან, ერთმანეთთან აკავშირებს. გრიგოლისა და თაბრონიას ურთიერთობაში ხორციელი გრძნობა დაგმობილია და სულიერი, ირეალური სიყვარულით დაკავშირებულნი საღვთო საქმეში პოვებენ შარავანდედს.

საეკლესიო კანონსა და სიყვარულს შორის წინააღმდეგობა ბარნოვთან უფრო მკაფიოდ აშოტისა და შუქიას სიყვარულისადმი დამოკიდებულებაშია გამოხატული. სასულიერო ხელისუფალთ მათი სიყვარული ღვთის გმობად მიაჩნიათ და ცდილობენ აღმოფხვრან იგი. მწერალი არ ეთანხმება ამ აზრს. რაც მჟაღვნდება თებრონიასა და ავტორის კამათში.

“_ დარწმუნებული ხარ, რომ სიყვარული ამქვეყნად არ არის მასწავლებელი შემოქმედის ნებისყიფისა, მსახველი მისის სახიერებისა. მეუფე ხომ თვით სიყვარულია გამოუთქმელი” (5-337) _ მიმართავს მწერალი თავის გმირს, თებრონიას. _ სიყვარული სპეტაკი, წმინდა, ცოდვათა სიბნელით დაუჩრდილავი.

_და რათა ხარ დარწმუნებული, რომ აშოტის სიყვარული არ არის უჩრდილავი, სპეტაკი, უცვალებელ-უკვდავი?” (5-337).

თებრონია ამ შემთხვევაში საღვთო სიყვარულს გულისხმობს, რომელიც მხოლოდ სულიერ სისპეტაკეს მოითხოვს და “მოქმედი სიყვარული” ცოდვად მიაჩნია, როდესაც ბარნოვი “ზეცით ნაკურთხ ტრფიალს” უწოდებს.

გრ.ხანძთელი გაბედულად აცხადებს: “_არის ქვეყნად სიყვარული ბოროტი?! (5-337) და სიძვად თვლის აშოტისა და შუქიას სიყვარულს.

ქრისტიანული ეკლესიის სულისჩამდგმელი გრიგოლი საეკლესიო წესების მტკიცე დამცველია. მისი შეხედულება სიყვარულზე სამონასტრო წესებიდან გამომდინარეობს და ეწინააღმდეგება სიყვარულის ბუნებრივ მიმდინარეობას. ეს წინააღმდეგობა ნათლად ჩანს “გრ.ხანძთელის ცხოვრებასა” და “ტრფობა წამებულის” ავტორთა შეხედულებათა შედარებისას სიყვარულზე.

გოირგი მერჩულე ქალს სიძვის დიაცს უწოდებს და აშოტის სიყვარულს ეშმაკისაგან ცდუნებად მიიჩნევს.

“აცდუნა მტერმან ხელმწიფეი იგი და მიიყვანა მან დედაკაცი სიძვისაი ციხესა შინა, რომელსაცა თანა მრუშობდა. რამეთუ ეშმაკი ტრფიალებისაი ფრიად აზრზენდა, რომელსა არა აქუნდა ეგევითარი ჩვეულებაი, არამედ ძლეულ იქნა ბოროტითა მით ცოდვითა” (33-600).

ვ.ბარნოვი აშოტის გატაცებას უძლეველ სიყვარულს უწოდებს, რომელიც გარეშეთაგან შეუცნობელია. ”ძლიერი იყო იგი სიყვარული, რომლით გამსჭვალულ იქნა აშოტი, უძლეველი იყო იგი” (5-243).

“გრ.ხანძთელის ცხოვრებაში” თებრონიას და გრიგოლის დაახლოება და დამეგობრება სარწმუნოების ნიადაგზე ხდება. მათ სარწმუნოება აახლოებს ერთმანეთთან.

“საღრმთოითა სიყვარულითა წმინდათა ერთზრახვა და მეგობარ იყვნეს. ფრიად ნეტარნი ესე ღმრთისა კაცნი: დედაი ფებრონია და მამა გრიგოლი”. “ტრფობა წამებულში” მათი დაახლოება ამქვეყნიური სიყვარულის საფუზველზე ხდება. სიყრმიდანვე უყვარდა თებრონიას გრიგოლი და მისი სიყვარულისთვის აღიკვეცა მონაზვნად, რომ სატრფოს ბედი გაეზიარებინა. ეს შეყვარებულთა უკიდურესი მდგომარეობით იყო გამოწვეული და არა იმით, რომ თებრონია მოწოდებით წმინდანი იყო და სიყვარულს უარყოფდა. პირიქით, სიყვარულმა წმინდაჰყო იგი. სარწმუნოებრივი თავდადება სიყვარულს ეყრდნობა და გრიგოლისა და თებრონიას წარმატება სასულიერო ცხოვრებაში სიყვარულით არის შეზავებული.

გ. მერჩულე ბერის პოზიციიდან უყურებს ადამიანთა ურთიერთობას. მას მხოლოდ და მხოლოდ ღვთის მოშიში ასკეტები აინტერესებს, რომელნიც მარხვა-ლოცვით ცდილობენ ამქვეყნიური სიყვარულის დამკვიდრებას.

ბარნოვთან სააქაო ნეტარება სიყვარულით მოიპოვება. მწერალი ღმერთს სიყვარულში ეძებს. მას ღმერთთან მიახლოების ერთადერთ გზად სიყვარული მიაჩნია. უფრო მეტიც, სიყვარულია თვითონ ღმერთი. “სიყვარული მხოლოდ ერთია, განუყოფელი. ვით ღმერთი. რომელი არს თვით სიყვარული” (5-264).

სიყვარული ამქვეყნიურ, მიწიერ ცხოვრებასაც მოიცავს სულიერ მისწრაფებასთან ერთად. რელიგია კი ადამიანს ამქვეყნიური მოთხოვნილებებისაგან ზღუდავს. “მხოლოდ ღმერთი შეად-გენს ქრისტიანის მოთხოვნილებას. სხვა ინდივიდუმი, ადამიანთა გვარეობა, სამყარო მას აუცილებლად არ სჭირდება. სხვა ინდივიდუმის შინაგანი მოთხოვნა მას არ გააჩნია” (21-212).

სიყვარული კი ცხოვრების გარეშე არ არსებობს. მისი ძალა რომ იგრძნო და გააცნობიერო, ამისათვის ადამიანებთან უნდა ცხოვრობდე. როგორც სულიერად, ისე ხორციელად.

სიყვარულის იდეა, როგორც ამქვეყნიური, ისე იმქვეყნიური ბედნიერება და თავისუფლებაა. რაც სატრფოს მიმართ ერთგულებით მოიპოვება და პიროვნებას სამუდამო ნეტარებას ანიჭებს. მისი ძირითადი პრინციპია – ადამიანი სიცოცხლეში აზიაროს ცხოვრების სიამეს, უმაღლეს ბედნიერებას.

ამ მხრივ, სიყვარული შორდება ძირითად საეკლესიო პრინციპებს, რომელიც იმქვეყნიურ სასუფეველზე ზრუნავს.

ვ.ბარნოვისეული სიყვარულის მარადიულობა და უძლეველი ბუნება ჩანს სოციალური, მატერიალური და სარწმუნოებრივი უთანასწორობის უგულებელყოფის ფონზეც. მასზე ვერ ახდენს ზეგავლენას ცხოვრების ცვალებადი თუ მარადიული კანონები.

ვ. ბარნოვის გმირების ზნეობას და მოღვაწეობას სიყვარული წარმართავს. ბედისწერა უხილავად მოქმედებს სიყვარულის წინააღმდეგ. ბედისწერის დამარცხება მკაცრი სინამდვილის დაძლევაა. რაც თავისთავად სოციალურ, რელიგიურ და სხვა უთანასწორობის დაძლევას გულისხმობს. წინააღმდეგობათა რკალში ზნეობრივი სახის შენარჩუნების შემდეგ უკეთ ვლინდე-ბა სიყვარულის ამაღლებული ბუნება. ამ დროს სიყვარული გამარჯვებულია და იგი მართავს ადამიანთა ყოფიერებას და ზნეობას. ის ერთადერთი ძალაა. ადამიანის ცასთან დამაკავშირებელი.

ბარნოვის აზრით, "სიყვარული გრძნობათა მზეა. ის უხვად აბნევს მანათობელ სხივებს თავის გარშემო და იზიდავს თავისკენ არს სათაყვანებლად თუ სადიდებლად" (5-274).

გ, ქიქოძე წერილში "ვასილ ბარნოვი" წერს: "ბარნოვი იმეორებს თავის საყვარელ აზრს, რომ სიყვარული ერთადერთი ქვეყნიური განხორციელებაა არსისა, რომელიც სიცოცხლის დასაბამია, რადგან სიცოცხლე მის მიერაა შექმნილი" (10-274).

მწერალი სიყვარულს უკავშირებს ყოველგვარ სიკეთეს და ამ ადამიანურ გრძნობას ღვთაებრივ საწყისთან აახლოებს. ამ ამაღლებულ გრძნობასთან შეყვარებულ წყვილებს ხშირად მუსიკა აკავშირებს. საკრავის ხმა და ტკბილი სიმღერა ეს არის გზა ამაღლებისა და განწმენდისაკენ.

მუსიკა შეგრძნების საუკეთესო საშუალებაა. ეს არის სულისა და სიყვარულის ჰარმონია, რომლის საშუალებითაც შეყვარებულები ერთმანეთს პოულობენ.

სიყვარულის სიმი სიმღერისა თუ ხმის მუსიკობით ინასკვება. სულის ამაღლება ტანჯვის მეშვეობით ხდება. სიკვდილის მერე სიყვარულის პირვანდელი სახით აღდგენა განპირობებულია სამყაროს მუსიკალური წყობით. ვ.ბარნოვს სიყვარული ესმოდა, როგორც სამყაროს შინაგანი მუსიკა და სმენათა შეთანხმება. მოტრფიალენი ხმის მუსიკობის მეშვეობით ცნობენ ერთმანეთს.

რომანში ასახული სიყვარულის მარადიულობა, მისი უძლეველი ძალა "ცასთან დააკავშიროს ადამიანი, რთული და შეუცნობელი ბუნება, მოწმობს, რომ ვ.ბარნოვის სიყვარულის კონცეფცია უახლოვდება სარწმუნოებას, რომელიც ითხოვს ადამიანებისაგასნ ერთმანეთსაგან ერთგულებასა და სიკეთეს, აღუთქვამს მარადიულ ნეტარებასა და ბედნიერებას.... ვინც ამ ზეციურ ნიჭს – სიყვარულს უარყოფს და ცხოვრებას გრძნობის გარეშე მოაწყობს, ყველაფერი უშინაარსო გახდება და მალე დაიმსხვრევა" (23-69).

ეს არის ერთ სისტემაში მოქცეული თავისუფლების, სიკეთის, მშვენიერების, სულისა და ხორცის ერთიანობის იდეალები.

რეზიუმე

ისტორიულ რომანს უმთავრესი ადგილი უკავია ვ. ბარნოვის შემოქმედებაში. ამ ჟანრით შევიდა იგი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მწერალს ოცზე მეტი რომანი აქვს დაწერილი ამ თემაზე. წარსული მისთვის განსაკუთრებული შთაგონების წყარო იყო.

იგი ისტორიული და გამონაგონი ხასიათების შერწყმით ცდილობს შექმნას ზნეობრივი იდეალი _»არსება სრული», რომლის განმსაზღვრელია სიკეთე და სიყვარული სულიერი და ფიზიკური მშვენიერების ჰარმონიაა. ზნეობრივი ფენომენი მაღლა დგას იურიდიულ ნორმებზე.

რომანში «არმაზის მსხვრევა» საინტერესო წარმართული პანთეონია წარმოდგენილი. აქ რელიგიურ ფონზე გამოკვეთილ ორ საპირისპირო პოლიტიკურ ორიენტაციას ორი წარმართული ღვთაება ციშუბი და არმაზი განასახიერებს. ციშუბი, როგორც ძველი ქართული ეროვნული თავისუფლების სიმბოლო და არმაზი _ სპარსეთიდან შემოსული, მაგრამ ქართულ იერ-სახე მიღებული, ქართველთა მფარველი ღმერთი.

ციშუბი მ. წერეთლის წიგნში «ხეთის ქვეყანა» მოხსენებული ხეთურიდან მომდინარე ღმერთის თეშუბის ინტერპრეტაციაა. «მცირე აზიის ღმერთი ცისა და სინათლისა, ატმოსფერისა, წვიმისა და ელვა-ჭექისა თეშუბ» (1.84). ციშუბს მწერალი სამსახოვან ღვთაებად წარმოგვიდგენს. ციშუბ-თარხუჯ-ითრუშანი თარხუჯი, ანუ თოხნაბუჯი მწერალს ქართველი ერის წარმართული რელიგიური აზროვნებიდან აქვს აღებული. «უჯ» კომპლექსი ქართულ ენაში უძველესია. იგი დაფიქსირებულია უძველეს ქართულ ციხე-ქალაქების უჯარმის, ხორნაბუჯის და არტანუჯის სახელწოდებაში.

აღმოსავლეთის ისტორიაში ფიქსირდება ღვთაება «თარხუნ» (2.305) ხეთების სამხრეთ ოლქში. აქაც ღვთაებათა ტრიადა გვაქვს (სანათა, დატა, თარხუნი). თარჰუჯ ძვ. საქართველოში კაცის სახელია, რომელიც გვხვდება ატენის სიონის წარწერაში «კახიძე თარჯუჯი», გარე წარწერაში «თარხუნი», ეს ფაქტები მიგვანიშნებენ, რომ ძველ ხეთურ ანთროპომორფულ ღვთაებათა სახელები ადამიანთა სახელებადაც დამკვიდრებულა ძველ საქართველოში, გვიან საუკუნეებშიც იხსენება _ «თარხან», გვხვდება აგრეთვე მისი შესატყვისი ღვთაება «ტარხონ». შესაძლებელია აქედან იყოს მიღებული სახელი «ტარიელ», რაც მეომარ გმირს უნდა შეესატყვისებოდეს. ადამიანის სახელებად იქცა აგრეთვე ხეთურ ღვთაებათა სახელები: დათა>დათა, სანათა>სანათა, შიუქში>შიოშა და სხვა.

დღეს ხეთური ენა მეტნაკლებად შესწავლილია და გარკვეულია, რომ «არმა» ხეთურად მთავერს ნიშნავს.

არმაზი რომ სპარსული არ არის ამას ქართული ტოპონიმებიც მოწმობენ: არმაზი _სოფელია ქარელის რაიონში, არმაზეთი _ პატარა ლიახვის ხეობაში. «არმა» ძირი უნდა იყოს ტოპონიმ უჯ-არმა-ში.

ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში სიყვარული ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რომელიც იდეურად აერთიანებს ისტორიული ხასიათისა და თანადროულობის ამსახველ ნაწარმოებებს. ისტორიულად თემატიკა მწერალს აინტერესებს არა მარტო იმიტომ, რომ ასახოს ჩვენი ერის დრამატული და საგმირო ეპიზოდებით აღსავსე წარსული, არამედ იგი მიზნად ისახავს გვიჩვენოს ქართველი ხალხის სულიერი გზა შორეული ნაწარმოებიდან მის თანადროულობამდე. ზნეობრივი

პრინვიპებიდან აისახება პატრიოტული, პირადული თუ სხვა საკითხები. იგი ერთგვარად მოიცავს ყველა სხვა წარსულში თუ აწმყოში არსებულ პრობლემას.

ბარნოვისეული სიყვარულის ძირითადი აზრია ადამიანი ამქვეყნად აზიაროს ბედნიერებას, რისთვისაც სულიერთან ერთად ხორციელ სიყვარულსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ბარნოვის გმირთა ფსიქოლოგიაში ქრისტიანული კაცთმოყვარეობა და სულიერი სისპეტაკე შერწყმულია სხეულის მშვენიერესთან. მაგრამ სულიერი მხარე ქრისტიანულია და წარმართობაც წარმოდგენილია არაპატრიარქალური სახით, არამედ როგორც ქრისტიანობასთან შერწყმული დახვეწილი ხედვა.

ვ. ბარნოვის არგუმენტაცია სიყვარულში მსგავსებას პოულობს ევროპის ახალი დროის ფილოსოფიაში. კერძოდ, ბევრი საერთო აქვს ლ. ფოიერბახის მოძღვრებასთან, რწმენისა და სიყვარულის შესახებ. ფოიერბახის აზრით, სიყვარული აგებულია პიროვნების ნებისყოფასა და სურვილზე დაყრდნობით. ეს არის თავისუფალ ადამიანთა გონივრულ მოთხოვნილებებზე დამყარებული გრძნობა, რომელიც პიროვნების სულიერი და ხორციელი ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ფოიერბახთან სიყვარულის გარემოცვაში პიროვნება კარგავს საკუთარ ინდივიდუალობას, ბარნოვის გმირი კი სიყვარულის მეშვეობით სრულყოფილი ხდება და თავის პიროვნებას ეუფლება. სიყვარული მისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს და თვითონ არის ღვთაებრივი საწყისი, რომელიც შეიცავს როგორც კონკრეტულს, ისე ზოგადს. ფოიერბახი სიყვარულის წამყვან ფაქტორად გონივრულ საწყისს მიიჩნევს, ხოლო ბარნოვთან პირველადი გრძნობაა, გონებრივი განსჯა სიყვარულის შეზღუდვის საწყისია, რომელიც აუცილებლად ითვალისწინებს სოციალურ და მატერიალურ გარემოს. აღნიშნული პრობლემა სიყვარულთან მიმართებაში მკვეთრად შეინიშნება თანამედროვე ცხოვრებაში და ბარნოვის შემოქმედებაში დასმული საკითხი სიყვარულის გრძნობის პირველადობის შესახებ რეალურ სინამდვილეში პოულობს განხორციელებას.

ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში ასახული ხორციელი სიყვარული, ჭარბი ცხოვრებისეული ელემენტები ფოლკლორიდან იღებს დასაბამს. ხალხურ პოეზიაში ასახულია განწმენდილი ხორციელი ლტოლვა, რაც ბარნოვთან თითქმის სისტემას ქმნის. გარდა სიყვარულთან დაკავშირებული პრობლემისა, ხალხური შემოქმედების ძალა აირეკლება ბარნოვის თხზულებებში ეთნოგრაფიული ჩვევების წარმართული რიტუალებისა და აზრის თავისუფლების ასახვისას.

ზნეობრივ პრობლემას რომელიც იდეურად აერთიანებს ვ. ბარნოვის მთელ შემოქმედებას. მწერალი სიყვარულის ფონზე აშუქებს. სიყვარულის მარად უკვდავი ძალა განსაზღვრავს ყველა სხვა ეთიკურ და ფილოსოფიურ კატეგორიას. პერსონაჟთა მთელი ცხოვრება, ზნეობრივ გმირთა ბედი და უბედობა განპირობებულია სიყვარულთან დამოკიდებულებაში. თავისი შემოქმედებით მწერალი ქმნის სიკეთესა და ჰუმანიზმზე აგებული სიყვარულის სარწმუნოებას.

ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში ასახული ზნეობრივი სიყვარულის კონცეფციას ზოგიერთ ასპექტში შეიძლება მოეძებნოს პარალელები ქართულ ლიტერატურაში, ფოლკლორში, ანტიკურ ფილოსოფიასა და ქრისტიანულ მოძღვრებაში, მაგრამ მწერალმა თავის ზნეობრივი კონცეფცია ქართველი კაცის ხასიათში აღმოაჩინა. მისი ფსიქოლოგიისა ღრმა ცოდნისა და ანალიზის საფუძველზე შექმნა ზნეობრივი სიყვარულის თავისებური ფორმა, თავისი შინაარსითა და ფორმით, ეს

არის ქართული ეროვნული კონცეფცია, რომელსაც ზუსტად შესატყვისი პარალელები მსოფლიოს არც ერთ მწერალთან თუ ფილოსოფოსთან არ მოეძებნება.

ბარნოვის გმირთა ფსიქოლოგიაში ქრისიანული კაცთმოყვარეობა და სულის სისპეტაკე შერწყმულია წარმართულ სულისკვეთებასა და გარეგნულ სიმშვენიერესთან. წინააღმდეგ ქრისტ-იანული რელიგიისა, შეყვარებულები სულიერთან ერთად ხორციელი სიახლოვისკენაც მიისწრაფიან.

შეყვარებული გმირები გამოირჩევიან სხეულის ანალიტიკური მშვენიერებით. ქალის არსებაში სილამაზე. უპირველეს ყოვლისა, მწერალს მიაჩნია გადამწყვეტ ძალად, რადგანაც სიყვარულით გამშვე-ნიერებული სული მშვენიერ და ჯანსაღ სხეულში უნდა არსებობდეს.

სიყვარული გრძნობისა და გონების ჰარმონიას მოითხოვს და წამყვანი ძალა გრძნობადი საწყისი უნდა იყოს, რადგან გონებრივი განსჯისას ადამიანი თავის სურვილებს გარემო პირობებთან განიხილავს და სიყვარული კარგავს თავის ელფერს.

ბარნოვისეულ სიყვარულში წარმართული ელემენტების სიჭარბე გამოიწვია არა მარტო ქართული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის ღრმა ცოდნამ, არამედ ანტიკურმა ფილოსოფიამ. ბარნოვის მსოფლმხედველობრივი სისტემის ძირითადი პრინციპები პლატონის იდეებთან მწერლის ნააზრევს სიახლოვე განსაკუთრებით შეინიშნება სიყვარულის გაგებასთან მიმართებაში.

სიყვარული არა მარტო გაიგივებულია ღმერთთან, არამედ ისევე როგორც პლატონთან, მასზე მაღლაც დგას, რადგან იგია სიყვარულის საწყისი «სიყვარული ერთადერთი განხორციელებაა არსისა, რომელიც სიცოცხლის დასაბამია, რადგან სიცოცხლე მის მიერ შექმნილი».

პლატონის აზრით, სიყვარული არის სურვილი სიკეთისა და ბედნიერების მარადიული ფლობისა, მისი მარადიული მიზანია სიკეთე, მშვენიერება აქედან გამომდინარე სურვილი უკვდავებისა.

ბარნოვთან სიყვარული და მშვენიერება უფრო კონკრეტული სახითაა წარმოდგენილი, მწერალი მშვენიერებას ძირითადად ქალში ხედავს, მას ასევე როგორც პლატონს, მიაჩნია, რომ სრულყოფილი მშვენიერების განსახიერება ერთ არსებაში შეუძლებელია, მაგრამ, უმთავრესად მაინც ქალშია ჩაქსოვილი მშვენიერების ცნება. «ბუნება სცდილობს განახორციელოს ქალში უმთავრესად სიმშვენიერე, ის ისწრაფვის ზედმიწევნით გამოსახოს მასში ეს უცილობელი დარგი ღვთაებრივი არსებისა». (318- 345).

ხილული მატერიალური არსისაგან ჭეშმარიტი მშვენიერების სახე არ შეიქმნება, მშვენიერი სხეული ერთ-ერთი კონკრეტული მშვენიერებაა. ამ გზით, მშვენიერების ამ ფორმების გავლით მიდის სიყვარული უმაღლესი მშვენიერებისაკენ _ ზეციური ნათელისაკენ.

VASIL BARNOV'S PROSE

summary

Historical novel takes the main part in V. barnov's creative work with this genre he made his name in he history of Georgian literature. The writer has more then 20 novels about this theme. The past was the particular source of his inspiration.

He tries to create the moral ideal – `complete substantive~ by combining the real history together with inventing characters where the definition is – kindness and love is the harmony of physical and spiritual beauty. And the moral phenomenon is higher than juridical norms.

In the novel `Crashing Armazi~, the idolworshoping pantheon is represented. Tsishubi –as the symbol of Georgian national freedom and Armazi – taken from Persian but received as Georgian one – the God of Georgian Protector. The idol `Tarkhun~(2.305) is fixed in the history of Fast especially in the South district of Khets. We have the triada (Sanata, Data, Tarkhan). Tarkhuji is the man's name in old Georgian language, which is mentioned in the inscription of Atmen's Sion: `Kakhidze Tarkhuji~, outside inscription – `Tarkhuni~, these facts slow that old khetians anthropological idol names were set up as personal names in old Georgia `Tarkhan~ was mentioned in the late centuries – and also we meet its equivalent idol `Tarkhon~ maybe the names Tariel is taken from this "Tarkhan" and means fighting man hero. Khetian idol Gods names became the person names: Data-Data, Sanata-Sanata, Shiukshi Shiosha and est.

Nowadays Khetian language more or less is studied and it's clear that `arma~ means the main.

Armazi is not of Persian origin at all and Georgian toponymy improves it. Armazi is a village in Kartli, Armazeti – in Liakhvi Ravire and `arma~ should he the root Udj-arma.

Love is one of the main problems in V. Baron's creative work, which combines the historical characters wilh the contemporary life. The writer is interested not only to describe the dramatically sides of his nation but the past full of heroic. His aim is show us the spiritual way of his nation.

The conception of moral love which is described in Barnov's creative work can be found the parallels in Georgian literature, folk-lore, antique philosophy and the doctrine of Christianity. But the writer discovered his moral conception in the character of Georgian man. On the foundation of deep psychological knowledge and ground of anylise he created very individual form of moral love. The forms and content are the typical Georgian conception. which has no the exact analogy in the world.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მიხეილ წერეთელი, «ხეთის ქვეყანა», თბ.,1924.
2. შოთა რუსთაველი, «ვეფხისტყაოსანი»,ქათული პოეზია, ტ.15,1974.
3. ვასილ ბარნოვი, «არმაზის მსხვრევა», ტ.VII, 1963.
4. ივანე ჯავახიშვილი, «თხზულებები», ტ.VII,1978.
5. ვასილ ბარნოვი, «ტრფობა წამებული», ტ.V, 1963.
6. გრიგოლ გიორგაძე, «ათასი ღვთაების ქვეყანა», 1986.
7. დანტე ალიგიერი, «ღვთაებრივი კომედია», კ. გამსახურდია, ტ.8, 967.
8. ჰომეროსი, «ოდისეა», «ილიადა», მლბ., 1979.
9. ლევ ტოლსტო, «ანნა კარენინა», მლბ., ტ. 1981.
10. გერონტი ქიქოძე, თხზულებები, ტ.I,1963.
11. სტენდალი, «პარმის სავანე» მლბ., 1979.
12. ფრანსუა შატობრიანი, «უკანასკნელი პერსონაჟი», «ფრანგული მოთხრობა, 1079.
13. შარლოტა ბრონტე, «ჯეინ ეარი», 1971.
14. ალექსანდრე ყაზბეგი, «ელგუჯა», ტ.10, 1985.
15. ლევან გოთუა, «გმირთა ვარამი», წიგნი მესამე, 1966.
16. იოჰან ვილფგანგ გოეთე «ფაუსტი», 1987.
17. ვასილ ბარნოვი, «მიმქრალი შერავანდედი», ტ.VIII.1961.
18. ვასილ ბარნოვი, «ისნის ცისკარი», ტ.I 1961.
19. ვასილ ბარნოვი, «ტკბილი დუდუკი» ტ.I,1961.
20. პლტონი, «ნადიმი» 1964.
21. ლუდვიგ ფოიერბახი, «ქრისტიანობის არსება», 1956.
22. სიმონ ჩიქოვანი, თხზ. ტ.III, 1967.
23. ვასილ ბარნოვი,, «აჩრდილი სიკვდილისა», ტ.III, 1961
24. ვასილ ბარნოვი, «სულთა კავშირი», ტ. VII, 1962.
25. ვასილ ბარნოვი,»სამეფო სიყვარული», ტ.II.1962.
26. ვასილ ბარნოვი, «ამქრის მშვენება», ტ.II, 1961.
27. ავერნცევი, «დიდი საბჭოთა ენციკლოპედია», 1974.
28. შალვა რადიანი, ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები, 1944.
29. ვასილ ბარნოვი, «დაეწაფა სურვილით», ტ.II, 1981.
30. ვასილ ბარნოვი, «მსხვერპლი» ტ.I. 1961.
31. ვასილ ბარნოვი, «ხაზართა სასძლო» ტ.VI. 1963.
32. ვასილ ბარნოვი, «გიორგი სააკაძე», ტ.VII.
33. გიორგი მერჩულე, «გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება», ქართული მწერლობა, ტ.I. 1949.
34. ს. ჩიქოვანი, თხზ. ტ. III, 1969.
35. ქართული ხალხური პოეზია, თბ., 1974.
36. ეთერიანი, ქართული ხალხური ეპოსი. 1940.

შინაარსი

წარმართული პანთეონი ვ. ბარნოვის «არმაზის მსხვრევაში»;

სიყვარულის ფენომენი და მისი ასახვა ლიტერატურაში;

სიყვარულის ბარნოვისებრი კონფექცია ფილოსოფიურ კონტექსტში;

ბარნოვისეული სიყვარული ანტიკურ კონტექსტში;

გენდერი და სიყვარული ვასილ ბარნოვის პროზაში;

ოჯახის შექმნის პრობლემა და სიყვარული;

სოციალური საკითხი და სიყვარული;

სარწმუნოება და სიყვარული;

არმაზის მსხვრევა – ქრისტიანობის დასაწყისი;

მშვენიერება ვასილ ბარნოვის პროზაში;

სიყვარული ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში და მისი ფოლკლორული წყაროები;

ზნეობრივი იდეალები ვასილ ბარნოვის «ტრაფობა წამებულში»;

რეზიუმე;

Summary;

გამოყენებული ლიტერატურა.